

ქართული გზები



საქართველოს
მწერალთა
კავშირის
გაზეთი
№2 (286)

1-31 მაისი
2021

ფასი 1 ლარი

გამოცემის
თავმჯდომარე



თემურ ლანჩავა

25 აპრილი იმერეთის მწერალთა თავკაცის, საქართველოს სახალხო მწერლის, ქართული კულტურის ქურუმის, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის პრემიების ლაურეატის თემურაზ ლანჩავას დაბადების დღეა.

ვულოცავ მეგობარ მწერალს დაბადების დღეს და მიხარია, რომ მის კალამს ფხა და ჭრა არ მოკლებია, რაიც ამ ლექსებითაც ცნაურდება.

რევაზ მიშველაძე

ტიროდა მარტი ზამთრის წასვლას, იები წვიმდა, იყო რაღაცა თოვლზე თეთრი და თეთრზე წმინდა. შემოდოდა გაზაფხული, ფერს ცვლიდა ფერში, ვილაცას ლურჯი ყვავილები ეჭირა ხელში. შორს, ჰორიზონტზე შეჰკიოდა ყარყატი სივრცეს, ეს იყო ის დრო, ზამთარი რომ გაზაფხულს იცმევს. ვტკეპნიდი ჩემს ჩრდილს, როგორც საფლავს და ცრემლებს ვღვრიდი, ვჭირისუფლობდი, საკუთარ თავს მოთმენით ვღრღნიდი.

მგელის ყმული სიმშვიდეს მართმევს და ყურადღება ხმაურს ეთმოება, სასჯელად ერგო საბრალო ქართველს, პირველობა და ერთადერთობა. საუბედუროდ მარტო ვართ ხშირად, მიტოვებული ბედისამარა, ვინც მიგვიღო და გვინამა შვილად, ხელბორკილებით დაგვასამარა. ხშირად მონები ვართ მეფის როლში, გაურკვეველი, ჭრელი ნიღბებით, მეფესთან ერთად ჩვენ თავს ვთამაშობთ, და სხვის მაგივრად ჩვენ ვიღრინებით. ვყმუი, ცხოვრებამ გამხადა მგელი, ამ ხერხით ჩემს თავს და მოდგმას ვიცავ, ვგრძნობ შორიახლოს სისინებს გველი და შიშის გამო წუხს დედამინა.

თითქოს გამჩენმა ზურგი გვაქცია, გაუმადლობა მოსწყინდა კაცის, ხედავს ცხოვრება რა თვალთმაქცია, და თვალთმაქცობას ხელიდან გვაცლის. მდიდრდება მინა ჩვენი გვამებით, სიცოცხლე ჰკარგავს სითბოს და ძალას, ლხინობს სიკვდილი არდანანებით, და ერთმენეთის სიყვარულს კრძალავს.

გაქრება მალე აჩრდილი ჩემი, მიმოფანტავენ სევდას ქარები, და დადგინდება, მინაზე ვრჩები, თუ ზეცისაკენ მივექანები. ვიყავ მედროშე მეფე დავითის, ფარილა შემრჩა, ხმალი წამართვეს, მოვა ვილაცა, დღეებს დამითვლის, მამულზე ფიქრით ღამეგანათევს. ფიქრით შევრჩები დროის მოლოდინს, ხვალის იმედით, გულწრფელი განცდით, მე ოპტიმისტი ვრჩები ბოლომდე გამარჯვებებით და ჩემი მარცხით.

სასჯელი ხშირად სიყვარულს ნიშნავს, განმარტოების, ტკივილის ფასად, არის დრო, როცა წუხ-არაგვიშავს, ცხოვრობ, არსებობ დუმილის მსგავსად. აქვს მწუხარებას წამლად ნუგეში, თუ მონყალებას ღმერთი იმეტებს, როცა მზის ნარჩენს ეძებ ღრუბელში, ბოროტებაშიც ხედავ სიკეთეს.

შევყვარებივარ პატარა გოგოს, მიშხერს, სიყვარულს თვალებით მიხსნის, ვკიცხავ, ვაგინებ სიბერის მომგონს და გულისცემა ხმამალა ისმის. ჩვენ შორის ბევრი გზა და ხილია, საეგებო მიზეზი მენდოს, გაუგემურდენ წლები, მიდიან, არ მადარდებდა ასაკი ერთ დროს. როდესაც სათქმელს ჩურჩულებს კრძალვით, მოსჩანს თვალეში ბავშვური რიდი, ასაკის გამო, ასაკის ძალით ჩატეხილია ჩვენს შორის ხიდი. შევყვარებივარ პატარა გოგოს, ვგრძნობ თვალეშიდან სიმშვიდის ნათელს, შორეულია, ჩემს ახლოს ცხოვრობს და სიყვარულით სიბერეს მართმევს. ვთხოვ განმერიდოს, იფრინოს ცაში, და ახლდეს ტრფობა ჩემი მარადი, და როცა მისგან გაქრება ბავშვი, მიხვდეს მის სახელს რატომ ვმალავდი.

ნუ შემახსენებ ...

ნუ შემახსენებ, რომ უნდა მოვკვდე, ნურც იმას, ჩემი ერთგული რომ ხარ, ერთდღეს გადადებ ყოველგვარ სურვილს, ჩემს სამარესთან ყვავილით მოხვალ. ერთ დღეს სულ ერთი იქნება ჩემთვის ვინ რას იტყვის და როგორ მიტირებს, ბედნიერება არ იმარხება, ბედნიერება ცაში ტივტივებს. და მე ზეციდან დახვდავ მინას, სადაც ვცხოვრობდი ბედისამარა და გავიხსენებ, ძვირფასო, იმ წამს, უშენობამ რომ დამასამარა.

ნუ შემახსენებ, რომ უნდა მოვკვდე, რომ ფოთოლი ვარ ბებერი მუხის, ნუ გამიმეტებ მარტოობისთვის, ნუ შემატოვებ სიბერის წუხილს.

მიუწვდომლობას სურვილში ვეძებ, მსურს ჟამს გაყინულს შევიძინო ფრთები, დაფიქრებულმა საკუთარ ბედზე მზე შევიძულე და ყინვით ვთბები. ვუახლოვდები, ვშორდები კრძალვით დიდებას, რომლის კონტურიც არ ჩანს, თავს ვირთობ ძალზე წართმეულ ძვალთ და ფეხებს ვაჩვენებ სხვის უკან ჩანჩალს. ვხვდები ოცნება დარდში დამღრჩვალა, უნდოდ შევცქერი დღეებს დარჩენილს, თავზე ბებერმა ყვავა დამჩხავლა, მამცნო სიბერე სახტად დარჩენილს. დასრულდა ყოფნა, უნდა შემეგრძნო, როცა საკუთარ თავის დანახვა, მარადიულის შეყოვნდა ზღვართან, მიუწვდომლობა ვერ გადალახა.

მშიშარა გავხდი, გავექცევი სიბერეს ფიქრით და ბავშვობაში უგზოუკვლოდ დავხეტებ. შემომხვდა ერთხელ სიბრალული, ხელი ჩამკიდა, ამ გზით ნადიო, მიმასწავლა და მიმატოვა. რომელ გზით-მეთქი, მივაძახე, არ მომიხედა, დამტოვა ჩრდილში, საკუთარ თავს რომ დავემალე. მშიშარა გავხდი, გავექცევი სიბერეს ფიქრით

და ვუცდი ღამეს, გაზაფხული რომ დავისიზმრო.

ქალმა თქვა წუხელ სიზმარში, სიკვდილი მეზმანებოდა, არ გავახილე თვალეში, ტირილი მეზარებოდა. არ გავალვძიე ჯალაბი, ყვირილითა და ვიშითა,

ამოვიგმანე თვალები,
პირი ავივსე ქვიშითა.
თმები გაეშალე, გაეფინე,
შვებას ვხედავდი ქვრივშია,
ნეტა ვინ მეფერებოდა,
ან ვინ მომიკვდა ძილშია.

ჩიტაბის სკვდა

დაისხამს ჭიკჭიკს ტოტები მწვანე,
გალობს ფრინველი და ხე ერთობა,
გაფრინდებიან ჩიტები, ნავლენ,
და წყდება მათი ურთიერთობა.

და მონყენილი ფოთოლთა ცვენით,
ხე გამოხატავს ფიქრს და ხასიათს,
გაშიშვლებული ტოტების ცქერით
ჩიტები იმედს გრძნობენ ცაშიაც.

ბუდეებს შიშველს და უარაფროს,
დაეფინება სევდა წარსულის,
დაესიზმრება ფრთები სივრცეებს
ყოფანარმტაცი დრო გარდასულის.

და მონყენილი ფოთოლთა ცვენით
ხე გამოხატავს ფიქრს და ხასიათს,
გაშიშვლებული ტოტების ცქერით,
ჩიტები იმედს გრძნობენ ცაშიაც.

ჩამოირეცხა დრომ ხასიათი
და უღმილოდ დარჩენილ ტუჩებს,
განუსაზღვრელი იდუმალებით
პირის დამუნვას და დუმილს ურჩევს.

დავეძებ სიცილს ირონიული,
სიცილის ნახვა ახლა მაღლია,
მომჩერებიან პირმოკუმული,
მომჩერებიან, დროს მამადლიან...

წუხს ჩემი ნატვრა დალილი განცდით,
ზურგშექცეული ახლის იმედით,
ვფიქრობ ღმერთის გზას შემთხვევით
ავცდით,
საკუთარ სახლში ველარ მივედით.

მინდა, ღიმილი რომ შევავაროვო,
ჩამოვარიგო მარტში იებად,
პოეტი მქვია, რადგან ლექსებს ვწერ,
ეს სისულელეც მეპატიება.

იცნობდეთ, ბატონო,
არავინ მობრძანდა,
არავინ ვიყავით,
არავინ გვმოდღვრავდა.
არავინ უსმენდა,
გვიყიდა, გაგვიყიდა,
უნდოდა გვლანძღავდა,
ქოქოლას გვაყრიდა.
ვლელავდით, ვიბრძოდით,
არავინ გვალხენდა,
სატიკივარს ვმალავდით,
ხშირად რომ გვამხელდა.

არავის დაკრულზე
ვცეკვავდით კარგახანს
და რადგან არავის
არავინ არ გვახლავს,
არასდროს ვყოფილვართ
მონა და მორჩილი,
ნაილეს, ნავგართვეს,
არავის როლს ჩივი
და რადგან მე თვითონ
არა ვარ არავინ,
არავის მედროშეს
თუ მკითხავ რავავარ,
გპასუხობ მორჩილად,
მცველი ვარ არავის,
რადგანაც არავის
არავინ არა ვარ.

თიანურ შაშიაჰვილს

ვხედავ მომავალს დაფარულს ნისლით,
ცეცხლით გარუჯულ, გამხმარ ბალახებს,
თუ მოვინდომებთ, სამშობლოს ვიხსნით,
თავისუფლებას დრო დაგვანახებს.
ფიქრს გამძლეობის უღელი ადგას,
საეგებო სურვილი არწევს,
ღმერთი გვპირდება, რომ ყველა მათგანს
ალადგენს ტაძარს, რომელიც დაწვეს.
უცხოეთიდან მტრედებს მოფრენილს
აქვთ სამშვიდობო, რთული მისია,
ხედავენ გვამებს ირგვლივ მოფენილს
გვამების მოვლა არ აკისრიათ.
ჩვენ უნდა შევძლოთ ღირსება ვიხსნათ,
ისიც, ვინც გვებრძვის, ჩვენი სისხლია,
ღირს მოთმინება სიჩუმის ღირსად
თუ ეს დროება უვარგისია.
მოლოდინისგან გადაღლილ მინას
მოსალოდნელი ტკივილი ელის,
დაიფრთვლება უღმერთოდ იმნამს
თუ გამეფება მოხდება ბნელის.
ჩვენ დრო გვაკვირვებს და არა ფიცი,
დრო მოვა, რასაც ეძებ, მონახავ,
არ შეგახსენებ, ისედაც იცი,
შენი სამშობლოს ყრმა და მონა ხარ.

როგორმე გავძლებ უშენოდ,
გზაკვალს ავუბნევ სურვილს,
შენა ხარ გულის მკურნალი
მე ვარ მეუფე სულის.
შენი გზა ცისკენ მიილტვის,
ჩემი არ გასცდა მინას,
ულალატაო, ვინც იტყვის,
აღესრულება იმ წამს.
ცაში ნავარდი გერჩივნოს
ჩემთვის ტანჯვას და მოცდას,
ისე პატარა დრო დამრჩა,
ველარ მომისწრებ ცოცხალს.
არ შემეყვარო, ინანებ,
შეგთხოვ მუხლებზე ცოცვით,
გასასესხებელს ივალე,
ტუჩებს გაცვითავ კოცნით.

უფრო ხშირად ბრბოში ხარ,
განდეგილის როლში,
ფიქრი დაგრჩა პარიზში,
ოცნებები, რომში.
შემოგადნა ზაფხული,
ყვავილს ეძებ თოვლში,
დროისგან დაზაფრული,
მწარე ცრემლის ტბორში
იძირები თანდათან,
სიმარტოვეს წუხარ,
ვინც გიყვარდა, ნავიდა,
ვინც შემოგრჩა, ძულხარ.
ხედები რა მარტივია,
ანათებდე, ენთო,
ხედები რა პატივია,
ერთგულებას ვერ თმობ.
თავშესაფარს დაეძებ,
ისეთს, ვერვინ გნახოს
და მინაში ნახულობ
მუდმივ სამოსახლოს.
ღრუბლებს ცეცხლი უნთია
მომლოდინე სიმწრის,
დედამინა ბურთია,
ბოროტებით ინვის.
გადაღეჭა დღეები
უსახურმა იჭვმა,
მუხას მინა წაართვა
ალვის ხემ და ფიჭვმა.
არვინ ეხმარება,
მიშველეო, ნოეს,
ვინც, რომ ფრენა შეიძლო,
დედამინას ტოვებს.
ვაი, ჩემო წარსულო,
მონატრებავ ხვალის,
გაფრენილო ასულო,
არ ჩანს ნატერფალის
სურნელება, გამოვყვე,
დამანახოს სხვა გზა,
აქეთ-იქით სირბილში
ამერია თავგზა.

მოდინარ, მოგაქვს სითბო, სინათლე,
მიდინარ, ტოვებ ფიქრსა და ტკივილს,
ოცნებებიდან გარბის სიმართლე,
თვალეები მწყრალად იწყებენ ტირილს.
არა ხარ ჩემი და ჩემში ცოცხლობ,
ვერ მოგანატრე თავი ერთხელაც,
უშენოდ ვრჩები, ვდარდობ და ვმორცხვობ,
მგონია თავზე ზეცა მექცევა.
მოგდეე და მაინც უშენოდ ვრჩები
და მიგაცილებ ფიქრით სახლამდე,
შენ სიხარული, დარდინარ ჩემი
და გული მინუხს სანამ გნახავდე.
შენ ჩემი ლანდი დაგდევეს და გიცავს,
მე შენზე ფიქრი დამაფრენს ცაში,
შენ აწერიხარ ჩემს გულის ფიცარს
და მე ვბერდები დღეების თვლაში.
მარტუქე შენი თვალების სითბო,
რომ ვიგრძნო შენი სულის სინედლე,
ცოტა დრო დარჩა ახდეს სურვილი,
რომ შენთან ყოფნას ვიზიემებდე.
მოდინარ მოგაქვს სითბო, სინათლე,
მიდინარ, გული მიგყვება ჩემი,

რომ არ დავმალო ჩემი სიმართლე,
მიდინარ შენ და უგულოდ ვრჩები.
რამდენჯერ უნდა დამმართო სევდა,
დამტოვო მწყრალი ვაით და ვიშით,
რატომ არ გჯერა, ქვეყნად ორთავე,
ღმერთის წყალობით და ზრუნვით ვიშით.
ვარ მომლოდინე მორწმუნის როლში,
თვალი დაგეძებს, გული გპატრონობს
და მეშინია არ გასკდეს გული,
სხვისი იმედით არ მიგატოვოს.

ჩამომიქროლა ლამაზმა,
ვარდის სურნელი მეცაო,
კოცნა მარტუქა, ის კოცნა
ცრემლებმა ჩამომრეცხაო.
თავს ვინონებდი, პერანგი
დედის ნაქარგი მეცვაო,
სევდამ ღრუბლისფრად მიქცია,
დედის თვალების შემრცხვაო.
მას შემდეგ წუთისოფელი
ლოდინად გადამექცაო,
დაეჭვებული ვუცქერი
ძირს მინას, მაღლა ღმერთსაო.
თუ სადმე ნახოთ, უთხარით,
დანას უშვერდა მკერდსაო,
უჭირისუფლე საბრალოს,
წუ გაუხუნებ ბედსაო.

გილოცავს, ვინ არ გილოცავს,
მილოცვებს იღებ, არ კვირვობ,
გამოეკერე თითქოს ცას,
ეს მერამდენედ აპრილობ.
საფიქრებელი ზღვადაა,
ღრუბლები ჩანჩქერებია,
ცა ასაფრენად მზადაა,
თვალეებში ჩაგჩერებია.
ფრთებს ისწორებ და ორჭოფობ,
ვერ შელევინხარ ნარცისებს,
რაო, რას ფიქრობ, შორსაა?
შენ რომ გგონია, არც ისე...

ვუთხარ: სულელი ხარ, ქალო,
მეც გიყვარვარ, ქმარიცაო,
შემაგება: თქვენზე მეტად
საკუთარი თავიცაო.
ვუთხარ: დაგვსებია ყური,
ყურთან ერთად თვალიცაო,
მითხრა: ერთნაირად ყმუი
ფხიზელიც და მთვრალიცაო.
ღვინოს ვინლა მომართმევდა,
მომენატრა ჩაიცაო,
ნეტა რა მაჭარტალებდა,
შიშველ იყო, ჩაიცვაო.

ბორის მიშველაძე

სოფელი ქვიანეთი პატარა მდინარის ორივე ნაპირზე, ვინრო, მთებით შემოჯარულ ხეობაში იყო გაშენებული. ტრადიციულად, ადგილობრივები მესაქონლეობით ირჩენდნენ თავს. ქვეყანაში ტურისტების შემოსევა რომ დაიწყო, ქვიანეთელებმაც გადაწყვიტეს ამ ფერხულში ჩაბმა. გაკაფეს მთაზე ასასვლელი ბილიკები, მწვერვალზე კი გადმოსახედი მოედანი მოაწყვეს. ტურისტებს შეეძლოთ დამტკბარიყვნენ შესანიშნავი პანორამით და თან მარჯვე ქვიანეთელების მთისწვერზე რის ვაი-ვაგლახით ატანილი ჭად - ყველი, ჩურჩხელა და ტყლაპი დაეგემოვნებინათ ადგილობრივ წითელ ღვინოსთან ერთად. მაგრამ მრავლისმნახველი ტურისტის მოსაზიდად ეს არ კმაროდა. საჭირო იყო კიდევ ისეთი რაღაც, რომელიც ტურისტს მთაზე აიტყუებდა. ჰოდა, ადგილობრივი სკოლის ისტორიის მასწავლებელმაც მიქეჟ - მოქეჟა ნიგნები და სოფლის გოგო - ბიჭებს, თავიანთთავს გიდებს რომ უწოდებენ, ურჩია, მოეთხროთ ტურისტებისთვის ლეგენდა იმის შესახებ, თუ როგორ გადაარჩინეს ქვიანეთელებმა უხსოვარ დროში ქვეყანა უცხოტომელების შემოსევისგან. ლეგენდის დედააზრი ასეთი გახლდათ: როგორც კი უცხოტომელების შემოსევის ამბავი გაიგეს, ფეხმარჯვე ქვიანეთელები მთაზე ავიდნენ, იქიდან ლოდების ზვავი დააგორეს და ხეობიდან გასასვლელი ჩაკეტეს. ამით ქვეყანა ამოასუნთქეს და ლაშქრის შესაკრები დრო მოაგებინეს, რაც საბოლოოდ უცხოტომელთა განადგურებით დამთავრდა. ლეგენდის ნამდვილობის დასტურად ტურისტებს ხეობის ძირში ლოდების უზარმაზარ გროვაზე მიუთითებდნენ.

კოვიდით გამოწვეულ პანდემიის დაწყებამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა. მერე, ტურისტების ნაკადი დაიშრია. ჭრელა - ჭრულებით მოვაჭრე ჯიხურები დაიკეტა. წვრილი ბიზნესით დაკავებულ ქვიანეთელებს შორის კავშირები ერთბაშად გაწყდა. ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ხალხმა ერთმანეთის ვალების გასტუმრება ვერ მოასწრო. მეზობლებს შორის ურთიერთობა დაიძაბა, მევალე - მოვალეები თვალს არიდებდნენ ერთმანეთს. სოფლის ერთადერთმა სასტუმრომ თანამშრომლები დაითხოვა. ახლა მეპატრონე ასრულებდა მორიგის ფუნქციებს. თუმცა მასაც არავინ ანუხებდა და საქმეც არ ჰქონდა. დილას ნომრებს დაათვალიერებდა (სულ ოთხი ნომერი ჰქონდათ), ჟურნალში ხელს მოაწერდა და მერე იჯდა მთელი დღე კომპიუტერთან.

ის დღეც ჩვეულებრივად დაიწყო არავითარი სიახლე. ინტერნეტი აჭ-

რელებული იყო კოვიდის პრობლემების გაშუქებით. შეზღუდვების მოხსნაზე ლაპარაკიც არ იყო. მორიგე კომპიუტერი გათიშა, სკამის საზურგე გადაწია და თვლები მილულა. ჯერ არც კი ჩასძინებოდა, რომ შემოსასვლელის ავტომატური კარი გაიღო და ფოიეში მამაკაცი შემოვიდა. სანამ „რეცეპშენის“ დახლს მიუახლო-

ვდებოდა უცნობმა კარგად მიათვალ - მოათვალიერა ფოიე. ძველმოდური, ლურჯი კოსტუმი ეცვა, ფეხზეც გაპრიალებული შავი ლაკის ფეხსაცმელი. თავზე ცილინდრი ეხურა „რავა უცხოპლანეტელს ჰგავს, სად ნახა ეს ძველები, ნეტავიო“- გაფიქრება ვერ მოასწრო მორიგემ, რომ უცნობმა ტყავის ყვითელი პორტფელი იატაკზე დადო და აქცენტით იკითხა:

- თავისუფალი ნომრები გაქვთ?
- მორიგემ კინალამ ძველი ჩვეულებისამებრ უპასუხა - თქვენთვის მოვახერხებ რამესო, - მაგრამ უმალ გადაიფიქრა, კლიენტს თავი დაუქნია და მორიდებულად მიმართა:
- თუ შეიძლება მიბოძეთ თქვენი საბუთი.
- ჯერ ნომრებს დავათვალიერებ, თუ მომეწონება მერე გავაფორმოთო, - უპასუხა და დახლზე ტკიცინა ასდოლარიანი დადო. მორიგემაც მექანიკურად მიანოდა ოთხივე გასაღები, და კიბისკენ მიუთითა, - ნომრები მეორე სართულზეაო. როგორც კი კლიენტი კიბეს აუყვა, მორიგე - მეპატრონემ ფულს ხელი დაავლო, გარეთ გავიდა და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდებარე მარკეტის კარი შეაღო.
- ა, მოგიტანე ვალი. რაც კლიენტების საუზმისთვის პროდუქტები მიმქონდა ნისიად. სია შენც გაქვს და მეც. ანგარიში მერე გადმომიგზავნე, ბუღალტერს დაჭირდება, მაღლობა.
- მარკეტის მეპატრონემ (ახლა შეთავსებით გამყიდველადაც რომ მუშაობდა) ფული ჯიბეში ჩაიღო, კარებზე აბრა შეაბრუნა „შესვენება“ საითაც ეწერა და იქვე მდგარ მანქანაში ჩაჯდა.
- სოფლის ბოლოში ფერმა-სასაკლავოს ეზოში ტრაქტორი გუგუნებდა, ნაკელს აწვებოდა და ორმოში ყრიდა. მოხუცმა ფერმერმა მარკეტის პატრონი რომ დაინახა ტრაქტორი გათიშა.
- ვალი მოგიტანე, რაც შენგან ხორცი მიმქონდა. ბარიბარს ვართ, - ასდოლარიანი მიანოდა.
- აგაშენა ღმერთმა, სულზე მომისწარი. შემოდი, თითო არაყი გადავკრათ.
- მაღლობა, მარა მეჩქარება, მაღაზია მარტო ჩემს იმედზეა. ხომ ხედავ, რა დრო დადგა.
- როცა მანქანა თვალს მიეფარა, ფერმერი ისევ ტრაქტორზე შეჯდა ორასიოდე მეტრში ნახევრად შემოღობილ ეზოსთან გაჩერდა, რომლის

ჭიშკარზე მიმაგრებულ აბრაზე ეწერა „ავტომობილების და ტრაქტორების შეკეთება“. ხელოსანი ორმოში იყო ჩამძვრალი და მანქანას რაღაცას ხსნიდა.

- ნუ ამოხვალ, ფული მოგიტანე, ჩემი ტრაქტორის შეკეთების საფასური. - თან ასდოლარიანი დაანახა.
- როგორ მუშაობს?
- ახალივითაა. ოქროს ხელი გაქვს, მაღლობა.




წრებრუნვა (ფანტასტიკური ნოველა)

- მაგერ, რკინის მაგიდის უჯრა გამოალე და შიგ ჩადევი.
- როცა ტრაქტორი ეზოს გასცდა, ხელოსანი (მას გურამი ერქვა) ორმოდან ამოვიდა. ხელ-პირი გადაიბანა და მოტოციკლს მოახტა.
- ინგა ამ სოფლის მკვიდრი არ იყო. თავიდან ერთ ტურისტულ ჯგუფს ჩამოყვა. მერე, „რალა აქეთ-იქეთ ვიაროო“, - სოფელში დარჩა. უცხოენოვან ჯგუფებს გიდობას უწევდა. არც „სხვა სახის მომსახურებაზე“ ამბობდა უარს, ამისთვის, სასტუმროს ფლიგელში, კიბესთან ცალკე შესასვლელიანი პატარა ოთახი ჰქონდა დაქირავებული. „ცოტა ფულს დავაგროვებ, მერე წავალ სხვაგან და ახალ ცხოვრებას დავიწყებო“ - ფიქრობდა. ახლა, როცა ტურისტები გაქრნენ ინგას „სამუშაო“ თითქმის აღარ ჰქონდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ადგილობრივი მამაკაცების იშვიათ, კონსპირაციულ ვიზიტებს. მაგრამ ადგილობრივები რამდენადაც ჯიბე-ძუნწები იყვნენ, იმდენად და უფრო მეტადაც, სიტყვაუხვობით გამოირჩეოდნენ. წუნწუნებდნენ, რომ მათი ცოლები არ იყვნენ სექსუალურად მიმზიდველნი, ცუდი ხასიათიც ჰქონდათ. ზოგი, თუ შეზარხოშებული იყო, იმასაც ამბობდა „მომი მივატოვოთ ყველაფერი და წავიდეთ სადმე შორს, სადაც ბედნიერები ვიქნებითო“. ინგა ჩუმად უსმენდა, ლაპარაკს არ აწყვეტინებდა. იგი მრავალჯერ იყო აცრილი ფსევდოსიყვარულზე და ასეთი დაპირებების მიმართ იმუნიტეტი ჰქონდა. როგორც წესი, მამაკაცთა გულახდილობა ორ - სამ საათს გრძელდებოდა. ცოტას რომ მოფხიზლდებოდნენ უეცრად წამოხტებოდნენ, რაღაც გადაუდებელ საქმეს მოიმიზეზებდნენ, თავიანთ პალტო - შლაპას ხელს წამოავლებდნენ და კარებიდან გასვლისას „დაგირეკავო“- დაუბარებდნენ ქალს. ინგას ყელში ჰქონდა ამოსული ყველაფერი, წასვლაც გადანყვებილი ჰქონდა თითქოს, მაგრამ იყო ერთი ვინმე, ვის გამოც სოფლიდან წასვლას აჭიანურებდა: - ეს იყო გურამი. იგი მაშინ გაიცნო, როცა ბიჭმა მოტოციკლით გასეირნება შესთავაზა. ინგასაც ბევრი არ უფიქრია, გაშლილი სპილენძისფერი თმები შეიკეცა, ქვედაბოლო აინია და ფეხებგაჩაჩხული შემოუჯდა უკან. მოტოციკლეტი გაქანდა, გოგომ

ინსტიქტურად უფრო შემოუჭირა ხელები მესაჭეს და თავი მის განიერ მხრებში ჩამალა. მერე გურამმა მოუხშირა ინგასთან სიარულს...

იმ დღეს, როცა სასტუმროს უცნობი ეწვია, ინგა ფანჯარასთან იჯდა და წარბებს იწინკნიდა. დააფიქსირა, რომ წარბის შუა ნაწილში, ერთი ორი თეთრი, უხეში ბენვი სწრაფი ტემპით ეზრდებოდა. მოტოციკლის ხმა რომ გაიგონა ფანჯარაში გაიხედა. გურამის დანახვაზე სითბო ჩაეღვარა სხეულში. ქვევით ჩასვლა დააპირა, მაგრამ გურამმა ანიშნა, მე ამოვალო. სანამ კარს გაუღებდა, სარკეში კიდევ ჩაიხედა, თმები გაისწორა.

- მოვედი.
- შემოდი.
- გურამი თითქოს დაბნეული ჩანდა. ამკარად ეტყობოდა, რაღაცის თქმა რომ უნდოდა.
- თქვი, რის თქმა გინდა, - თბილი ხმით უთხრა ქალმა. წამით გაუელვა, „ნუთუ სიყვარულში მიტყდება“?
- აი, მოგიტანე - გურამმა მაგიდაზე ის ასდოლარიანი დადო. ქალს თითქოს მეხი დაეცა. ერთ წამს გონება გადაეკეტა, მაგრამ შეძლო თავის მოთოკვა.
- ნადი, - ესლა უთხრა და ზურგი შეაქცია.
- თითქმის ნახევარი საათი გავიდა რაც მორიგემ გასაღებები გადასცა ძველმოდურად ჩაცმულ სტუმარს. „რას შევბა ამდენხანს ეს ოჯახქორიო“ - გაიფიქრა და ის იყო კიბეს უნდა აყოლოდა, რომ სასტუმროში ინგა შემოვარდა.
- მოგიტანეთ ოთახის ქირა.
- დადე დახლზე.
- ინგა შებრუნდა და კარებისკენ გაემართა. მორიგემ თვალი გააყოლა ჯინსებში ჩასკვანჩულ უკანალს, მერე, სანამ შებრუნდებოდა კიბეების ჭრაჭუნი შემოესმა.
- მაპატიეთ, კინალამ ჩამთვლიმა. რაღაც ვერ ვარ კარგად, სხვა დროს შემოგივლით.
- ნება თქვენია, - უთხრა მორიგემ და ასდოლარიანი მიანოდა
- ნახვამდის.
- მორიგეს მოეჩვენა, რომ უცნობმა თითქოს ჩაიცინა, როცა თავისი ასდოლარიანი ჯიბეში ჩაიღო.
- ...იმ ღამეს სოფელს ვალმობდელი, უდარდელი კაცის უშფოთველი ძილით ეძინა. ყველას, ერთის გარდა.



მურმან
თავდიშვილი

მიგნება -
აღმოჩენანი

ბარაქალა, ჩემო მურმან!

მურმან თავდიშვილი ფართო დი-
აპაზონის მწერალი და მეცნიერია.
მან ეს სახელი დაიმკვიდრა დაუ-
ლაღავი რუდუნებით ფილოლოგიურ-
რი აზროვნების ხუთ განასერში. ეს
გახლავთ ლიტერატურის ისტორია,
ენათმეცნიერება, კულტუროლოგია
და მხატვრული ლიტერატურა (პრო-
ზა, თარგმანი).

ჩემთვის, როგორც მურმან თავ-
დიშვილის ერთი მკითხველისათვის,
ყველაზე ძვირფასი, რაც მან გააკეთა,
ის გახლავთ, რომ „ვეფხისტყაოსანი“
ერთხელ და სამუდამოდ გადაარჩინა
ეროვნულ აკადემიაში მოკალათებულ
ცრუმეცნიერთა ხელყოფისაგან.
მან ლამის გააცამტვერა ცრუაკადე-
მიკოსთა კომისიის მიერ 1988 წელს
გამოცემული, სავალალოდ დამახინ-
ჯებული „ვეფხისტყაოსანი“ და 2016
წელს გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“
სრული ტექსტი; ტექსტი, რომელიც
სახელმძღვანელო უნდა გახდეს ან
და მარადის ყველა გამომცემლისა და
მკვლევარისთვის.

და აი, ახლა ჩემს მაგიდაზე დევს
ბატონი მურმანის ახალი, ჯერ კიდევ
საღებავშემუშრალი, საკმაოდ სქელტ-
ანიანი კრებული, რომელსაც „მიგნე-
ბა-აღმოჩენანი“ ჰქვია. ეს კრებული
ერთგვარი შეჯამებაა ავტორის და-
კვირვებათა კალეიდოსკოპისა და,
როგორც სახელწოდება გვაუწყებს,
აღსავსეა მწერლის და მეცნიერის
უაღრესად საინტერესო აღმოჩენ-
ებით. წიგნი სამი ნაწილისაგან შედგე-
ბა: I. „სხვადასხვისადა“, II. „რუსთვე-
ლიადა“, III. „აბდულმესიადა“.

პირველ თავში მკითხველი შუ-
შანიკის ნამების შესახებ უაღრესად
ორიგინალურ ნარკვევს და ენათ-
მეცნიერულ-ეტიმოლოგიურ აღმო-
ჩენებს გაეცნობა „ოზურგეთის“, „ოძ-
რახეს“, „ვენახის“, „კაჭიჭის“ და სხვა
სიტყვების შესახებ! მეორე თავში
ავტორი გვესაუბრება იმ კანონზომ-
იერების შესახებ, რის საშუალები-
თაც მან უვიცთა მიერ რუსთაველის
დამახინჯებულ ტექსტში სიმწყობრე
შეიტანა და პოემაში 60 დაფანტული

სტროფი დააბრუნა, ხოლო მესამე
თავი „აბდულმესიანის“ ავტორობის
საკითხს ეძღვნება.

რა დიდებული სტილით წერს,
რაოდენ ეჭვმიუტანელია მისი
მეცნიერული არგუმენტები, რა შთამ-
ბეჭდავია მისი სურვილი, გაუკვალავი
გზებით იაროს და ნათელი მოჰფინოს
აქამდე ამოუხსნელ, მიუგნებელ
ნაპრალეს კულტურის უკიდევანო
სივრცეში, რაოდენ თავმდაბლური და
მართლად პრეტენზიულია მისი აღმო-
ჩენა-დაკვირვებანი.

ბარაქალა, ჩემო მურმან!

რევაზ მიშველაძე

სიასლეთა კრახული

მურმან თავდიშვილის ახალი
წიგნის სახელწოდებაა „მიგნე-
ბა-აღმოჩენანი“, რაც თავიდანვე
ამახვილებს ჩვენს ყურადღებას და
განწყობას ახალ შეხედულებათა გა-
საცნობად.

მართლაც - ეს არის წიგნი - სი-
ასლეთა კრახული.

ეს თვისება - სიასლის ძიება,
დასაბუთება და წარმოდგენა საერ-
თოდ არის მკვლევარ მურმან თავ-
დიშვილის მეცნიერული თვისება და
ღირსება. „იგი ბოლომდე ამომწურა-
ვად სწავლობს საკითხს - ეს იქნე-
ბა რუსთველოლოგიური რომელიმე
პრობლემა თუ ერთი სიტყვის ეტიმო-
ლოგია.

მაშინაც, როცა თითქოს ერთ სი-
ტყვას იკვლევს (მაგ.: კაჭიჭი, ზუდუ-
ტური, ოზურგეთი, ლერა, მოსაბ-
აქე), წამოსწევს კულტუროლოგიური
საკითხების მთელ წყებას, ნიუანსით
აღადგენს მთელს სურათს.

ამ წიგნშიც თავმოყრილია მრავა-
ლი საგულისხმო დაკვირვების შედე-
გი, ეს იქნება რუსთველოლოგია თუ
აბდულმესიადა, „შუშანიკის ნამე-
ბიდან“ იაკობ დუმბაძემდე.

დღეს ყურს ჭრის და გვეჩოთირე-
ბა, რომ „აბდულმესიანის“ სახელით
მოღწეულ პოემას განვაკუთვნებთ
იაკობ შემოქმედელს. მეც მიჭირს
კლასიკური პერიოდის სქემის დარ-
ღვევა, მაგრამ მურმან თავდიშვილის
არგუმენტებიც დამაჯერებელი ჩანს.

შეიძლება ჩვენზე ფსიქოლოგიური
ფაქტორიც მოქმედებდეს. მომავალი
უფრო კარგად გაარკვევს ამ პრობ-
ლემას, მაგრამ მაშინაც პასუხი უნდა
გაეცეს მკვლევარის მიერ წარმოდ-
გენილ არგუმენტებს, რომელთაც ამ
წიგნში ეტიუდების სახით ვეცნობით.

მურმან თავდიშვილი დიდი
ლინგვისტური-ფილოლოგიური ერ-
უდიციის მკვლევარი და შემოქმე-
დია და მჯერა, რომ იგი მომავალშიც
გაგვახარებს ასეთი მნიშვნელოვანი
წიგნებით.

სოსო სიგუა



ვეფხია სამსონიძე

სამაჩაბლო

სამშობლოს ზეცას მოსდებია აქ
სევდისფერი,
დარდის ხნულებმა მოიტაცა თან
ყველაფერი,
ლეგენდად ქცეულ ხსოვნას ტყვია
ვერაფრით აქრობს,
გამობრწყინებად მოვლენილი ტიტები
მათრობს,
ტაძრის კედლებზე ფრესკის ნაცვლად
შემორჩა კვნესა,
სამოთხის ბაღში სიძულვილი რომ
დაითესა,
ვერაგმა მტერმა წარუშლელი დატოვა
კვალი,
თუმც ატმის კვირტებს იქნებ შერჩეს
იმედი ხვალის,
სახლის კედლებს ხომ უდრეკობა
ახელებს მხედრის,
აქ ტაძრის ქონგურს დაებედა გამირების
ხვედრი,
სისხლის წვეთებად შემორჩენილს
მოითმენს ტკივილს,
არ გააგონებს ჩასაფრებულ მტერს
მაინც ჩივილს,
ვითარცა ქრისტე - სამაჩაბლო აღდგება
მკვდრეთით,
რადგან მფარველად დაუდგება თვით
მამა-ლმერთი,
გასხივოსნება მოევიწინოს მას
მრავალტანჯულს
და საუკუნო დიდება ხვდეს ღალატით
ჯვარცმულს!


უფლისადმი სამაღლოება!

მადლობა, ღმერთო, სიცოცხლის რომ
კვლავ მაქვს უფლება,
შემინარჩუნე აზროვნების თავისუფლება,
ძვირფას საფლავთან თუ მალღრსე
სანთლის დანთება,
სულის ზეიმად ზეციერში, ლოცვად
დარჩება,
დიდება, ღმერთო, გულში რწმენა
შემინარჩუნე,
განწირულს მრუდე გზა სავალი აღარ
მარგუნე,
სიყვარულისთვის მონა ღვთისა მე ვარ
შობილი,

ქარიშხლებისგან შვილი შენი
გამონრთობილი,
მადლობა, ღმერთო, ვერ დაბინდეს ჩემი
გონება,
სულის სიმდიდრე ვერასოდეს აინონება,
დიდება, ღმერთო, სტრიქონებად ვანთე
ხანძარი,
სიყვარულისთვის ავაშენო მინდა
ტაძარი,
მადლი ზეციდან ჩემს განსაცდელს
აეფარება,
სიცოცხლე უნდა დაგიტოვო
აელვარებად!
შენს სადიდებლად, დარჩება და
მადლიერებად,
სულის სიმტკიცედ, სათნოებად და
ძლიერებად!
მადლობა, ღმერთო! დიდება, ღმერთო!

ნეტავ ვისი ხარ, პატარავ...

ნეტავ ვისი ხარ, პატარავ, წყაროსავითა
ანკარავ,
ნუკრის თვალებით მზირალი, მცინარი,
არა მტირალი,
სამშობლოს შვილი ამაყი, ნეტავი
გაეზრდებოდე,
მტერმა დიდხანს ვერ გიმზიროს და
ჯავრისაგან კვდებოდეს,
ხარ სიოს ნაზი ჩურჩული, შვლის
ნუკრის ყელმოღერება,
დე, მეპატიოს უეცრად შენდამი
შემომღერება,
ოქროზე მეტად ძვირფასო, ლამაზო
მარგალიტივით,
აანკრიალე მიდამო, ტკბილ მგალობელი
ჩიტვივით,
ნეტავ ვისი ხარ, პატარავ, ასე ნორჩი და
მჩქეფარე,
მაფორიაქებს, ამ მზერას უეცრად
გადავეყარე,
მინდა, რომ ... ნეტავ ეს ნატვრა
ბოლომდე ამიხდებოდეს,
ეს სილამაზე ბავშვური აღარასოდეს
ცვდებოდეს,
კალმით ნახატი სამშობლოს მრავალი
ებადებოდეს,
შენი სიტყვა და საქმენი უფალს რომ
ებარებოდეს,
ქართველთა დროშა ატარე
პატიოსნების მანდილად,
ანგელოზისა მზერამა ტურფა ვარდიც
კი დაჩრდილა,
გვიმრავლოს შენებრ პატარა, წყაროს
წყალივით ანკარა,
მოუსვენრობით ვკითხულობ, ნეტავ
ვისი ხარ, პატარავ...
ქართველთა ჯიში და ჯილაგი არასდროს
არ შეგერცხვინოს,
დიდი თამარის მზეობა და სიბრძნე
რომ შეგეძინოს,
უფალმა თვისი წყალობა და მადლი
გადაგაფაროს,
ასე ლამაზი თვალებით, დიდხანს
უმზერდე სამყაროს!



შოთა ზოიძე

ასპიდის დაფა

გრიფელთ ვნერდი ასპიდის დაფაზე, ერთად ვაგროვებდი მეტაფორულ ასტროიდებს, ასტრალურ მოტივებს ძვირად ვაფასებ, არაფერს ვეკითხები ფიფასა და ფიდეს.

ასპიდის დაფაზე ვნერდი გრიფელთ, მეხმარება ჩემი მარჯვენა და მარცხენა. გრძელდება ომი თეთრების და ნითლების, ომში ორივე მხარე მარცხდება.

პიკასოს მტრედი მირჩენია ჩელენჯერს, იესოს სადილი კლინტონის ბანკეტებს, მით უფრო, მე ვარ ცუდი მენეჯერი, მაგრამ მეტაფორას უკეთესად ვაკეთებ.

როდესაც მთვარეზე დავადგი ფეხი, კინაღამ აღარ დავუჯერე თვალებს, მაიაკოვსკი გავარდა, როგორც მეხი, უცხოპლანეტელი ვეგონე მთვარეს.

კორონა ვირუსზე ჩამიტარა ტესტი, აღმომაჩნდა დები ომხნელების გიტარა, მეგონა, ახლოს ვიყავი მზესთან, რა ვქნა თუ არა ვარ სოროსივით მდიდარი.

მაიაკოვსკის ლექსებს პლანეტები კითხულობენ, ჩემი ლექსები ვილას აგონდება, იქნებ აჯობებდა, ვყოფილიყავ კვითხურო, ანდა მშენებელი ცისფერი ვაგონების.

მთვარეზე ვერ ვნახე ხმელი ნიფელი, მთვარეს უჩემოდაც კარგად მოუვლიან. ასპიდის დაფაზე დავწერე გრიფელთ ლექსი და ვუგზავნი სპარტაკ კობულიას.

თეთრი ანაფორა, როგორც ასტრაგალი, როგორც ასტრაგალი თეთრი ანაფორა, აღარც ფუნჯი მინდა, აღარც ფარგალი, ასპიდის დაფაზე გრიფელთ გავაფორმე.

როცა მთვარიდან დავბრუნდი მიწაზე, უცებ კარანტინში ამოვყავი თავი, მთვარეზე ყველაფერი ვნახე და ვიცანი, არმსტრონგი და არმსტრონგი, სხვანი და სხვანი.

მთვარეზე ვიყავი თავისუფალი, იქ არ იბეჭდება „ვაშინგტონ ნიუსი“, მაგრამ არ ვიცი, რას ფიქრობს უფალი, ინსულტი მომკლავს თუ კორონა ვირუსი.

მთვარეზე ვერ ვნახე დიანას ჭალა, ჭალა და მისი ანტიკური დოქი, ვარსკლავები დაბლიდან წვრილ-წვრილი ჩანან, როგორც ქვიშაზე დაპნული ოქრო.

მა-აღამიანი!

მე ვარ ადამ და ევას კლასტერიდან, მე ერთხელ ევამ იარაღი ამყარა, მაშინ, როცა ჯვარს ვაცვი იესო ქრისტე, ქრისტე, რომელმაც შეცვალა სამყარო.

მე ვარ ქანდაკება მიქელანჯელო, მე ვარ რუსთაველი და პოეზია, ღმერთის მეტი არავისი არ მჯერა, პოეზია რუსთაველის დონეზეა.

მე ავანთე ალექსანდრიის შუქურა, სახელი გამოთქვა პიზას პირამიდამ, ჩრდილივით დამყვება უგზურთა მუქარა, ზოგი პირდაპირ და ზოგი-ირიბად.

მე აღმოვაჩინე ბეტელჰეიზი, მთვარე და დედამინა მე ავწონე, გადავსერე წყნარი ოკეანის აუზი, რათა კლუბპატრას თავი მოვანონო.

„ჩაკრულო“ მე ავიტანე მთვარეზე, და ფარდობითობა საოცარი, მე აღმოვაჩინე, რაც მთავარია, მე დავწერე „ვეფხისტყაოსანი“.

მოფრინავს ფანტელი, თეთრი პეპელა, — ქსენიების ცეკვა, ფერიების არული, მე დავასრულე სტიქსის კაპელა და ვიგრძენ სიმშვიდე კათედრალური.

მე შევიძინე ელისევეის ლუსტრა, რომელსაც ასხია ათასი ნათურა, ვეცადე, მაგრამ დროს ვერ გაუუსწარ, რადგან ვხნავდი და ვთესავდი ქართულად.

ბათუმში დელფინებს ავუშენე სახლი, დელფინარიუმს ეძახის ცირა, მაგრამ არ ვიცი, რას ვიზამ ახლა, სხეულში მამტვრევს, მზარავს და მცვივა.

ვესაუბრები ჩემს ჭკვიან დელფინებს, ჭკვიანებს, კეთილებს და სპორტულებს, ჩემს დაძახილზე ისე გამოეფინენ, რომ მათ მხარეზეა ფორტუნა!

ლუვრში მოვიპარე მონა ლიზა-ჯოკონდა, მარიამ მაგდალინელს ვუყურებ ახლა, ადრე ერმიტაჟის საშვი მეც მქონდა, მაგრამ ФЦБ-სთან ვერაფერს გახვალ.

ადრე მეც ვიყავი ლამაზი და ნორჩი, მერე და მერე გავხდი მენეჯერი, ადამიანი ზოგჯერ იბადება ორჯერ, მე ეს საკუთარ დროსთან შევაჯერე.

“გლობუსში“ მე დავადგი შექსპირის პიესა, სადაც არა ვარ, იქაც მხედვენი, მე ვარ ადამიანი-ჰომო საპიენსი, მე ვარ იესოს თედრი მხედარი.

და თუ ამაოა ყოველი გარჯა, მეც მალე მოვკვდები უღვინოდ და უპუროდ, და თუ ამაშიც ვერ დავაჯერე, ჯობია, დავდგეთ და ფანტელებს ვუყუროთ!

იესო

ჩემი დაბადება არაფერს არ ნიშნავს, მე ვარ ბრონეულის ერთი მარცვალი, დაბადება ის მითხარ, ქრისტე რომ იშვა, რომელმაც მთელი სამყარო შეცვალა.

იესომ იტვირთა ჩემი ცოდვები, მისი ჯვარცმა იყო სატანის რისხვა, სადაც წავალ და მივდგებ-მოვდგები, თავს შემახსენებს იესოს სისხლი.

ცხოვრება გახდა ძნელად სამართავი, სუყველგან ავი ქარები ქრიან, მწვანე პლანეტაზე ერთია სამართალი და ამ სამართალს იესო ჰქვია.

იესომ თქვა და ხალხმა ინება, ყოველთვის გიყვარდა მოყვასი შენი, სამყარო განაცვიფრა მისმა მოთმინებამ, რომელსაც ჯვარცმულის სახელი შეგნის.

სიყვარული ვაკურთხოთ ქრისტესმიერი, სამყარო იესოს შობას უცდიდა, ამ ქვეყანაზე იესოზე ძლიერი, ჯერ არ შობილა დედის მუცლიდან.

ბეთლემში დაიბადა იესო-ბავშვი, ბეთლემი ერთია, ზოგს ორი ჰგონია, ქრისტესშობას-ჩემი ვაშა და ტაში, ქრისტესშობას-ჩვენი სუნთქვა და გლორია.

ჩემი წილი მადლობა ვე არია, ვინ არ ინატრებს მშობელს შენისთანას, ყველა ქრისტიანი შენი ნათესავია, ნათესავი და მონათლული თანაც.

იესოს ჩასახვა იყო უბინო, ჩრდილივით დასდევდა ზაკვა და შური, იგი ცხოვრობდა უბინოდ და უმინოდ, მისი საზრდო იყო წყალი და პური.

დღეს ყველა საყდარი მისი სახლია, მისია ყველა მსხმოიარე ვაზი, ვერსად ვერ შეხვდები იესოსსახიანს, იესოს სახეზე ასკეზი აზის.

ყველაზე მწირია იესოს ტრაპეზი, ბედისწერამ იგი მეც კი მარგუნა, იესომ დათრგუნა სიკვდილის კაპრიზი, იესომ სიკვდილით სიკვდილი დათრგუნა.

მეც ვარ იესოს თეთრი მხედარი, მე ჩემში დავთრგუნე სიკვდილის შიში, მე ახლა იესოს საყდარში მხედვენი, მე, ვინაც ქრისტეს ნათელში ვიშვი.

ვერ გაგვანარმართა დრეობამ მკაცრმა, თავისი სხეული ჯვარცმისთვის მისცა, იესოს არ სჭირდება პირადი დაცვა, იესო ყველა სენისაგან გვიცავს.

დროებამ წაიღო ნითელი დემარში, მეორე იესო აღარ დაიბადება, დიდი პლანეტაა მზის სისტემაში, ჩვენ ვართ წვრილ-წვრილი ასტროიდები.

ჩემი დაბადება არაფერს არ ნიშნავს, მე ვარ ბრონეულის ერთი მარცვალი, დაბადება ის იყო, ქრისტე რომ იშვა, რომელმაც მთელი სამყარო შეცვალა.

რასტორანი ტყეში

გზადაგზა მწყემსების პასტორალი, მუხნარი და ნაძვნარი გზადაგზა, პასტორალის ნაცვლად რესტორანი, უღრან ტყეში ასკილი განაზდა.

რესტორანს ჰქვია „მონადირე“, გულმა გამინია სანადიროდ, ტახმა ზღარათანი მოადინა და ჩვენც განვენწყეთ სანადიმოდ.

სტუმრად მყავდა გიორგი ცაბაძე, სადღეგრძელოები ერთად მოვკალებთ, მონადირეებსაც კი წავბაძეთ, მაგრამ ვერაფერი მოვკალებთ.

გვინდოდა, ყველაფერი მოგვესწრო, როცა ამინდი ჩვენზე გაბრაზდა, აჟღერდა „შაშვების“ ორკესტრი, მუსიკა, რა თქმა უნდა, ცაბაძის.

რა თქმა უნდა, სიტყვები ზოიძის, მიკროფონთან ტოროლა-სოლისტი, არწივი დაბრძანდა ლოდირის, არ ვიცი, როდემდის მოიცდის.

აქ არი ნადირობის ქალღმერთი, დალი, ოქროსდალალებიანი, ქალღმერთი ჩვენთან ერთად გაერთო, აფროდიტესავით ვნებიანად.

ხარჯი სულ მეპატრონემ გაიღო, რესტორანმა დაჩრდილა პასტორალი, ტყეში ვიდევოზე გადავიღე ქალღმერთი დალი და რესტორანი.

უტუ მიქავას აჯანყება

ვიყავი მე შენი მამაცი მფრინავი, როცა ცხოვრებამ გამაფირალა, მეც გამოვცალე შხამიანი ფილა და კიდევ ერთი ლეტალური ფინალი.

მე ავაჯანყე უტუ მიქავა, ჯანყი გურიამი მე დავაანონსე, მაგრამ, ვაი რომ, მომიკლეს ნიქარა, მიუხედავად იმისა და ამისა,

ვიყავი მუდამ თავისუფალი, შენ რომ გინდა, ისე არ ფიქრობს უფალი.

ის არის შემოქმედი სულისა და ხორცის, მინისა და ცისა და ასე შემდეგ, და კიდევ ერთი საფლავის ბორცვი და კიდევ ერთი ლეტალური შედეგი,

ალაპი და ალაპი... თამადობს არტისტი... მანავის მწვანე და არაყი ანწლის... როცა გულში ამიფეთქეს საყდრისი, მე მაშინ შენი სამართალი დავწვი.

დროებამ ცხოვრება უხეშად დავარცხნა, არ ბერდებიან გზები და ქედები, უტუ მიქავას აჯანყება დამარცხდა, ჩემი აჯანყება გრძელდება!

დამარცხდა ხალხის ხელები შიშველი და რაც ვერ შეძლო უტუ მიქავამ — შიში, უსახსრობა, სიცივე, შიმშილი ჩემმა მეტაფორამ გადმოაპირქვავა.

უტუ მიქავა მე ავაამბოხე, ვიყავი ძველი ნაციმბირალი, პოეზიის ტყეში მაქვს სიზმრების ქოხი, პოეზიის ტყეში ვარ გავარდნილი ფირალი!

მეც მინდა ვიყო შენი მედროშე, ძველი დიდება კვამლივით გამქრალა, ბონინგში ვზივართ თუ ჩავდივართ მეტროში, დასაგმობია სიკვდილის მანქანა.

წამოგვევინა აჩრდილი ფანტომის, სახიფათოა აშშ და რუსეთი, სახიფათოა გახლენილი ატომი, თითქოს ნუცუბიდის ლექციას ვუსმენდე.

„ინდოეთს ვეძებდი, ვიპოვე ამერიკა“, ამერიკა ვიპოვე, დავკარგე ევროპა, სად არი არქიმედე — ევრიკა! ევრიკა! — ვნახოთ, მოთმინება როდემდე მეყოფა,

სამყაროს ბირთვული ღრუბელი დასცინის, სამწუხაროდ, სიმართლეს არავინ ამბობს, ამერიკას ეტრფოდა სოლჟენიცინი, თითქოს პიროსიმა მე დამეპობოს.

რას მოველოდი და რა დამეხედა, პიპინმოკლე ვერასოდეს გახდება პროკლე, მე იქ მოვკვდები, სადაც დავიბადე, სადაც დავიბადე, იქ უნდა მოვკვდე.

ვერ დავამარცხე სავალალო რეჟიმი, მშვიდი ფერმწერი ქვამარილს ლოკავს, ამერიკა სამოთხე ეგონა მეჭიროვს, მოსკოვში იცხოვრა და ჩიკაგოში მოკვდა.

პერედელკინოში გადმოსაფლავეს, აქ განისვენებს ბორის პასტერნაკიც, ყველა ეპოქაში პოეტის საფლავი, დასადაფნავია ულაპარაკოდ.

მე მინდა ვიყო შენი მედროშე, უკან დახევა წუთითაც არა ღირს, ბოინგში ვზივარ თუ ჩავდივარ მეტროში, დასაგმობია სკვდილის იარაღი.

სტანსაპი მემორად

ინგლისში-მარგარიტ ტეტჩერი, ინდოეთში-ინდირა განდი, უცხო გვარ-სახელებს ვეჩვევი, პოეტი ვიყავი, სნაიპერს ვგავდი. მე მაშინ შენ გამო ჭკუას ვკარგავდი.

რკინის ლედი იყო მარგარიტ ტეტჩერი, ინდირა განდი-ბრძენი ნერუსავით, მე სხვის საქმეში არასოდეს ვეჩრები, მე ახლა ამას სხვებსაც ვასწავლი, მე ეს თავად ცხოვრებამ მასწავლა.

მამაჩემს უყვარდა დიდი თამარი, მაგრამ არ იცოდა ვინ იყო ტეტჩერი, მაგრამ ეს არ იყო მისთვის მთავარი, მამასთან მოდიოდნენ მშვიდობის ელჩები, ცხადია, ტეტჩერს თამარი ერჩივნა.

ტეტჩერიც მოკვდა და ინდირა განდიც, ინდირა დაცვის წევრებმა მოკლეს, მკვლელობა სექტების შეთქმულებას გავდა, კრემატორიუმს გადასცეს და მოკლედ, ინდოეთის დედა სექტანტებმა მოკლეს.

მწვანეზე დადიან მკვლელები და ქურდები, პრემიერის მკვლელები, მკვლელები სიმართლის, როგორც ჩანს, ძველი დრო ბრუნდება, იგივე ხელწერა, იგივე მისამართი, თავს მოვიკლავდი, რომ ვიყო მოსამართლე.

ჯალათებმა ნავთულში ბავშვები დახვრიტეს, სანოლში ჩაცხრილეს პოეტი ბერდია, რამ გამახსენა ტიციაანი-ტიტე, არ ვიცი, წიგნის მერამდენე გვერდია, ამაზე თვალი დახუჭა მედიაში.

დახვრიტეს ვარდები და ლამაზი მაისები, რვა თვის ბარბარე ქვევრში ჩაქოლეს, პოეტის მკვლეელი პანთეონში განისვენებს, ზოგი მათგანი მაგონებს საქონელს, რა დამანერინებს, დარდი რომ არ მქონდეს.

არ ვიცი, რატომ ვახსენე ტეტჩერი, რატომ გავიხსენე განდის კრემაცია, უფანგბადობას თანდათან ვეჩვევი, რადიაციით გაჟღენთილია სივრცე, არ ვიცი, გული როგორღა მიცემს.

სულში ნათელი ჩამიგუბდა, თავზე მადგას ჩემი ამორძალი, ანგელოსებს მიაქვთ ჩემი კუბო, ღმერთის ეზოში დასაკრძალად.

თეოლოგიამაც გამიტაცა, ღვთისმეტყველება ავიცარი, მე ჯერ დღის რეჟიმი გავამკაცრე და სადოქტორო დავიცავი.

მე ვარ ღვთისმეტყველი პროფესორი, როცა მინდა, მაშინ ჰეგელი ვარ, ძველი შეცდომები გავასწორე, ღმერთით, ყველაფერი გამოგვივა.

ჩემი მოციქულთან გატოლება, ეპითეტია ლმობიერი, ორუცნობიანი განტოლება, სახალხოდ გაავაცნობიერი.

და ის, რაც სულში ჩამიგუბდა, მზის ნათელია და ასევე, ანგელოსებმა ჩემი კუბო, ღმერთის ეზოში დაასვენეს.

ქართული სიტყვის ალგორითმები, — რითმები, ანაფორები, რიტმები, ერთმანეთს ავსებენ და ითმენენ, რითმებს ვერ ითმენდა უიტმენი.

„ბალახის ფოთლები“, მწვანე და ურითმო, პირველად აღიარეს ფრანგებმა, ცხადია, გული მეც გამითბება, ჩემთვისაც თუ მოიცლის განგება.

კორონა ვირუსმა პლანეტა შემუსრა, მჯერა, რომ მალე დაიხვეს უკან, მაგრამ ჩემი მეტაფორის ვირუსი, გულზე ახატია საქართველოს რუკას.

შექსპირი

შექსპირი იყო სიუჟეტის პლაგიატი, მაგრამ სონეტების დავარცხნა სტროფები, ერთხელ ბოშა ქალმა გაუშალა კარტი, და უწინასწარმეტყველა კატასტროფა.

ზოგი რამ ჯერ კიდევ დასადგენია, ერთად აგროვებდა კატრენების მაგნიტებს, შექსპირი იყო პლანეტარული გენია, გენია და გენიალური პლაგიატი.

ალარც კი ვიცი, ამის მერე რა ვთქვა, ახალ სახეებს მეტაფორაში ვეძებ, სხვათა და სხვათა სიუჟეტებს ნთქავდა, ისე, როგორც ვეშაპი თევზებს.

შექსპირმა უკვდავყო მეფე ლირი, შექსპირმა უკვდავყო რომეო და ჯულიეტა, სპექტაკლის ფინალში ლირი თუ ტირის, ბედისწერამ ოტელოც გაიმეტა.

ბაირონის ვირუსი შეეყარა პუშკინს, ევგენი ონეგინი იცნობდა დონ ჟუანს, აქ შემართულია ბელინსკის მუშტი, ორ გენიოსს შუა.

პუშკინი იქით იყოს, აქეთ არი შექსპირი, აქეთ შექსპირია, პუშკინი-იქით, შუაში მე ვარ, ხალხური მესტერი და დრო სინათლის სიჩქარით მიჰქრის!

არბატი

დროგამოშვებით არბატზე მეც ვჩანდი, ისეთი ვჩანდი, როგორიც ვიყავი, თან დამქონდა მეტაფორების ჩანთა, მაგრამ არ მახსოვს ვისი ჯავრი ვიყარე.

მე თავისუფალი ყმანვილი ვიყავი, მოსწონდათ ჩემი შესამჩნევი ჭალარა, არბატზე დადის მილეთის ჭილყავი, დილა არი, შუადღე თუ საღამო.

არბატი ორია-ძველი და ახალი, ძველ არბატზე ცხოვრობს ბულატ ოკუჯავა, არბატს მეტაფორა გულზე დავახაღე, ვახტანგოვის თეატრია მომიჯნავედ.

ახალ არბატზე-იუნა მორიცი, მე ვცხოვრობ გერცენის ქუჩაზე, მაგრამ მეც არ ვიცი, როდემდე მოვიცდი, პერსპექტივას პირი არ უჩანს.

არბატზე ვინ მომამავა ამარტი, არაბული „არბადი“ გახდა „არბატი“. ამჯერადაც ათიანში გავარტყი, მაგრამ კინალამ ინფარქტმა დამარტყა.

მე აქ უშენობა მატყვია მაგრად, აქ არავინ არ მოიწყენს უჩემოდ. ამჯერად ინფარქტს გადავურჩი, მაგრამ არბატის ქალებს რა გადაურჩება?!

დროგამოშვებით არბატზე მეც ვჩანდი, ისეთი ვჩანდი, როგორიც ვიყავი, მეტაფორებით სავსე მქონდა ჩანთა, რადგან არბატზეც მხოლოდ შენ მიყვარდი!

კატორლა

კატორლამ თავი შემახსენა რატომღაც, მთელი ჩვენი ცხოვრება იყო კატორლა, კატორლა-გალმა, კატორლა-გამოღმა, ცხოვრების საზღვარი მთლიანად გამერღვა.

იქით-კატორლა, აქეთ-კატორლა, ქვემოთ-კატორლა, ზემოთ-კატორლა, როცა ყინულის ზოდები გამოლღვა, ეს მეტაფორა დაიბადა გამოღმა.

რატომ მედავები გაღმიდან გამოღმა, გამოღმიდან გაღმა დავძარი კატარლა, გამოღმა-გაღმაც კატორლაა კატორლა, და ეს ყველამ არ იცის რატომღაც.

მიცურავს კატარლა, ზღვა ისევ ღელავს, გესაუბრებათ ძველი კატორლელი, ცხოვრება, როგორც კატორლელის ღელე, კატორლელი მწუხრის სიმღერას მღერის,

რატომღაც ავიჩემე კატორლა და კატარლა, კატარლა და კატორლა ავიჩემე რატომღაც, ცხოვრება კატორლაა ოკეანის გადაღმა, ცხოვრება კატორლაა გადმოღმა.

ბროდსკი

ანტიფაუსტი, ანტიფაუსტი, ანტიმარქსისტი, ანტირასისტი, თავის დროებას ხელიდან გაუსხლტა, მინას შეეთვისა, როგორც ამეთვისტო.

პოეზია იყო მისი რელიგია. სახლში დატოვა ნობელის დიპლომი, „მეტყველების ნაწილი“ და „დიდი ელეგია“, რომელშიც მხოლოდ პოეზიას იპოვით.

ახმადულინას მეტაფორა მოსწონდა, ახმადულინამ მოიგო ნაძლევი, არც ნობელია უკვდავების მონშობა, უკვდავების დიპლომს უფალი იძლევა.

ბროდსკიმ ვერ იგუა ვოზნესენკი ანდრეი, ევტუშენკოს გმობდა, ადიდებდა ბელას, მაგრამ უკვდავება ჯერ კიდევ ადრეა, დრო მოვა და თავისას მიაგებს ყველას.

ტოლსტოი გააშავა ნობელის თიურიმ, არ შეტოკებია არცერთი ნერვი, ამას არ იკადრებდა მარია კიური, რომ ყოფილიყო თიურის ნევრი.

ბროდსკი ტოლსტოის ამბავს მიუტანს, მალე დაიწყება მეორე ტაიმი, ნობელს ვერ მოესწრო ისააკ ნიუტონი, სკანდალში გახვიეს აინშტაინი.

ძნელი სათქმელია ვინ უფრო მეტია, ზოგიერთს სჭირდება მეორედ მოსვლა, ბროდსკი მართლაც რომ დიდი პოეტია, დიდა, მაგრამ არა-გენიოსი.

პოეზია იყო მისი რელიგია, საფლავში არ მიაქვთ ნობელის დიპლომი, სახლში დატოვა „დიდი ელეგია“, რომელშიც მხოლოდ პოეზიას იპოვით.

აბაღო მოღიანი (ფრაგმენტი)

მოღელიანი არ ხატავდა მადონებს. აბაღომ დახატა ალექსანდრა დალიანი. სურათზეა ქალბატონი ქარიტული, ნატურშიცა ლამაზი გარნიტურით, რომელიც 26 მილიონად გაყიდეს. ნატურშიცა იყო ლამაზი და მადიანი — ასე მითხრა ჩვენებურმა ყაყიტამ და დაიძინა გაზეთი „გარდიანი“.

ახმატოვასაც ხატავდა გატაცებით. ახმატოვა იყო აბაღოს ცდუნება. აბაღოს არ ჰყავდა ძმაკაცები, არ ჰყავდა, კაცია და ბუნება.

ანა ახმატოვა მახსოვს ოცი წლის... ეს ის დროა, ქალი ზენარზე რომ იწვის... დაიფერფლება ხელი რომ არ ახლო, ხელი რომ არ ახლო და არ აკოცო. თავისუფალი ვარო, ანამ დაიტრაბახოს, ამაში ფრიალზე ჩააბარა გამოცდა. ანას პარიზში შორტები არ ცმია, მაგრამ განიცადა ემანსიპაცია.

რაც შეეხება აბაღოს, ამაზეც ფიქრი ამედევნა.

სადაც შოულობდა, იქვე კარგავდა... სექსომანი...მექალთანე...ჭლექიანი...სადისტი... ნარკოსტენი იყო და არაფერს არ ჰგავდა, არ იყო სხივისთვის, არ იყო თავისთვის, მარტოსული იყო, მარტოსულს არ ჰგავდა, ახმატოვას გარდა, მეგობარი არ ჰყავდა. ხაზი უნდა გაეხვას ამასაც, თავში აუვარდა ანასაც.

ხატავდა ანას იზოგენურ ფიგურას, ფორთოხლისფრად, მე ასე ვიგუე. აბაღოსაც ანა აუვარდა თავში, როცა მწოლიარეს ხატავდა, მაშინ. აუვარდა, მაგრამ ებიუტერნი უყვარდა, ჟანა, რომელმაც შვილი აჩუქა. ვიდრე სიცოცხლის სხივი ჩაუქრა, ჟანას ისეთი სიყვარული მოიმკა, რომ მისთვის თავი ადვილად მოიკლა, ანუ მეხუთე საართულიდან გადახტა. საბრალო ჟანა, რა არ გადახდა!

პარიზში აბაღოს ცოტა თუ იცნობდა... სიკვდილის ელექსირი თავისით აიცრა, დიდი რომ იყო, არც კი იცოდა, სიკვდილის შემდეგ მსოფლიომ გაიცნო.

ურანის გამდიდრება

ჩემს მეტაფორას გავამდიდრებ ურანით, ვიდრე ხელებს დაფუმოკლებ მდიდრებს, ნუ გამამტყუნებს ამისთვის ნურავინ, ამასვე იზამს, რომ იყოს, დიდრო.

არ დავუწოქებ არასოდეს არავის, ისევ შენ მენატრები და ბოლოს, მოვაშენე ეპითეტების კანაფი, ხალხი ლექსებს კანაფივით აბოლებს.

კანაფს არ მოიხმარს, რომ იყოს კადაფი, კანაფია უკანონობის შედეგრი, სულ სხვაა მეტაფორების კანაფი, ეპითეტებს მეტაფორებში შევდენი.

ამაზე ვხარჯავდი ძალიან დიდ დროს, ვხარჯავდი და ახლოს ვარ მიზანთან, ამასვე იზამდა, რომ იყოს, დიდრო, დიდრო რომ იყოს, ამასვე იზამდა.

იმ დროს სად იყავ და როგორ გადარჩი? შეხედე, რამხელა ქოფაკი აუშვეს, ვინც რუსთაველს დაუშენს დამბაჩას, მე მას ბირთვულ რაკეტებს დაუშენ.

ამის გამო ნუ გამიკიცხავს ნურავინ, მწვანე პლანეტა ბრუნავდა და ბრუნავს, ჩემს მეტაფორას გავამდიდრებ ურანით, ჩემი მეტაფორით გავამდიდრებ ურანს.

ჯემალ გაბელია

მოგონებები ნარსულზე

წვიმიანი, პირქუში დილა შემოიპარა სარკმელში გონებაში დიდი ხნის წინ მივიწყებული ქექვა დავიწყე, გამოძიებელს ალბათ მხოლოდ „კანონიერი ქურდის“ თავგადასავალი არ აინტერესებს. უეჭველია, აინტერესებს ის, რაც სინდისთან და პატიოსნებასთან შინაგან ბრძოლას (ვერც ერთი ნორმალური ადამიანი, ქურდიც კი, რომ ვერ უარყოფს) შეეხება. ესეც მისი ინტერესის სფეროში შედის. სადაც ნაკვირვალად, მეცნიერება ამას დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგიას მიაკუთვნებს. ასეც ხდებოდა: დამწყებ ქურდს ეჭვი მიპყრობდა და საკუთარი მე დაჟინებით მკარნახობდა: „გონს მოეგე, ვიდრე არ დაგვიანებულა“. არაერთხელ მქონდა სურვილი საბოლოოდ „შემეკრა კვანძი“, თუმცა იძულებული ვიყავი, არჩეული გზის სისწორეში ეჭვი არ შეეპარვოდა. სხვაგვარად უნდა მეღიარებინა, რომ ცხოვრებას ფუჭად არ ჩაუვლია. ამის აღიარება კი არავის უნდა.

მინდოდა, ბოლომდე გულახდილი ვყოფილიყავი გამოძიებელთან. მინდოდა, მას სცოდნოდა, რამდენჯერ მიცდია ცოდვების მონანიება. ტონიასთან ერთად დედასთან ჩასვლაც ხომ კიდევ ერთი მცდელობა იყო, გავქცეოდი ქურდულ ცხოვრებას. მასხენდებოდა ბებიას მონახულების შემდეგ კობაჩია არავის რომ არ ელაპარაკებოდა. ძალიან შეწუხებული და დაბნეული ჩანდა, მაგრამ მაინც წავიდა თბილისში.

მთელი ზამთარი დავრჩი სოფელში. ის 200 დოლარი დედას მივეცი. მიუხედავად იმისა, დედა თითოეულ მანეთად უფროსხილდებოდა, ეს ფული დიდხანს მაინც არ გვეყო.

ვერ შეეძელი „სიდოისა“ და მისი ძმაცაცების დავინყება. მღელვარე რისკიანი, სახიფათო, მოულოდნელობებით სავსე, მაგრამ მაძლარი და მხიარული დღეები კადრებით დამიბრუნდა თვალწინ. ჩემი უფროსი მეგობარი და დამრიგებელი „სიდოი“ მომენატრა, თუმცა ვერ ვხსნიდი, რით იყო ეს გამონეული. ახლა ძნელია ამის ანალიზი. ლომბროზო თვლიდა, დანაშაულებრივი ქმედების გენი მემკვიდრეობით გადაეცემოდა. საფუძველშივე არ ვეტიანხებები ამ აზრს. გვარში არ მყოლია არც ერთი ქურდი, ყაჩაღი, მკვლეელი, ჩემი ძმების მაგალითი ავიღოთ, არც ერთხელ არ დაუხვევიათ უკან, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ომის უმძიმესი წლები გადაიტანეს, შიმშილობდნენ, - ამ თეორიის უსუსურობას თუნდაც ეს ფაქტიც არ ამტკიცებს?!

ძმები სახლში დავტოვე და თბილისში დავბრუნდი.

„სიდოის“ ვუამბე როგორ გავატარე ზამთარი.

- ნუ დადარდიანდები, ბიჭუნა, ყველაფერი მოეწყობა, მალე შენი ძმაცაცია კობაჩიაც მოვა, რას გაიხარებს, ხშირად გახსენებდა. დღეს გენკასთან ერთად ლილოს ბაზრობაზე „მუშაობს“.

კობაჩია მარტო დაბრუნდა. შეწუხებული ჩანდა.

გადავკოცნეთ ერთმანეთი.

„სიდოი“ მიხვდა, რომ კარგად არ იყო საქმე და ჩაეკითხა:

- გენკა სადაა?
- „უკარაჩამ“ დააკავა (კუკარაჩას ლილოს ბაზრის უბნის ინსპექტორს ვეძახდით).
- დაიჭირა?
- არაფრისთვის, - მიუგო კობაჩიამ.

სიდოი გარეთ გავიდა.

ვიდრე კობაჩია და მე ვსაუბრობდით, „ხატაში“ ტონია შემოვიდა. კარგად იყო გამონყობილი.

- ბიჭუნა, ჩემო მეგობარო, - ტონიამ გულში ჩამიკრა, გემრიელად გადამკოცნა. ცოტა არ იყოს მეუხერხულა და ქალის კოცნაზე ჩემს ცხორებაში პირველად გავნითლდი.

ტონია საჭმლის მოსამზადებლად სამზარეულოში გავიდა.

მალე „სიდოიც“ დაბრუნდა.

- გამოუშვეს ჩვენი „ღორი“.

„ამას გენკაზე ამბობს“, გავიფიქრე და კარზე ისევე დააკაკუნეს.

- ოო, გოჭო, დიდი ხანია არ გამოგივლია, - „სიდოი“ შესახვედრად წამოდგა.

- ქალაქის „უგროზისკის“ ბიჭები კულზე მაჯდნენ და მოსვენებას არ მძღვედნენ, ჯღარკას ბანდამ „ჩამკვანზა მასკაზე“. დიღმის პოლიციაში ვყავდით, ძლივს დავუძვერი.

ლაპარაკობდა „ბლატნი“ ჟარგონით და ისეთ სიტყვებს ფანტავდა, ზოგიერთის აზრს მაშინ ვერ ვხვდებოდი. მერე „სიდოიმ“ ამიხსნა, რომ „მასკას“ ტრამვაის ეძახიან, „ჩამკვანძეს“ - პოლიციაში წამიყვანეს.

ჯღარკას ბანდას ქურდები ქალაქის „უგროზისკის“ ჯგუფს ეძახდნენ, იგი იმ დროს ჯიბგირთა რისხვა იყო.

მერე სუფრა გაიშალა. გადავკართი. გავმხიარულდით. ისტორიებიც გავიხსენეთ.

ასეთი სუფრები ხშირად იმართებოდა. სხვათა შორის ზომიერად ვსვამდით. ამამუც ისევე, როგორც ბევრ რამეში, ქურდული სოლიდარობა და დისციპლინა ჩანდა. დიახ, დისციპლინა გვექონდა, არსებობდა კანონები და წესები, რომელთა დარღვევა საკუთარი თავის დაღუპვას ნიშნავდა. ამასთან სასჯელი დანაშაულის სიმძიმის ტოლფასი იყო. დანაშაულის ხარისხის განსაზღვრა და დასჯა, მხოლოდ და მხოლოდ „სხოდაკას“ შეეძლო. არავითარი კიდერი, მით უმეტეს ცენტრი, რომელიც ქურდებს მართავდა, სრულიად დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, იმ დროს არ არსებობდა. ავტორიტეტები გვყავდა, მათ აზრს, რა თქმა უნდა, ვისმენდით, მაგრამ მათდამი პატივისცემას (მათ საქმიანობასა და ხარისხს მათი ვირტუოზულად მუშაობის ნიჭსა და პოლიციიდან დაძვრენის უნარს) „კანონიერი ქურდები“ განსაზღვრავდნენ. რა თქმა უნდა, მათ სიტყვებს შეეძლოთ „სხოდაკის“ გადაწყვეტილებაზე გავლენა მოეხდინა, მაგრამ ებრძანებინათ, ან თავისი აზრი თავზე მოეხვიათ, ამის უფლება არ გააჩნდათ. ყველაფერი კენჭისყრით ხდებოდა - „კანონიერი ქურდებისთვის“ არ არსებობდა ასაკი და კვალიფიკაცია და ეს იყო კანონი.

დილით, როცა გამეღვიძა „ხატაში“ კობაჩიას გარდა არავინ იყო. ცოტა თავი მტკიოდა, მაგრამ ჩემი ერთგული მეგობრის მოდულტულმა ყავამ მიშველა.

- სამუშაოდ ჩვენ აღარ დავდივართ, - განაცხადა „კობაჩიამ“, - „საფუარი“ ბლომდაა, წამოდი მცხეთაში, ხინკალზე გპატიჟებ.

მე და კობაჩია ქუჩაში გავედით. ფიქრებმა გამიბაცა.

აი, მე უკვე კანონიერი „შეგირდი“ ვარ, „სიდოისთან“ ქურდული განათლების საფუძველებს ვეუფლები, პროფესიული „შირმარის“ ხელოვნებას, როგორც ჯიბგირებს უწოდებდნენ.

სალამოს „სიდოიმ“ გამოგვიცხადა, რომ მე, „კობაჩია“ და თავად დილით ლილოს ბაზრობას ვენვეოდით. მოდურად, გემოვნებით უნდა ჩაგვეცვა.

- არ ვაპირებ ჭკუა ვასწავლოთ. მენტები ჩაცმა-დახურვას ყურადღებას აქცევენ. ასე იყო და ყოველთვის ასე იქნება. ქურდმა, სადაც „მუშაობს“ ყურადღება

არ უნდა მიიქციოს. ვიდრე გაერკვევიან რა მოხდა, თქვენი კვალი უნდა გაქრეს, მიხვდით, ბიჭებო? ჰოდა, შევეცდებით, ინტელიგენტური ოჯახიდან გამოსული ბიჭბივით გამოგანყოთ.

„სიდოიმ“ ბაზრობაზე დიდხანს და დაკვირვებით შეარჩია ჩვენთვის ტანსაცმელი. საუკეთესო შარვალი და მოდური ფეხსაცმელები. „სიდოი“ ჩვენი მოძღვარი იყო. როგორც მეგობარს ისე გვექცეოდა. ყველა იმ ილეთს გვასწავლიდა, რამაც მას დიდება და პატივი მოუტანა. გადაჭედვით ავტობუსში და სამარშრუტო ტაქსებში გავდიოდით პრაქტიკას. დროთა განმავლობაში მეც ავითვისე ჯიბგირის ძირითადი თვისებები.

იმ დროს გავიცანი ბინის ცნობილი ქურდი „ლისა“ - უხეში და ემბაკი, ურთიერთობაში მკაცრი. ჯიბგირი „კოჩია“ - მეოცნებე ნატურა, ჩემი დამრიგებლის საუკეთესო მეგობარი, რომლის ბედიც ტრაგიკული აღმოჩნდა. თავიდან ყველაფერი კარგად იყო. მაგრამ აღმასვლას, დაღმასვლაც მოჰყვა.

ერთხელ სამუშაოს დამთავრების შემდეგ მე და კობაჩია „ხატაში“ ახალი დაბრუნებული ვიყავით კარზე კაკუნი რომ გაისმა. დეიდა ქეთუშკიმ სარდაფში ჩასასვლელი გააღო, წერო და კობაჩია შიგ ჩაძვრნენ, მე კი კარის გაღებამდე მომძახა - არ დაგავინყდეს, შენ ჩემი ნათესავი ხარო.

პოლიციის მუშაკი ოთახში შემოვიდა. მათ დიდხანს ისაუბრეს. ოთახიდან გამოსულმა პოლიციელმა გამომკითხა ვინ ვიყავი და აქ რას ვაკეთებდი, მათი წასვლისთანავე ქეთუშკიმ თავისუფლად ამოიხუნტა.

- ვინ გვესტუმრა? - დაინტერესდა წერო.
- ჩვენი რწმუნებული, იგორა.
- ხშირად დადის?
- არც ისე, მაგრამ ხანდახან შემოივლის ხოლმე.
- „საფუარს“ ჭამს?
- ჭამს რომელია?

ცოტა ხანში „სიდოი“ და მისი ძმაცაცია მოვიდნენ. ისევე ცუდ ხასიათზე იყვნენ. დალიეს და კაცურად ილაპარაკეს. მაშინ გავიგე, რომ საღამოს ქურდული საძმოს „სხოდაკა“ იყო დანიშნული.

- შენ არ წამოხვალ?

- უნდა ვნახო როგორები არიან თბილისელი ქურდები, სამი წელია „სხოდაკაზე“ არ ვყოფილვარ.

„სიდოის“ და მის ძმაცაცს ჯღარკას ვიზიტი არ ესია მოვნათ.

- ამაღამ არ არ დავრჩებით, - გადაწყვიტა „სიდოიმ“. მერე „წეროც“ ნაიყვანეს. მე და კობაჩია ძმაცაცთან წავედით.

„სიდოის“ სიფრთხილემ გაამართლა. ღამით ისევე მოსულა პოლიცია. როგორც დეიდა ქეთუშკიმ გვითხრა, „წეროს“ ეძებდნენ.

დილით მე და კობაჩიამ დელისის მეტროსთან „წამუშავება“ გადაწყვიტეთ, მაგრამ უცებ ჯღარკა და მისი ბრიგადა დავინახეთ და ავორთქლდით.

თითქმის ერთი კვირა არ გვინახავს ჩვენი დამრიგებელი, კვირის თავზე შემთხვევით დიდუბის ბაზრობაზე შევხვდით, მასთან იყო „წეროც“. როგორც მივხვდით, ისინი ძველ „ხატაში“ დაბრუნებას აღარ აპირებდნენ.

ახალი „ხატის“ პატრონი - ბიძია ისიდორე აფთიაქის მეპატრონე აღმოჩნდა, ძალიან ფრთხილი ადამიანი. ყველაფერი აინტერესებდა. რატომღაც ეს ტიპი მე და კობაჩიას არ მოგვეწონა.

წერო მოუსვენარი იყო. თითქმის ყოველთვის რისკზე მიდიოდა. როცა შებინდებოდა ჯიბში იარაღს ჩაიდებდა და

სადაც მიდიოდა. დილით მოდიოდა და ყოველთვის ნადავლი მოჰქონდა. არავინ იცოდა სადამდე მოახერხებდა „ოპერაციების“ თავის სასარგებლოდ ჩატარებას. მორიგი ოპერაციის დროს იგი ფაქტზე დაიჭირეს. ერთ ხელში იარაღი ეჭირა, მეორეში - ფულით გატენილი ჩანთა.

მალე ქურდული ბლიკის ერთ-ერთ გაუთვალისწინებელ მოსახვევში უბედურება მე და კობაჩიასაც დაგვატყდა თავს. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ დიდუბის ბაზრობაზე თვალი შემასწრო თვითონ ჯღარკავამ - ჯიბის ქურდების რისხვამ. ფაქტი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც წამიყვანა ქალაქის „კპზ-ში“. მეორე დღეს დილით მოვიდა დეიდა ქეთუშკი და გამომიშვეს.

თავისუფლებაში ყოფნა დიდხანს რომ არ გავრძელებოდა ვგრძნობდი. ერთ დღეს მე და კობაჩია ერთად „დავინვით“. ცოტა ხანს პოლიციაში გავგაჩერეს. მერე მიმღებში გადაგვაგზავნეს. ზოგიერთებს მიმღებში ყოფნა მოსწონდათ კიდევ, მაგრამ მე და კობაჩიას თავისუფლების გარეშე ცხოვრება გვემძიმებოდა. გამოგვიშვეს თუ არა მიმღებიდან, პირდაპირ დეიდა ქეთუშკის „ხატაში“ მივედით. გახარებული ქალი თავს დაგვტრიალებდა. დილით „სიდოი“ და მისი ძმაცაცია მოვიდნენ. მათაც გაუხარდათ, მაგრამ გაბრაზებულმა „სიდოიმ“ საყვედური გვითხრა:

- დროა, ბიჭებო, ჭკუა ისწავლოთ. ყოველდღე დიდუბის ბაზრობაზე რომ დადიხართ, იქ თქვენ ზეპირად გიცნობენ. თბილისში ბაზრობისა და ბაზრობების მეტი რა არის, აირჩიეთ. დიდუბის გზა დაივინყეთ. გახსოვდეთ: ქურდული კანონია, სადაც ცხოვრობთ იქ არ უნდა იქურდოთ.

- ახლა ყველანი ფრთხილად უნდა ვიყოთ, მალე ჩვენთვისაც მოიცლიან, მერე გვიან იქნება.

ახალი წელი ახლოვდებოდა. დეიდა ქეთუშკაც საგანგებოდ ემზადებოდა. ახალი წლის ღამეს „ხატაში“ ყველაფერი ღამაზად მოაწყო, უკეთესს ვერც იხატებდი.

„სიდოის“ ძმაცაცებმა ფეიერვერკი მოგვინყვეს. დეიდა ქეთუშკი სუფრას დასტრიალებდა. „სიდოი“ გიტარას აწყობდა.

მთელი ღამე ვიქვიფეთ. დილის 6 საათზე საშინელი ამბავი გავიგეთ. „სიდოის“ უახლოესმა მეგობარმა იარაღით თავი მოიკლა. სანამ თავს მოიკლავდა წერილი დატოვა, რომელიც „სიდოიმ“ ხმამაღლა წაიკითხა:

„მაპატიეთ, ძმებო, ასე ცხოვრება აღარ შემიძლო, ბევრი ცუდი ჩავიდინე, ჩემს თვალწინ გაუსკდა გული მოხუც ქალს, რომელსაც ჯიბიდან უკანასკნელი ფული ამოვაცალე. ყველას გირჩევთ, გააკეთოთ სათანადო დასკვნები. ნუღარ გააბორორებთ ხალხს. მშვიდობით, ჩემო „სიდოი“. გთხოვ, ქურდულად დამასაფლავოთ“.

წერილის შესახებ არაფერი არ უნდა გაიგოს პოლიციამ, ბრძანა „სიდოიმ“. იგი ცდილობდა, გაექარწყლებინა წერილით გამონეული შთაბეჭდილება, მაგრამ თავდაცვლიანად განიცდიდა აღნიშნულ ფაქტს.

„სიდოიმ“ კეთილსინდისიერად აღასრულა მეგობრის ანდერძი. იგი ქურდული პატივით დაასაფლავეს. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქართველი თუ არაქართველი ქურდული ელიტა დაკრძალვის დღეს აქ იყო, პოლიცია არავის მიკარგებია. მომხდარმა უბედურმა შემთხვევამ ძალიან იმოქმედა კობაჩიაზე. იგი თავის თავში ჩაიკეტა. აშკარად ჩანდა, რომ რაღაც ანუხებდა. სოფელში წასვლა გადაწყვიტა. მინდა, დეიდა გულიკოს ვალი დავუბრუნო.

ერთად წავედით. გზაში კობაჩიას არაფერი უთქვამს. შინ დაბრუნებულმა კი მითხრა: „კოჭოიამ ვაჟუცაური ნაბიჯი გადადგაო“.



ჯუბა ჯანდიერი - 85

85 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი შემოქმედი ჯუბა ილიას ძე ჯანდიერი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო ჯუბა! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან მშვენიერ შემოქმედს - პოეტს, კომპოზიტორს, მსახიობს, მხატვარს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 85 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

მართლაც რომ მრავალნახნაგოვანი შემოქმედი ბრძანდებით, მართლაც რომ ფართოა თქვენი თვალსაჩინო, მართლაც რომ ფართოა თქვენი შემოქმედებითი ინტერესების სფერო და მაინც ჩვენთვის, თქვენი მეგობრებისთვის, თქვენ, უპირველესად, პოეტი ხართ. ჩინებული ლირიკოსი...

თქვენი პოეტური ნათლობა 1971 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „თბილისში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „გვირილები“. მას შემდეგ თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველმა მკითხველმა შეიყვარა თქვენი პოეტური კრებულები („ლირიკა“, „ბედი - ავბედი ხელოვანისა“, „ცხოვრება გრძელდება, მაესტრო“, „გულის ტკივილით ამოვქსოვე სულის წუხილი...“), შეიყვარა იმიტომ, რომ თქვენი შემოქმედება, თქვენი ყოველდღიური ღწვა და შთაგონება დაუსრულებელი სწრაფვაა სინათლისაკენ, სიმალისაკენ, შეიყვარა იმიტომ, რომ თქვენი საოცრად მუსიკალური ჟღერადობის ლექსები ქართული სულიერებითაა დამუხტული, რაც განსაკუთრებულ ხიბლს ძენს თქვენს პოეზიას. არაერთი ლექსი ინგლისურ და რუსულ ენებზე ითარგმნა.

ჩინებული კომპოზიტორი ბრძანდებით, ისეთი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია თანამედროვე ქართული მუსიკალური სამყარო. შედეგებად ქცეულ თქვენს სიმღერებს („მზეო - მარიამ“, „არაფერი მთავრდება და არაფერი ქრება“, „ხოხობს სძინავს თბილისში“, „მზეო თიბათვისა“, „მსახიობის ბედი...“) სასიმღერო ჟანრის ისეთი კორიფეები ასრულებდნენ და ასრულებენ, როგორც არიან ნანი ბრეგვაძე და მირეი მათიე, ლილი გეგელია და ევა პილაროვა, მანანა მენაბდე

და ევა პისარეკი, ალექო ხომერიკი და მუსლიმ მაგომაევი, თემურ ნიკლაური და თამარ გვერდნიძე. გამოცემული გაქვთ საავტორო ფირფიტები, კომპაქტდისკები, აუდიო კასეტების ათი ალბომი. რამდენიმე გრან-პრის მფლობელი ხართ. თქვენ პირველმა ააჟღერეთ უმშვენიერეს ჰანგებად დიდი გალაკტიონის ლექსები.

წლების განმავლობაში ენოდით სასცენო მოღვაწეობას კოტე მარჯანიშვილის და სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრებში, აგრეთვე მოზარდ მაყურებელთა თეატრში, სადაც არაერთი საგულისხმო როლი შეასრულეთ.

თქვენი მრავალმხრივი ნიჭიერების კიდევ ერთი დასტურია წარმატებული ცდები მხატვრობაში, რამაც საკუთარი ნიშა გაპოვნინათ საოცრად მდიდარ ქართულ მხატვრობაში. გვახარებს, რომ თქვენი ტილოები მსოფლიოს ცნობილ მუზეუმებშია დაცული...

დიდხანს მუშაობდით ფირმა „მელოდიის“ მთავარ მუსიკალურ რედაქტორად. არჩეული იყავით საქართველოს მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, თეატრის მოღვაწეთა კავშირების, საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის აკადემია „ფაზისის“, ექვთიმე თაყაიშვილის საზოგადოების, თავადაზნაურთა საზოგადოების წევრად, მონიჭებული გაქვთ ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიები, საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ქართული კულტურის რაინდის, ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო წოდებები; დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენითა და ქართული კულტურის ამაგდარის მედლით.

ბატონო ჯუბა! თქვენი შემოქმედება მნიშვნელოვანს გვაგონებს, ქართული მზისა და მადლით გასხვივსნებულს, აკანკალებული ხელებით რომ მიგაქვთ მშობელი ქვეყნის საკურთხეველთან. კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს მხცოვან შემოქმედს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ ადამიანურ ბედნიერებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

უფლება თუ მაქვს...

ისევ დავცურავ მე შენს ტალღებში... უფრო ლაღი და უფრო ფრთიანი გვერდით მომყვება, ცელქი თარეშით მაცდუნებელი გრილი ნიავი... ტალღებს, რაც უფრო შორად მივყვები ვარ გარემოში გარდასულ დღეთა... სად ტიტლიკანა გოგო-ბიჭების თავშექცევას და ჟრიამულს ვხედავ. თავს მახსენებენ, როგორც ზღაპარში... კაცის ფიქრები, რა გზას დავადგე... - ზღვაო! კი მინდა შენთან თამაში უფლება თუ მაქვს, რომ გავთამამდე... სიმშვიდე სუფევს ამ ხეთა ჩრდილში ნიავს კი მოაქვს ჩურჩული ზღვათა შორს... სადღაც ბავშვის გაბმულ ტირილში იხსენებს ვიღაც ძველისძველ ზღაპარს... ვიღაც მოჰყვება მდუმარედ ნაპირს აგრილებს ქვიშას, შავი ზღვის ზვირთი... მეც შენ გიხსენებ... მდუმარედ, გაკვრით და უშენობა, რატომღაც მიკვირს...



ნანა კოტეტიშვილი - 85

85 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი ქალბატონი ნანა ლადოს ასული კოტეტიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო ნანა! ჩვენო საყვარელო თანამოკალმეც! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი მონივნებით მოგესალმებიან ორი დიდი სამწერლო გვარის - მაყაშვილთა და კოტეტიშვილთა ღირსეულ შთამომავალს, სინმინდითა და კდემამოსილებით გამორჩეულ ბანოვანს, ჩინებულ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 85 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 55 წლისთავს.

თქვენ დღემდე მოღვაწე ქართველი ლიტერატორთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნით, რომელმაც საკუთარ თავზე იწვინა საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიების ენით უთქმელი სუსხი. და მაინც ვერაფერმა გაგტეხათ, ვერ გაგაბოროტათ, ვერ გათქმევინათ უარი იმ წმინდათანმიდა იდეალების მსახურებაზე, რასაც სათნოება, სიკეთე, სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება ჰქვია...

თქვენი სამწერლო დებიუტი კი 1966 წელს შედგა, როდესაც გამომცემლობა „ნაკადულმა“ ცალკე წიგნად გამოსცა ჩეხი მწერლის კლარა იარუნკოვას წიგნის „ჩემი საიდუმლო დღიურის“ თქვენეული თარგმანი.

მას შემდეგ ქართული მწერლობა იქცა თქვენს ნავთსაყუდელად, ქართული მწერლობით სუნთქავდით ნახევარ საუკუნეზე მეტი და ამის დასტურია თქვენს მიერ შედგენილი ისეთი მშვენიერი წიგნები, როგორცაა ვახუშტი კოტეტიშვილის პოეტური კრებული „აკლდამა ჩემთა ოცნებათა“, „მზიანი რწმენის საუფლო“, „ლექსო, ამოგთქომ ოხერო“, „კიდევაც დაიზრდებიან“, „ფშაური კაფია“, „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“, „ფოლკლორული ძიებანი“, „ჩემი საწუთრო - სამზეო“,

„მონადირული სიზმრები“, „ლადო კოტეტიშვილი - საექიმო იდეები „ვეფხისტყაოსანში“, ვახტანგ კოტეტიშვილის „ფოლკლორული ძიებანი“, მიხა და პავლე ხელაშვილების პოეტური კრებული „მტერიც არ შემხვდა მტრისფერი“... ყოველივე ეს თქვენს მეუღლესთან ერთად, ჩინებულ მწერალთან გიგი ხორნაულთან ერთად შესძელით.

თქვენს კალამს ეკუთვნის მეტად საყურადღებო წერილები „სამკურნალო საშუალებები ქართულ ზეპირსიტყვიერებაში“, „სიზმარი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში“, „ვახტანგ კოტეტიშვილი - ქართული ფოლკლორის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი“, „ვანო ხორნაული - ქართული ხალხური სიტყვიერების მოამაგე“...

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ღვაწლი, რომელიც თქვენ დასდეთ დიდი მეცნიერისა და მოღვაწის ალექსანდრე ხახანაშვილის ცხოვრებისა და საქმიანობის შესწავლას. მას მიუძღვენით მონოგრაფია „ალექსანდრე ხახანაშვილი - ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი“, რომლისთვის 1986 წელს დოქტორის აკადემიური ხარისხი მოგენიჭათ. „სამშობლოს მოჭირნახულე“ - ასე ჰქვია კრებულს, რომელიც ამ დიდებულ პიროვნებას მიუძღვენით.

შეუძლებელია უემოციოდ და აუღელვებლად გაეცნოს მკითხველი თქვენს ისეთ წიგნებს, როგორცაა „ვერგამოგლოვილი“ და „ცხოვრება მოგონებებში“, რომლებშიც კოტეტიშვილთა და მაყაშვილთა ტრადიციით სავსე ცხოვრების ეპიზოდები გააცოცხლეთ და მსხვილი შტრიხებით გაამდიდრეთ საქართველოს ისტორიის იმ შავბნელი მონაკვეთის შუქჩრდილები...

სხვადასხვა დროს მუშაობდით თბილისის ცენტრალურ არქივში, ლიტერატურის მუზეუმში, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებაში და ყველგან სპეტაკად და უშურველად ემსახურებოდით ქართულ სულიერებას, ქართულ კულტურას.

ქალბატონო ნანა! კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცვთ საიუბილეო თარიღს ძვირფას კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი საწუთრო მიზნების განხორციელებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

რეზო სირბილაძე

ქუთაისი

ბაგრატიდან გადავყურებ ქალაქს,
სილამაზე ლამის სუნთქვას მიხმობს...

ჩამოვირბენ კიბეებზე ფეხით,
ფრენა-ფრენით გადავივლი რიონს,

წყალტუბოდან მოვარდება ქარი,
გზას იპოვნის მოსასვლელად იოლს,

მისი სუნთქვა საოცარი, თბილი,
დღესაც დაქრის ჩემს ქალაქში თითქოს

ბაგრატს მკერდზე ჩამოსტირის სითბო,
ხელაპყრობით გადმოჰყურებს რიონს,

* * *

ცისარტყელა გაუფანტავთ ჩიტებს,
ზეიმი აქვთ გამართული დიდი,

ღმერთო დედებს ააცილე სევდა,
გაუზარდე სიყვარულის შვილი...

ს ა მ თ ვ ი ს ი

ილარიონ სამთავნელმან აღაშენა ტაძარი ესე...
ნე წელთა ხელდ ქრესა ს ნ ა ნ

იქნებ, ციდან ჩამოსახლდი ქართლში,
იქნებ, სულაც აქაური არ ხარ,

კაცის ხელი რას მიწვდება შენს მხრებს,
სამთავისო, მხრები იმხელა გაქვს,

თითქოს უფლის აგისხია ფრთები,
მოგირთია მკერდი რალაც სხვაფრად,

სამთავისო, ვინ მოგქარგა მკერდი,
რა ხელმა და რა გონების თვალმა,

არა!... არა!...
მინიერი არ ხარ!...
შენ, ლოცვა ხარ, მოვლენილი ციდან...

გამიმხილე!...
მითხარ!...
ნუთუ მართლა გასაფრენად მზად
ხარ?!

ჯვრის მონასტარი

ჯვრის მონასტერს გამოუსხამს ფრთები,
გასაფრენად ემზადება ახლა...

მომატარე კლარჯეთი და ტაო,
მომაფერე პარხალსა და ბანას,

მანავარდე აფხაზეთის მთებში,
თვალს შევავლებ ლიხნეს ღვთიურ

დამიბრუნე უფლის წილი, რაც მაქვს,
მტრისგან ურცხვად წართმეული მთები,

მალოცვინე ჩემს ხახულს და პარხალს,
მაპოვნინე დაკარგული ძმები,

მერე?!...
მერე ჩამიკარი მკერდში,

ჯვრის მონასტერს გამოუსხამს ფრთები,
გასაფრენად ემზადება ახლა...

ჯ ვ ა რ ი ს ა

ნეტავ, ვინ დახატა ასეთი ლამაზი,
ეს ჩემი პატარა, კოპნია ჯვარისა

აქ, რომ გორებია ასეთი მაღალი,
აქ, რომ ტყეებია მწვანე და წაბლისა,

ვის აქვს ასეთი ღვთიური სამკვიდრო,
სად არის, ასეთი სურნელი ცაცხვისა,

ეს უფლის კუთხეა, ასეთი მაღალი,
გამორჩეული ნათელი ხალხისა,

ნეტავ, ვინ დახატა ასეთი ლამაზი,
ეს ჩემი პატარა, კოპნია ჯვარისა

ჯემალ შანიძე

ბაბუაჩემი

ბაბუაჩემი უბრალო კაცია,
დღედაღამ სოფლური ცხოვრებით

მას თეთრი ნაბადი ყოველთვის აცვია
და სალამობით ჩამოჰყავს ნახირი.

ყანაც და ვენახიც მუდამ მოვლილი აქვს,
მის მტკიცე მარჯვენას სულ ვეაღერებ.

აფასებს ვაჟას და აფასებს ილიას
და შეუდარებლად გამოდის ლექსებიც.

ბაბუაჩემი უბრალო კაცია,
დღედაღამ სოფლური ცხოვრებით

* * *

სიჩუმის ლანდი მიღენდა, დალბა,
ოთახში წყნარად გაისმის ბახი.

ოთახში როგორ აგორდა სითბო,
გარეთ კი ისევ ქარია ნელი.

რთველი

დამთავრდა რთველი. მშვიდობით, კარგად.
უკან დავტოვეთ ალაზნის ველი.

აჰა, მე უკვე დავცალე ღვინო
და ახლა შენთან ვარ ალავერდი!

* * *

მე ალბათ შენთვის ყველაფერს შევძლებ,
თუ დროზე ადრე მოვიდა თოვლი...

მე კი ლოდინით ყველაფერს ვუძლებ,
რომ კიდევ ერთხელ ვიხილო თოვლი...

ზამთარი

ა.თ.

აი, ზამთარიც მოვიდა ისევ -
თეთრი ფიფქების მთელი პლიადა.

და ვლოცავ მაგ შენს ნაცრისფერ თვალებს,
რომლებსაც ოდნავ სილურჯეც დაკრავთ,

და ვლოცავ მაგ შენს ნაცრისფერ თვალებს,
რომლებსაც ოდნავ სილურჯეც დაკრავთ,

შალვა კარაელს

შენ პოეზია გაიარე ჩუქურთმებისა,
სალამბოს ფიცი განუახლე ლიელას

უზადობას რომ ჩართავდი ლექსთა
ქარგვაში, შენ გიტა-

ცებდა პოეზია - ყანნები ცისფერ,
და სულ არ ჰგავდი სხვა ყმანვილებს

და სულ არ მიკვირს, კარმელი რომ
დღეს კარგად ვიცი რითმები და ესეც

* * *

შენსავით ძლიერ ვის უყვარს რთველი,
ვის უყვარს ხნულში ყურძნების კრეფა,

შენსავით გამრჯედ ვინ უვლის ყურძენს,
ვის უყვარს მისი ფერადი წვენი.

გაგონდება?

ა.თ.

გაგონდება ის სალამო?!
მარტის სიო, მშვიდი, ნაზი.

გაგონდება ის სალამო?!
მარტის სიო, მშვიდი, ნაზი.

გაგონდება ის სალამო?!
მარტის სიო, მშვიდი, ნაზი.

მზიური დათიაშვილი-აფციაური

ნამიგულთა გზა

(რ. მიშველაძის რომან „ნამების“ გამო)

ბატონ რევაზ მიშველაძეს მე ბავშვობიდან, სკოლის მერხიდან ვიცნობ, როგორც პირდაპირობის, სამართლიანობის მქადაგებელს, ყველა თაობის დამრიგებელს და მოამაგეს.

2018 წელს გამომცემლობა „საქართველოს მაცნემ“ გამოსცა რევაზ მიშველაძის ახალი რომანი „ნამება“, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ შენდებოდა და შენდება საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობა დრამატული ნარსულით და დღევანდელი სოციალ-პოლიტიკური სინამდვილით.

კოსმოური გაგებით: „ნამება“ მიესადაგება ზე-შთაგონებული არსის მოღვაწეობას ქვეყნის შექმნიდანვე (შესაქმე).

უზენაესმა შექმნა სამყარო - ქვეყნიერება, კოსმოსი თავისი განსაზღვრული კანონებითა და ამ კანონთა მოქმედების სანგრძლივობით, რომელთა დაცვა დაავალა ყველა არსსა და არსებობის - სამყაროს მარადიული მშვიდობიანობისათვის.

ეს იყო და არის ზენაარის უდიდესი შემოქმედებითი ამპლუა, რომელიც დასაწყისიდან (უხსოვარი და ჩვენთვის მიუწვდომელი დროიდან) დაიწყო და დღემდე გრძელდება და დიდება უფლის სახელით მოხაზვას... რომ სამომავლოდ გაგვიბრწყინოს და გაგვიხანგრძლივოს სიცოცხლე და ცხოვრება, რომლის მონაშენი და მონაშენი ნინაპართა და ნინაპართაგან დაწყებული - ადამ და ევას ჩამომავლობა ვიტანჯებით...

ჩანს სამყაროში სათნო ძალას ბოროტება აღემატება. ამიტომაც მასთან ბრძოლა ძნელი.

რაც არ გეკუთვნის, მისსაკუთრო? - რატომ და რისთვის? როგორ? - ისმის კითხვები.

ვინ ჩანდა ბოლომდე ნუთისოფლის გამოცანას: სათნობა, სიყვარული, სინდისი, პატიოსნება, ერთგულება, დახმარება, თანაგრძნობა, შური, გაუტანლობა, ღალატი, დასმენა, ქურდობა და ათასი სხვა რამ, რომელიც ტანჯულ ცხოვრებას თან სდევს სწორედ ამ მგრძობიარე სამყაროში და ერთის მხრივ, თუ ამაღლებს მის ავტორიტეტს, მეორეს მხრივ ღალატს მის ღირსებას.

მშვიდი ადამიანი ყოველთვის განონანს-ნორებულია. აღშფოთებული კი - მტრისას, მას ღვთისმსახურებაც კი არ აწყნარებს, რადგან ისეა ჩაბეჭდილი მასში ბოროტება და გამჯდარი ძვალ-რბილობი, ვერ დაიხვეს უკან, სანამ თავის სანადელს არ მიადნებს და შედგენს? ამას ელოდება სწორედ შემქმნელი, რომ ეშმაკი ჩამოიცილოს გზიდან, მტანჯველის კლანჭებიდან გაათავისუფლოს მსხვერპლად შეწირული.

ეს ქვეყანა ყველასია! - კი, ბატონო, იცხოვრე, ისუნთქე, სადაც გასურს და როგორც გასურს, მაგრამ სხვას არ ავინო. რატომ სწადი სიბოროტეს? - რატომ მკრეხელობ? (რა თქმა უნდა, უცოდინარობის გამო). ამპარტავანთ ღმერთი მიაგებს პასუხს. ნიშნისგება არ გეჭირდება, მაგრამ რატომ-ღაც, ეს ასეა.

სამყაროში სინამდვილე არ უნდა დაირღვეს, ღმერთი მის შელაპარაკებას არავის აპატიებს. მას მთელი სამყაროს, კოსმოსის (ჩვენგან შეუცნობი სივრცის) მშვიდობა და განვითარება სწყურია და ამიტომ ებრძვის სატანას. ამიტომ ჭირდება მას მხარში ამოღობა, მის მიერ შექმნილი გონის, რომელსაც დღემდე ვერ გაურჩევია, რომელია კეთილი და ბოროტი, თეთრი და შავი.

„ნამება“ ის დიდი მხატვრული ტილოა, რომელშიც სინათლის - მზის შუქის ნიაღში წარმოდგებიან თავისუფლებისათვის მებრძოლი სახეები, წინარე 2 თუ 3 საუკუნის გმირები და ეძიებენ გზას მშვიდობისა და დამოუკიდებლობისაკენ.

რა უკიდურესობა არ ტრიალებს ქვეყანაზე, რატომ უნდა ეძებოს ადამიანმა თავის მიწაზე საკუთარი სული? - ნაკალევი კი რჩება...რჩება და ლაპარაკობს ყველაფერზე, თუ როგორ გაჩნდა და წარმოიშვა აქ სიცოცხლე:

„რომ მთვარის ზედაპირით უსიცოცხლოს და უამრავი ფიალის ანაბეჭდებით დაღრმულუბულს დევთა საფლაფლებად აწნდა ქვიშის ბორცვები...“

„არავინ იცის მითაჟამის სიძველე შემოხმობთ და გარდაბნის ტანს, თუ მილონი წლის წინათ ოკეანეს გადაეშვა ეს ეულად შთენილი შემოგარენი...“

უკეთეს შედარებას ვინ მოიფიქრებდა ამ ადგილების აღსაწერად. მართლაც ნანამებია საქართველო თავისი ტერიტორიით, მრავალნანამები დახვეწილი სულით, სადაც ეროვნულობას დიდი ხანია დაუსადაგურებია და მისი არა თუ ნალკატის, უსიცოცხლო ქვიშის სული აურჩევია ნინამძღვრად...

„უბედურებაა მზის ქვეშეთში, რომ ყველას ერთი ხვედრი აქვს: ადამის ძეთა გულბეც ალსაყვია სიბოროტით და სიმღეგეა მათ გულბეცში, ვიდრე ცოცხლობენ, ამის შემდგომ მკვდრებში გადავლენ“ (ეკლესიასტი).

„ისიც შევიტყვე ამ მზის ქვეშეთში, რომ მკვირცხლთა ნებაზე არაა რბოლა, არც მამაცთა ნებაზეა ომი, არც ბრძენთა ნებაზეა პური, არც გონიერთა ნებაზეა სიმდიდრე, არც მცოდნეთა ნებაზეა მადლი, რადგან დრო და შემთხვევა განაგებს ყველაფერს...“ (ეკლესიასტი, გვ.485, თავი IX).

„ამაონი არიან ბუნებით ყველანი, ღვთის უმეცრებაში მყოფნი, რომელთაც ხილულ სიკეთეგან ვერ შეძლებს შემეცნება არსებულისა და ვერც საქმეთა მიხედვით გამოიცნეს ხელოვანი...“ („სიბრძნე სოლომონისა“, გვ. 497).

რომანის მთავარი მოქმედი პირი უნივერსიტეტის ყოფილი ლექტორი, პროფესორი ლევან კაკაბაძე, ცხოვრების დიდი ჭირ-ვარამ გამოვლილი, ახალგაზრდა თაობის უანგაროდ აღმზრდელი, მასწავლებელი, რომელიც ხმამაღლა აცხადებდა: „იმ ბოლო დროს „ნაცების“ მიერ დაპყრობილი უნივერსიტეტი ეროვნული ინტელიგენციის სამჭედლო აღარ არისო...“ - რა თქმა უნდა, მე-20 საუკუნის უახლესმა ტექნიკამ ეს სიტყვები ჩაინიშნა და კადრების განყოფილებაში წარუდგინეს: „გლობალიზაციამ და ბოლონის პროცესმა აღარ დაისაჭიროვა, უნივერსიტეტის სტრუქტურებს ტვინს უზურღავდეთო დამოუკიდებელ საქართველოზე და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე საუბრითო“.

გამწარდა კაკაბაძე. მანამდე ორჯერ იყო დათხოვილი უნივერსიტეტიდან: ერთხელ 1951 წელს უსამართლოდ გადასახლებულთა გამოქომაგებისათვის და მეორედ - 1978 წელს ქართული ენის დაცვის მიტინგზე გამოსვლისათვის...“ როგორ, არ უნდა გამოსარჩლებოდა მათ? მაგრამ ეს კი არ იყო დასაწინა 80 წელს მიღწეული პროფესორისათვის, მტკივნეული იყო იმ გადაგვარებული ფსიქიკის ატანა, რასაც თანამედროვე ინტელიგენცია იჩენდა მის მიმართ: დაუნდობლობა, გაუცხოება, თითქოს მთელი ამ წლების მანძილზე მათთან ერთად არ ემუშაოს, არ ემეგობროს და დახმარება არ გაენიოს, - არც ერთს სინანული არ გამოუთქვამს სტრუქტურებისთვის საყვარელი პროფესორების უნივერსიტეტიდან გაძევების გამო.

ჩანაწყენებულმა, რა თქმა უნდა, სიმშვიდისათვის, გარდაბანში, ერთ დიდ კლდეში მდებარე, ნაცნობ ქვაბ-საყდარს მიაშურა. მღვდელი გარეთ გამოსულიყო და მზეზე თბებოდა. გაეხარა მისი მისვლა, მაგრამ უმაღლე შეიცნო ქვეყნის უმადურებით გამოწვეული დიდი ტკივილი...

პროფესორმა ცოტა შეისვენა და უკან დაბრუნება გადაწყვიტა. მღვდელი კი ჩანჩერილი ლექციების კონსპექტი დაუტოვა...

გული მომიკვდა, როცა მწერლის მთელი პირდაპირობით აღწერილი პროფესორის ცხოვრება, მისი სულიერი ტანჯვა დავინახე, საქართველოს გარეშე მტერთაგან მიყენებული ეროვნული გადაგვარებულობისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში, სწორედ უცხოელმა დამპყრობლებმა შემოიტანეს: გაანადგურეს, გადათელეს, გახრწნეს, თავსლავი დაასხეს წელში მოხრილ, ქრისტეს მადლს შეიხუნულ ქართველებს. ვის რა დაეუშავებ? რაც რამე კულტურა შევქმენით, ნავგართვეს, ჩვენის ჩვენადვე მოხმარება არ დაგვაცადეს და ახლაც გვედავებიან საკუთარ მიწა-წყალს...

პიროვნულ სიფაქიზეს, სილამაზეს, ეროვნულ თვითმყობადობას შეწირული ერის გათელვა არავის ადარდებს: მიგნით შადიმან ბარათაშვილები, გარეთ ოკუპანტები, ხალხი შიშით გარეთ ვერ გამოდის. განუკითხაობა: მეზობელი მეზობელს არ ინდობს, ქალებს აუპარტახებენ, ახალგაზრდებს ხოცავენ, საკუთარ სახლში, ეზოში ატყვევებენ ოდესლაც ჯიშთან ქართულ მოდგმას მიწასთან ასწორებენ. ყველას ფეხებზე ჰკიდია შენი კულტურა, ალბათ მალე თბილისილა დარჩება საქართველო, ემუქრებოდნენ კიდევ: „აღარ იარსებებსო საქართველო რუკაზე“. აი, რას ტიროდა პროფესორი, როცა ლექციების კურსს უკითხავდა სტრუქტურებს.

უხედავად დამაშულ, გაუმხელელ ფაქტებს, ჩაახედა ყველა პოლიტიკურ მოვლენასა და ფაქტებით დაანახა მტრის ორგულობა, მათი სიბილნე, შინაგანი გაუტანლობა.

როგორ? - სიმართლე არ უნდა იცოდეს მომავალმა თაობამ?

ჩვენს სასიქადულო მწერალს, რევაზ მიშველაძეს დიდი მხატვრული ალლოთი აქვს საქართველოს მთელი სინამდვილე აღწერილი და კონკრეტული, დამადასტურებელი ფაქტებით

გადმოცემული ყოველი დარტყმა ურჯულოებისა და თუგინდ „ერთმონწმუნე“ ჩრდილოელი მეზობლისა საყვარელ სამშობლოზე...

ვინ არ იცნობს ამორძალთა ისტორიას. მეგონა მსგავსი არსად მოიპოვებოდა, მაგრამ თურმე ვიკინგები (ძველი შვედები) ქალი-მეომრები ყოფილან. ალბათ ისინიც ასევე გაამწარეს დაპყრობითმა ომებმა და იძულებული შეიქმნენ სამშობლო დაეცვათ, მაგრამ ისევე მათი ისტორიიდან ვიცი, რომ ისინი უშუალოდ თვითონ აწარმოებდნენ დაპყრობით ომებს განსხვავებით ჩვენი - ქართველი ამორძალებისაგან.

იქნებ, სურს მტერს, ჩვენც გავიხსენოთ ამორძალობა.

სამშობლო არ დაითმობა. შეცდომია, რომ სამშობლოს ტოვებენ და უცხოეთში გარბიან. ამით გზას უხსნიან მტერს, რომ დაუფლოს ქვეყნის ტერიტორიას, ჩვენს ეროვნულობას.

ეს, პატარ-პატარა, ნოველებით შემდგარი, თანმიმდევრული, 430 გვერდიანი რომანი „ნამება“, დაწყებული თურქ-სელჩუკთა და სპარსთა შემოსევებიდან, არაბთა და მონგოლთა გამანადგურებელი ომებით დალილი, დაკნინებული საქართველოს უიღბლობით შეწუხებული მწერლის გულ-ჯვარ-ამომყრელი ოსტატური მონოლოგებით ალაპარაკებს ლევან მეორე სამეგრელოს მეფეს: „მამაო, შენ ცოტა დაისვენე და შენს წმინდა საქმეს შეუდევი. ან მე ვიცი, რას ვუზამ რუსეთს. როგორც ჩანს, მართლა ველურები ვგონივართ „ძვირფას სტუმრებს“. მასპინძლებად ჩვენს კაცებს მივუჩენ და მთელ სამეგრელოს შემოვატარებ, ნახონ რანაირი ხალხი და რანაირი ქრისტიანები ვართ. რაც შეეხება მიღებას, ჯერ არაფერი საჩქარო არ არის, შენ სამი წელი გალოდინეს და ამთავც ცოტა ხანს მომიცადონ, არაფერი დასვდება“.

უთუოდ დიდია და განუსაზღვრელი, რომანის იდეური, თუ მხატვრულ-ფილოსოფიური ღირებულება, რომელიც ყოველი ქართველის სამაგიდეო ისტორიულ თუ მხატვრული ლიტერატურის ნათელ აზროვნებას უნდა შეემატოს მისი კონკრეტულის, ფაქტობრივი სიზუსტის, დროთა თანმიმდევრული ცვლის, ისტორიული მიმოხილვითი ხონის, თუ ლიტერატურის მხატვრული სიუჟეტური განვითარების მიხედვით და ერთ მთლიან დაურღვეველ ფაზულად ქცევიო.

რომანი მოიცავს პერიოდს შუა საუკუნეების კომმარული პერიოდისა, კერძოდ 1636 წლის 3 ივლისიდან 2018 წლის ჩათვლით. პერიოდს, როცა საქართველოს არ გაუხარია. ან როგორ გახიარებდა თავისუფლებადკარგული, მიმე სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების მონა, რომელმაც საბოლოოდ დაკარგა საკუთარი ღირსების გრძნობა. ველური, თავხედური შინაპოლიტიკური და კარიერულ-მანჯისტრული სიტუაციების ფონზე, უცხოური ოკუპაციის დამანგრეველი სიველურით წარმოშობილი ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურებით გამოწვეული ტრაგიზმის კვალობაზე.

სამშობლოს პატრიოტები ვართ, გვიყვარს ჩვენი სამშობლო, მაგრამ ერთი პრინციპი მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა არ გავგაწინია. ტყვეას არავინ უშვერს მკერდს, გარდა ნამდვილი პატრიოტებისა, რომელთათვისაც სიტყვიერ მადლობასაც არ იმეტებს სახელმწიფო (მტრისაგან მახედაგებული არათი) გმირობის მინიჭებას, ან სხვა რამე ჯილდოს მათი დაობლებული ოჯახების შესანახად.

რაოდენ დასანანია და აღმაშფოთებელი, როცა საკუთარი სამშობლოს ბედი დაუდევარ უცხოელთა ხელშია, რომელთაც არაფრად არ ადარდებთ ამა თუ იმ ქვეყნის სისხლით მონაპოვარი და ნამებით შესისხლბორცებული საკუთარი მიწა-წყალი. ეროვნული სიმპათიების მიმართ მონინებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

აბრიგად, თურქ-სპარსთა და არაბთა შემოსევებისგან განამებულ-შემწრუნებულ და მონლოლთაგან გათელილმა, სამთავროებად დაშლილმა და გაპარტახებულმა საქართველომ კარგად უწყობდა რა, ჩრდილოეთის იმპერიული ცბიერება და ამპარტავნობა, ერთმონწმუნეობის იმედით მინც მას მიმართა დახმარებისათვის. თუმცა მათი ვირეშეპოკობა მაშინდელი გულგრილი და გაუთვითცნობიერებელი მეფის მოხელეებისა, რომლებიც თვით მიხილ თევდერეს ძესაც კი არ ინდობდნენ, კარგად გაათვითცნობიერეს ქართველებმა და პასუხი გასცეს მათ სტუმრების სამეგრელოში... ეს მოხდა 1639 წლის 27 აპრილს, როცა ლევან მეორემ ერთგულების ფიცის წიგნი არ გაუგზავნა რუსეთის მეფეს და მართალი იყო თუ არა ლევან მეორე? - ამ კითხვას პასუხი გასცა 1795 წელს თბილისში ალა-მაჰმად-ხანის შემოჭრამ და ტოტლებების არაუერთგობის ღალატმა - რასკენს მწერალი რევაზ მიშველაძე.

ქვეყნის გარევითარება ყოველთვის მიაპყრობს გუმანს ქვეყნის შინაარეულობისაკენ და თუ

მისწვდა აუცილებლად გესლს გაურევს... მაგრამ გონიერი მეფენი ყოველთვის თავიდან იცილებენ მოსალოდნელ ავბედითობას. ასე მოხდა 1590 წელს, როცა „ოფშკვიტის ომი“ არ შედგა, მაგრამ 1626 წელს შემოდგომაზე ქართველები „ბაზალეთის ტბასთან“ სამკვედრო-სასიცოცხლოდ შეებნენ ერთმანეთს და მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების გმირი გიორგი სააკაძე, სწორედ შაჰის გესლიანი ენით შეგულიანებულმა საკუთარმა თანამემამულე მეფემ თეიმურაზ პირველმა დაამარცხა და ირანში გადახვეწა ერთგული სახელოვანი სარდალი.

ხილო რაც შეეხება „ფიცის წიგნს“ კახეთის სამეფოსა (მეფე ალექსანდრე მეორე) და რუსეთს შორის 1589 წელს გაფორმდა „წყალობის სიგელით“.

თუმცა, ვერც ამ სიგელმა უშველა საქართველოს. მესხეთ-ჯავახეთი 300 წელი გმინავდა თურქეთის უღელქვეშ.

ოღონდ სიცოცხლე და სამშობლო გადაერჩინათ, ქართველები საკუთარ ციხეებსაც კი ანგრევდნენ, რომ მტრებს არ დაეკავებინათ მათი სანააღმდეგოდ. ასე დაანგრია 1769 წლის 8 აგვისტოს „უქიმერიონი“-ს ციხე ჯერ თურქ-ტოტლებენის შეტევამ, მერე ქართველებმა.

ქრისტეს ჯვარცმად აღიარებულ საქართველოს ორი პაატა ევლინება: პაატა სააკაძე - გმირი, საქართველოს დიდი მოურავის გიორგი სააკაძის შვილი, ირანისათვის შეწირული, რომელსაც შაჰ-აბას I-მა თავი მოჰკვეთა 1625 წლის 1 ივლისს გიორგი სააკაძეზე შურისძიების გამო და ბატონიშვილი პაატა, კახეთის მეფის - ერეკლე II-ის ბიძა, რომელმაც „უახილ ეგოროვის“ პასპორტით 1749 წელს პეტერბურგი დატოვა და 3 წლის შემდეგ თბილისში ჩამოაღწია: პეტერბურგი - რიგა - მიტავა - მეშელი - კენიგსბურგი - ვარშავა - კომენეცი - ბუქარესტი - კონსტანტინეპოლი - ერზურუმი - თბილისი.

სამშობლოს ასეთი სიყვარულის მატარებელი ბატონიშვილი ერეკლე დაანინაურა და მრჩეველად დანიშნა, მაგრამ პაატა რუსეთთან კავშირის ნინააღმდეგი იყო, რისთვისაც თავი მოჰკვეთეს 1765 წლის 15 დეკემბერს. - რა კოსმოური იდუმალბაა: სამშობლოსათვის იბრძვიან და სამშობლოს გულწრფელი სიყვარულისთვის იხოცებიან... - მთავარი სულის სიძლიერეა. მტერი ცალ-ცალკე უნდა ამოშანიო.

შთაბეჭდილებების ქვეშ მოაქცია ათასჯერ გადაფურცვლილმა ისტორიამ სტრუქტურები. ისინი ეძებდნენ გზას, როგორ ეშველათ საქართველოსთვის - საყვარელი სამშობლოსთვის.

რუსული ოკუპაცია მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე შემოიჭრა საქართველოში მეფობის გაუქმებისთანავე. მეფის ნაცვლები ერთმანეთს ცვლიდნენ.

ქართველები, ბუნებით შეუგუებულნი არიან. ამას ჩვენი ისტორიაც ადასტურებს, ამიტომ ისინი ვერც რუსულ ჩექმას შეეგუენ... მწერალი ასე აგვიწერს ოკუპანტთა დამოკიდებულებას ქართველებისადმი: „ორი კვირა დაჰყო ნიკოლოზ პირველმა საქართველოში. ორი კვირის განმავლობაში თოხნი ისეთი ამბავი შეემთხვა, რომ პეტერბურგში ჩასულმა გრაფ აქსელბურგის შეკითხვას - ხომ კმაყოფილი ხართ, თქვენო იმპერატორობით უდიდებულესობავ, სამხრეთში მოგზაურობითო, ზიზლით უპასუხა: - ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ გადავჩრი, ველურ ბუნებაზე უფრო ველური თურქმენ ქართველები გახლავან, მონყალეო ხელმწიფე. მსგავს სისულელეს ჩემს სიცოცხლეში აღარ ჩავიგდენ“-ო.

სამშობლოს დამცირებით გულშენუხებული მწერალი თავის გმირს სასონარკვეთით ათქმევინებს: „დავით აღმაშენებლის ხმლით შემოხაზულ 300 ათას კილომეტრიან საქართველოსაგან მე-20 საუკუნის პარმალუ სულ 111 ათასი კვ. კმ. შემოგვრჩა სანუხაროდ. ისტორიის უსამართლო დგანდგარმა სწორედ XX საუკუნეში დაგვაკარგვინა 66 ათასი კვ. კმ. და 45 ათას კვ. კმ-მდე დაგვიყვანა.

„რუსეთის იმპერიის დაშლით ისარგებლეს ჩვენმა მეზობლებმა და ჭილყავებევით დაგვესივნენ“- ნერს მწერალი.

მტრისაგან გამწარებული ქართველების ბრძოლას ასე აგვიწერს გენერალი კვინიტაძე: „1918 წლის 24 დეკემბერს სამხრეთ საქართველოს ომის დროს იმერეთის ასულმა მტრის მიერ ოკუპირებულ შულავერს შეუტია და სამი სტრატეგიული მადლობი დაიკავა. თუმცა, ჩვენმა ჯარისკაცებმა იმ დამითვე მიატოვეს სისხლისმღვრელი ბრძოლის მოპოვებული პოზიციები და მახლობელ სოფელს მიაშურეს ჩანის დასაღვავად“.

„1921 წლის თებერვალში საქართველოს წითელი იმპერია მოადგა, დაუნდობელი XI არმიის

იესე ნია, მოგონება

პირისპირ კოფორ-ტაბახმელასთან პირტიკველა იუნკრები დადგნენ...

რევაზ გაბაშვილი იგონებს: „სოლანულთან მანიაშვილის გამარჯვებით შემიწებულმა ჟორ-დანია...

ვაი, ტანჯული საქართველო, როგორ შეგამინა მტერმა, რომ საკუთარ ხალხს, საკუთარ ძმას...

ისტორიის ნიღბელში ჩაძირული ლექტორი ლევან კაკაბაძე სტუდენტებს შთააგონებს: რომ ისტორია ვერასოდეს მოიწონებს ხელისუფლების...

რას აკეთებდა ქართული ემიგრაცია? - არა, არ იყვნენ ფეხი-ფეხზე გადადებული ბოლშევიკ-თა მიერ დაპყრობილი საქართველოს ეს გულმხურვალე...

მართალია 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მაგრამ 1924 წლის აჯანყება გარდაუვალი იყო. მისმა მოთავეებმა იცოდნენ, რომ რუსებისაგან თავის დაღწევა...

მწერალი დიდი მონდომებით მიადევნებს თვალყურს თავის გმირს - ბატონ ლევან კაკაბაძეს და სურს, ისტორიის ამ პროფილიდან დაანახოს საქართველოს...

„უმკაცრესი 1937 წელი გაფრთხილება იყო მსოფლიოსი“ - აღნიშნავს მწერალი რევაზ მიშველაძე. „კაენის სულის აღზევება“ დაარქვა მწერალმა ამ სამ მოთხრობას, რომელშიც XXI საუკუნის პირველ ათწლეულში უგუნურმა ხელი-სუფლებამ...

განმეორდა 1921 წლის 25 თებერვალი დამოუკიდებელი საქართველოს ბოლომდე დამხობას წინ უძღვის 1989 წლის 9 აპრილი.

რუსმა ჯალათებმა ნიშნებით, ტანკების გადავლით იწყეს მოშიშმითა ნაშაბა.

1992 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ძალების 11 ტანკი შემოგზავნა რუსთაველის პროსპექტზე და ზვიადის - დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ხელისუფლება დაამხო.

რომანის გამწარებული გმირი აღშფოთებით ლაპარაკობს: „საქართველოს მინაზე ასამდე სხვა ერის წარმომადგენელი ცხოვრობს და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენ - ქართველებს არაქართველი შეგვევიწროვებინოს.“

ოთხმოციანი წლების მიწურულს კი - დღის ნესრიგში დადგა ეროვნული საკითხი. ესეც ალბათ იმიტომ, რომ გადმამუდგავების პრინციპით ნაერთობით ქართული მიწები...“

„იმხელა ხაფანგი დაგვიგეს, რომ ვერ მივხვდით, ზვარაკად შეწირული ზვიადის ნასვლა თვითმკვლელობა იყო თუ მკვლელობა.“

არ მინდა საქართველოს დაბრალდეს ილია ჭავჭავაძის მსგავსად სამშობლოს შეწირული ზვიადის სიკვდილი. ეროვნული ხელისუფლების დამხობას სამოქალაქო ომი მოჰყვა. საქართველო „ზვიადისტებად“ და „შეგარდნადისტებად“ დაიყო.

XX საუკუნეში ორი უთანასწორო ომი გადავიტანეთ რუსეთთან: ერთი 1921 წელს და მეორე 1993 წელს და ორივე ჩვენი დამარცხებით დამთავრდა. თუმცა ომში გამარჯვებული და დამარცხებული არ არსებობს: „ომიდან გამარჯვებით დაბრუნებულთა ძალებით უნდა შევეგებოთ“, ლაოძის ეს სიტყვები მოწმობენ, რომ მისივე სიტყვებითვე რომ ვთქვათ: „ვინც ზეიმობს გამარჯვებას, ზეიმობს კაცთა კვლას, ვინც ზეიმობს კაცთა კვლას, ვერ ეღობება ქვეყნად სიკეთეს.“ (ლაოძი)

საქართველო დიდი განსაცდელის წინაშე დადგა: „განსაცდელის ჟამს ყველა უბედურება ერთად იყრის თავს“ (იოანე დამასკელი).

რომანის გმირი არ ცხრება და მოუწოდებს: „იცოდეთ, ქვეყანა დამარცხებული მაშინაა, როცა დამარცხებას შეეგუება“.

„სანუთროს ხმაური დასცინის მარადისობის გალობას“ (რაბინდრატ თაგორი).

„იაშთხვა“ - ძველი პალეოლითური ხანის ადგილი სოხუმთან. სასტიკი ბრძოლები წარმოებდა რუსეთ-საქართველოს შორის 1993 წელს. საქართველომ თავისი შვილები, ერის დამამშვენებელი ვაჟკაცები შესწირა ამ ბრძოლას: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და თავდაცვის საბჭოს თავჯდომარე, გენერალ-მაიორი ჟიური შარტავა - საქართველოს ეროვნული გმირი; ექიმი ალბერტ ძონენიძე, ვასილი აფციაური, არჩილ მიშველაძე, ვეფხვია მათი-

აშვილი და ბევრი, ბევრი პატრიოტი ქართველი. ამ ბრძოლას ვუძღვენი ჩემი წიგნი „იაშთხვაზე“. ამ ბრძოლამ დიდი ტანჯვის ფურცელი ჩაწერა „ნამება“-ს ისტორიაში.

და საქართველოში გაჩნდა ახალი სოციალური ფენა - „ლტოლვილები“ - („დევილები“). ერთხანს ატყუებდნენ მათ პოლიტიკოსნი გაეროს ჩარევის გზით „ღირსეული დაბრუნების ზღაპრით“, მაგრამ 30 წელია მიხვდნენ, რომ მსოფლიოში სამართალი არ არსებობს და უახლოეს მომავალში, მაინც, მათი დამბრუნებელი არავინ არის.

2008 წელს როკის გვირაბიდან 200 ტანკი შემოიყვანა რუსეთმა, დაბოძა მშვიდობიანი მოსახლეობა და... - არა, არ უნდა დაგუთმობოთ დამპყრობლებს ჩვენი მიწა-წყალი, განა წინაპრებიც ასე არ იქცეოდნენ!..

„ქართველ პოლიტიკოსთა მაძიებელი გონება დღედაღამ ცდილობს, გაისიგრძეგანოს, რა წყობა აჯობებს საქართველოში - საპარლამენტო, საპრეზიდენტო თუ მონარქიული...“

ცხადია ისინი სათანადო პატივს არ მიაგებენ გმირ მამულოშვილებს და გიორგი სააკაძე მხოლოდ მხატვრული ტილოს დამამშვენებლად მიაჩნიათ.

„მცირე ჭეშმარიტებას ნათელი სიტყვა ახლავს, უდიდეს ჭეშმარიტებას - უსაზღვრო დუმილი (რაბინდრატ თაგორი).“

მწერალი ყველა თავის ძირფესვიანად განხილვა და რომელიც უნდა ნავიკითხოთ, მიზანი ერთია: მისტიური საბჭოეთიდან დევნილები, ზღაპრული ცხოვრების მოლოდინში, უკიდურესი ცინიზმის ქვეშ აღმოჩნდნენ... „მზეს ერთი ნაკლი აქვს, მას თავის დანახვა არ შეუძლია“ (სოკრატე).

„ჯერ კი გვექია ქართველები, თუ არ გაგვაეკიმოსეს“ - გალაკტიონის ლექსი გაახსენდა მწერალს და ანძაზე მჯდარ ბელურას შეხედა. „გაჭირვება ყველა მეცნიერებაზე მეტს ქმნის“ (ეზოპე) ჩაილაპარაკა მაინც დანაშაულები.

ხელისუფლების მიერ ინტელიგენციის აბუჩად აგდება მთელი ძალით 2003 წლიდან დაიწყო... და ლექტორი გაგულისებულ ლაპარაკობდა:

„ჩვენ ყველაფერს ავიტანთ, მაგრამ ვერ ავიტანთ ქართული მუზეუმების გაჩანაგებას, ქართული ენომენის შეურაცხყოფას, ქართული სულის ჩანახლას, ქართული ისტორიული რელიკვიების გაპარტახებას.“ - „იცით, რა არის მცოცავი ანექსია? - თითქმის ყოველდღიურად გადმოსწევენ საზღვრის ნიშს და ახალი მავთულხლართებით ნთქავენ ქართულთა ეზოებს, შუაზე ჭრიან საფლავებს. ღობის იქით აქცევენ საყდრებს...“

„უღაჯობამ და უიმედობამ ლამის სული ამოხადოს...“

„დე, ადამიანი ყოველთვის დარჩეს ადამიანად“ (სენეკა).

სწორედ ამ ადამიანურმა ერთბაშად მოიყარა მთავარ გმირში თავი და... ამ ცხოვრებაში საშველი რომ ვერ ნახა: - მაპატიე, ღმერთო! - რა მშვენიერია წყალში სიკვდილი... ნამიცი, და ვილაცის ღონიერი ხელი მხარზე წვდა... და საქართველოს იმედიანი დარდით ბუჭებში მოხრილმა მწერალმა ნანარმოების მთავარი გმირი შო მღვიმის მონასტერში ბერად აღკვეცილი იხილა... „2018 წლის 26 ოქტომბერს „შო მღვიმის“ მონასტერში ოთხმოცდახუთი წლის ასაკში ბერად აღიკვეცა პროფესორი ლევან კაკაბაძე და ეწოდა: „ბერი ერმინე“.

არც რომანის ავტორი გახლავთ ბერად ნაკლები ხნის, თავის გმირთან ერთად გაიარა საქართველოსთვის მძიმე საგოგოო გზა და სასოებით შეჰყურებდა აღმართზე ამაველ ერმინეს, როგორ მხნედ მიჰქონდა საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლი კაცის მძიმე ტვირთი. ...და მაინც დაუოკებელ იმედად მოჩანს რევაზ მიშველაძის ამ რომანში ჩვენი დაბნეული თანამედროვე ბოლო სამსაუკუნოვანი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის აბურძგენილ ბერად ქცეულს შიში რომ ჩასდგომია თვალებში და გემის ანძას ეულად შერჩენილი ელოდება მზეს, რომელიც ადრე თუ გვიან დააშრობს სისხლის ოკეანეს კამკამა, ლაჟვარდოვანი წვიმით გადარეცხს სისხლმემხმარ სივრცეს და მშვენიერებას დაუბრუნებს დედა ღვთისმშობლის ნიღბვედრ ქვეყანას. გმადლობთ, ბატონო რევაზ მიშველაძე! - რომ თქვენ მოახერხებთ და მკითხველის თვალსანიერში ამოატივტივებთ საქართველოს შიდა და გარე ცხოვრება და მიეცით გზა მომავალს იმ ბრწყინვალე ვარსკვლავის შესახებ, ვისთვისაც და რისთვისაც საქადაგებლად გაგზავნეთ საქვეყნო ჯავრით განამებული ლევან კაკაბაძე.

ბიძინა ნანობაშვილი

მოარული სიკეთე

პოეტ იოსებ ნონეშვილის არაერთი ლექსი ბავშვობიდან ზეპირად ვიცოდი. მამაჩემისგან მსმენია მისი მამის - ელიოზის და ბიძის - ნაგოცას - კაიკაცობის შესახებ. ბებიაჩემი ნინო მისი სოფლიდან კარდანახიდან იყო, მათი თანაბრად და ვაქირში გათხოვების შემდეგაც არაერთხელ ყოფილა მათი მასპინძელი. ძმებს ჩვენს სოფელში ახლო ნათესავებიც ჰყოლიათ. მათ ყველა პატივისცემით ეპყრობოდა.

რაც შეეხება ბატონ იოსებს ის პირველად 1965 წლის დეკემბერში ვიხილე უნივერსიტეტის სააქტი დარბაზში, სადაც მონვეული იყო სანდრო მირიანაშვილსა და ვასო გოძიაშვილთან ერთად. ჭაბუკური, უცარი სიხარულით სინთლის აღმურმა გადაქრა, გულმა აჩქარებით დამიწყო ცემა, როცა ახლოდან შევხვდე ღმილის შარავანდედით განათებულ მის სახეს და ულოცავდა ვასოს 60 წლის იუბილეს. თანაც ზუმბერაზ მსახიობს სთხოვა, გაემხიარულებინა აუდიტორია რაიმე კომიკურით. მანაც არ გაანბილა: იმისთანა მოხდენილი ილეთი შესურულა და დახატა კინტო, რომ კაი ხანს სიცილს ველარ ვიკავებდით.

„უფრო ლაზათიანი სიცილი თუ გნებავთ, სულ მოკლე ხანში მისი დიდი იუბილე იქნება და იქ მოზრძანდით, გთხოვთ უფრო მეტად დააფასოთ მისი დიდი მემკვიდრეობა, საშვილოშვილო მარგალიტები. საზღვარგარეთელ ხელოვანთაგან საქებარ სიტყვებს არ იშურებს ჩარლი ჩაპლინისადმი, თუმცა ქართული თეატრის მოღვაწეებს უფრო წინ აყენებს და თითოეულ ახალგაზრდას ურჩევს, რომ აუცილებლად ჰქონდეს დევიზი: „მე მივდივარ ქართულ თეატრში“, - ბატონი იოსების პათეტიკურმა თქმამ ყველაზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს ერთმანეთს ეხმაურებოდნენ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის სურვილი და მასთან დაკავშირებული ტკივილები, გულის პაუსებს ასე ლაზათიანად რომ გვისაბუთებდა.

მეამაყებოდა, გული სიხარულით მეხვებოდა, რადგან სამივე მოწვეული ჩემი თანამემამულე იყო. ორივენი მაღალბუნებოვანი ვაჟკაცების სიღინჯით ესიყვარულებოდნენ ჩემ სოფელში დაბადებულ სასიქადულო ხელოვანს. თითქოს ახლაც ყურში ჩამეძმის როგორც იოსებ ნონეშვილის, ისე ანაგელი სანდრო მირიანაშვილის ხმა, უბრალოებით რომ ბოჭავდა მსმენელს, ალტაცებაში მოჰყავდა ისედაც კეთილად განწყობილი უნივერსიტეტელები.

ყოველთვის საოცრად სასიამოვნო იყო ბატონ იოსების დანახვა. ვილას არ დახმარებია. განსაკუთრებით დამამახსოვრდა 1969 წელი, როცა 50 წლის იუბილარს „ცხოვრების შუადღე“ დაულოცა ყველამ, დიდმა თუ პატარამ, რის შემდეგაც პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები მოხიბლა საზღვარგარეთ მოგზაურობის შესახებ საუბრით. 1979 წლის 7 იანვარს ანსამბლი „სინათლე“ ინახულა და აღფრთოვანებულმა უაღრესად გულთბილი სიტყვები არ დაიმურა, როცა შევასრულეთ საქართველოს ყველა კუთხის სიმღერები.

ცნობილია, რომ ბატონი იოსები ქუჩაში ყველას ესალმებოდა. მეც თავაზიანად დამიკრავდა ხოლმე თავს, თანაც გამიღიმებდა.

1980 წლის 11 მარტი იყო. ყველასათვის საყვარელ საპურმარილო „ყაზბეგში“ მეგობრებთან ვქეიფობდი, ვმღეროდი. თამადა მე ვიყავი და როცა კაცურკაცობის სადღეგრძელოს ლექსად ვამბობდი, ბიჭებმა შემოიყვანეს და გვერდზე დამისვეს ეს ძვირფასი პიროვნება. სუფრა უფრო გამხიარულადა. ერთმანეთს ცვლიდა კლასიკური და ხალხური პოეზია, კავია... ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ თითქოს გულიდან გადავიგდე ცხოვრებისეული სიძნელები. ბატონი იოსების ნათქვამი სადღეგრძელოც კარგად მახსოვს, ასე რომ დამითავრა:

შედი, სადაც სიმღერა და ხალისია, ბოროტებმა სიმღერები არ იციან, ერთი ცოდვის პირველ ხაფანგს,

არ გაჰყოფენ, თორემ დაგამსხვრევს - როგორც მუხას, ტანძლიერს, მეხი.

საქართველოს სადღეგრძელოს რომ ამბობდა, გაიხსენა ფეოდალური გათიშულობის ხანა, კუთხურობა და ყველა ჩააფიქრა ამ ლექსის წარმოქმით:

რომ შეეძლოს ერთად შეყრა ყველა წყაროს, რა მდინარე გაჩნდებოდა ხელად! მაგრამ რაკი ყველა ცალკე მონანკარობს, სათითაოდ ამოშრება ყველა.

ქეიფი გვიანობამდე გაგრძელდა. მგოსანმა ერთობ მოიწონა ჩემი თამადაობა, რის შემდეგაც ფეხით წამოვედით. გზაში გამოშვითხა ოჯახური მდგომარეობა, ცხოვრების პირობების, ბინის შესახებ და, რაკი ყველაფერი გულახდილად ვუთხარი, პეტრიაშვილის ქუჩის დასაწყისში დამემშვიდობა. მაკოცა და მითხრა: „გამომიარე მწერალთა კავშირში!“

თვითონ რომ არ დავებარებინე, უბინაობაზე მე ვერც ვთხოვდი დახმარებას. რა თქმა უნდა, მას მეორე ან მესამე დღეს არ მივაგდებოდი.

- ვა, ჯიგარო, როგორ კაცს დაახლოებიხარ! - ქაშუეთის ეკლესიის წინ შემხვდა თანაკურსელი სოსო ბურდილაძე 20 მარტს, რომელიც მონმე იყო იმისა, თუ როგორ მომიახლოვდა გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე სიტყვებით: „ჩემთან ხომ უნდა გამოგველო?“

შემიძლია კაბინეტში და მაშინვე ტელეფონით დაუკავშირდა ბატონ ემილ სეხნიაშვილს: - კახელები არასდროს ვყოფილვართ პარტიკულარისტები, მაგრამ ახლა უნდა შეგანუხოთ. ჩემთან არის ახალგაზრდა კაცი, მეცნიერ-თანამშრომელი, რომელიც ხელის გამართვის მაგიერ აჯამივით მოატყუებს და სტუდენტობიდან გამოსახლეს. ახლა მთლად უბინაოდაა, ქუჩაშია, ცოლ-შვილი კი სოფელში ჰყავს. მე, სიმართლე გითხრა, აღვფოთდი. თანაც კაი ხნის წინათ დასრულებული დისერტაცია ხელში უკავია და ინსტიტუტშიც ზოგიერთი უჯანჯვლებს დაცვას. მე იმას კი არ გთხოვთ, რომ ბინა მისცეთ, არამედ იმას, რომ თავშესაფარი რაიმე ჰქონდეს, რათა საქმე ბოლომდე მიიყვანოს.

რა თქმა უნდა, მაინტერესებდა, რას უპასუხებდა ბატონი ემილი. პოეტს წყენა შევატყვე, თავს უკმაყოფილოდ აქნევდა, რადგან მოსმინა შემდეგი სიტყვები: ჩემთვის ცნობილია ეგ ამბავი, მართალი უთქვამს მაგ ყმანვილს, მაგრამ საქმეში ვერ ჩავერევიო.

- ნუთუ სამართალმა ვერ უნდა იზეიმოს? - ჩაილაპარაკა მგოსანმა და გუგული დევდარიანს დაურეკა, სიცილით უთხრა: კახელებს ჩემი თავი მეფე ერეკლე ჰგონიათ და ვისაც რა გაუჭირდება, ჩემთან მორბისო.

ვერ გავიგე, რა პასუხი მიიღო, ნათქვამი კი არ მესიამოვნა, თანაც დაამატა, რა ვქნა, არ გამოდის არაფერიო, რის შემდეგაც დავემშვიდობე მას.

- ააი, გამანებე თავი, შალიათ ვირი ხარო, უთქვამს, - სიცილით მითხრა დათო ჯანგულაშვილმა, როცა ეს ამბავი მოუყვებოდა მას და ლაგოდების რაიონის სოფელ ნინგორში გაზრდილი, იმ დროისთვის სტუდენტ შოთა ვენჯულაშვილს. მე მათთან ერთად ქირთი ვცხოვრობდი პიონერის ქუჩაზე და გაიკვირებო: თვითონ დაუბარებიათ და ეგ რანაირი თქმავო.

ბუნებრივია, მას შემდეგ მე აღარ მივაკითხავდი.

- ბიჭო, რატომ აღარ გამოიარე, - შაბათს, 27 სექტემბერს, კოლმეურეთა მოედანზე, ბაზრის მხარეს, შემხვდა იოსებ ნონეშვილი და ვერაფერი ვუპასუხე, რადგან მას ჩემთვის ნათქვამი ჰქონდა: არ არის საშველიო.

ოთხშაბათი იყო, 1 ოქტომბერი. უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, იურიდიული ფაკულტეტის დეკანატის წინ, შემხვდა პროფესორი აკაკი ლაბარტყავა და მითხრა: ძალიან ავად გამხდარა იოსებ ნონეშვილი და ამბობენ, ვერ გადარჩებაო. სამწუხაროდ, ნათქვამი გამართლდა. პოეტმა სული განუტევა 6 ოქტომბერს, 11 ოქტომბერს კი მაღლიერმა ქართველმა ხალხმა დიდუბის პანთეონში მიუჩინა სამუდამო ბინა.



ერის უკვდავების გასაღები

საქართველოს მწერალთა კავშირმა ყაზახეთის საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად 8 აპრილს 16 საათზე, მწერალთა სახლში (მაჩაბლის 13) ჩაატარა ყაზახეთის კლასიკოსი მწერლის აბაი კუნანბაევის 175 წლისთავის საიუბილეო საღამო, სადაც წარდგინდა მოხდა აბაი კუნანბაევის ლექსთა კრებული „სიტყვავ ჩემო, ტკბილხმოვანო“, რომლის თარგმანიც მაყვალა გონაშვილს ეკუთვნის. საღამო გახსნა მაყვალა გონაშვილმა. მან ისაუბრა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყაზახეთის კლასიკოსის ქართულად ამტყვევლებას. სიტყვით გამოვიდნენ: ყაზახეთის საელჩოს მრჩეველი გულშირა სულტანალი, წიგნის რედაქტორი მანანა გორგიშვილი, ბალათერ არაბული... გათავაზობთ წინასიტყვაობას აბაი კუნანბაევის ლექსთა კრებულიდან.

ვინც იცის ჭეშმარიტი პოეზიის ფასი, ვინც იცის, რომ პოეტი მინისა და ცის შუამავალია და საკუთარი ხალხის წინამძღოლი, ვინც იცის, რომ ერის სულიერი კონსტიტუცია ყველაზე უკეთესად მწერლობაში აისახება, ის უსათუოდ უნდა გაეცნოს ყაზახი კლასიკოსისა და განმანათლებლის აბაი კუნანბაევის უკვდავ შემოქმედებას.

საქართველოს უპირველესი პოეტი შოთა რუსთაველი წერდა:

„შირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,

საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“.

სწორედ ეს სიტყვები გამახსენდა, როცა ყაზახი კლასიკოსის და მისი ეროვნული ლიტერატურის ფუძემდებლის აბაი კუნანბაევის სიბრძნით სავსე შემოქმედებას გავეცანი. საღმრთოდ გასაგონმა ამ უმშვენიერესმა პოეზიამ მსმენელებში, ანუ ყაზახ ერში წარუშლელი კვალი დატოვა. აბაის ლექსები იმდენად დიდაქტიკური და ყოვლისმომცველია, იმდენად ეროვნული და ამავდროულად ზოგადსაკაცობრიოა, რომ თავისუფლად იტევს, როგორც სამყაროს შემეცნების რეალურ შესაძლებლობას, ასევე მისი ფილოსოფიურად გააზრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. სწორედ ამიტომ დაივიანა აბაი კუნანბაევის სახელმა ერის სულში საუკუნოდ; სწორედ ამიტომ იქცა მისი შემოქმედება მთელი კაცობრიობისთვის სიკეთის და სიბრძნის ნიშანსეგად.

ყველა დიდი მწერალი და განმანათლებელი საკუთარი ქვეყნის სიმბოლოა, მისი სახეა. ერის ძლიერების ფესვია და უკვდავების გასაღები.

განუყოფელია სიტყვები: საბერძნეთი და ჰომეროსი, სპარსეთი და ფირდოუსი, საქართველო და რუსთაველი, ინგლისი და შექსპირი, რუსეთი და პუშკინი, ყაზახეთი და აბაი... ყველა ზემოთხსენებული უკვდა-

ვი სახელი კი ერთად სიბრძნით სავსე კაცობრიობაა.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს ჩვენი მკითხველისთვის ყაზახი გენიოსის, აბაი კუნანბაევის შემობრძანება დიდ ქართულ პოეზიაში.

*მაყვალა გონაშვილი
საქართველოს მწერალთა კავშირის
თავმჯდომარე*

ზაფხული

ზაფხულში, როცა მინდვრები ჰყვავის, ხეთა ჩრდილები იწყებენ შრიალს, მდინარის ფართო სანაპიროზე მომთაბარენი ბანაკებს შლიან. მზე იალაღებს ააფერადებს, რაშებს ბალახი სწვდებათ ნელამდე და ეზარებათ განავარდება მწვანე ბალახით გამაძლარ ცხენებს, დგანან მდინარის ნაპირას, კუდით იგერიებენ აბეზარ მწერებს, ხოლო კვიციები მდინარის პირას, ტოლს არ უდებენ წამითაც ნიავს. გადაიფრინა ბატების გუნდმა, მათმა ყიყინმა ზეცა გაკვეთა, ჭალებს ედება ხან მათი ხმები, ხანაც სიცილი მომთაბარეთა. ქალები ველზე შლიან იურტებს, მათში ყველაზე მარჯვე ვინ არის და ირწვევიან თეთრი ხელები, როგორც ჩქერები ჩქარი მდინარის.

ბაიმ ცხვრის ფარას შემოუარა, მერე შინისკენ გაქუსლა რაშით, ალბათ დაანთეს უკვე კოცონი, ვახშმად ელიან იქ, იურტაში. შინაურობამ უკვე წრე შეკრა, კუმისს არიგებს ნუშისთვალემა, მოჯამაგირე ბიჭუნა დედას, „ხორცი მომეო“, - ემუდარება. სხედან ამაყად ბატონკაცები, მასლაათობენ, ჩაის ელიან, ერთი ლაქლაქა ენას იქავეებს, სხვები გულგარეთ ეთანხმებიან. და თეთრპერანგა ჩია მოხუცი წრიალებს, დგება ბაისთან ახლოს, სხვის დასანახად ყვირის და ანჩხლობს, - „ეს საქონელი გარეკეთ, ხალხო!“ - იცის, მის სიტყვას ჩალის ფასი აქვს და მაინც გულის მოგებას ცდილობს, იქნება ბაიმ შეამჩნიოს და ცხვრის ხორცი მასაც გაუნანილოს.

სანამ ცას ბინდი არ გადაკვრია, სანამ მზეა და სანამ დარია, მეჯოგეები შავრა ცხენებით აულისაკენ მიიქარაიან. ველურ იხვებზე ნადირობისთვის, ახალგაზრდები ემზადებიან, თან ცალი თვალი უჭირავთ ცისკენ, თანაც ერთმანეთს ეხუმრებიან. აი, სერს მონყდა ვეჟანა ძერა, იხვის ბუმბული სისხლმა დაფერა, დგას ბერიკაცი და ახალგაზრდებს სიჩაუქეს და სიმხნევს უქებს. იყო დრო, მუხლი მასაც უჭრიდა, არ დაბრუნდება, რაც იყო უკვე, მან წუთისოფელს შესწირა წლები, ვის ძალუძს, შეძლოს შეუძლებელი. ახალგაზრდების გულის მოგებას სიცილით ცდილობს ჩია ბებერი.

მაყვალა მესხაძე

ზურიკალა „ტვინა“

პატარა ზურიკო სანოლიდან გადმოხტა და, რა თქმა უნდა, ძირს მოადინა ზღართან. ყველანი ერთად მივცვივდით.

ზურიკელამ ერთი-ორი წამოიტრია. უცებ დარწმუნდა, რომ ყველაფერი თავის ადგილზე ჰქონდა, გემრიელად გაიცინა და ლილინაც დაიწყო.

ზურიკელას მზრუნველი და დაფთებულ დედიკო, გული კი, მთელი დღე ტიროდა. რა ვიცი, როდის გაუხსენებს, თავმა ისეთი ბრაგვანი გაადინაო.

მაგრამ ზურიკოს თავი თავის გრაფიკზე მუშაობს დღესაც. მისი ტვინის უჯრედებს არავითარი ზიანი არ განუცდიათ. პირიქით, იმდენი ტვინი აქვს, ვერაფრით ვერ იხმარს. ჰოდა, მისით დამძიმებული იტყვის ხოლმე: ეჰ, ღმერთო, ამ ნიჭთან ერთად ცოტა სიბეჯითაც მოგეცაო.

ზური, სიხარულო, განა შეიძლება ღმერთს ასეთ რამეზე დაემდურო? ეჰ, კიდევ კარგი, დედაშენმა არ იცის ეს, თუ არა, ამაზე მთელი ცხოვრება იტირებს ნამდვილად.

„ტაფა-ტაფა“ მერაბი

მერაბს, ანუ ბათულოს, ძალიან უყვარს შემწვარი კვერცხი. „ტაფა-ტაფას“ ეძახის, მაგრამ ბუდი არ გინდა? სასტიკად უკრძალავენ! კვირაში ერთ ცალზე მეტი არ უნდა შეჭამოს. ის კი გამუდმებით „ტაფა-ტაფას“ ითხოვს. უარის შემთხვევაში დაფუნდუკობს და ითმინს უსამართლობას, პატარა ბავშვის საუცხოო სულგრძელობით.

გაზაფხულზე მერი მაშიდა ეწვიათ. მაშიდა გენაცვალოს, რა გიყვარს, რა გაგიკეთოო, მიეფერა მერაბს. მერაბიც მაშინვე მიეხუტა და, მელი მაშიდა, „ტაფა-ტაფა“ მინდა, დედას ალ უთხლაო.

მაშიდამაც იცოდა, აკრძალვის საიდუმლო, მაგრამ ძვირფას ძმისშვილს გული არ დასწყვიტა. გახეურაზე დიდი ტაფა შემოღება, ბლომად კარაქი გაადნო და ერთი ქათმის კვერცხიც დიდი ზარზეიმით დაახალა.

მერაბი ჯერ კიდევ არ გახლდათ გახეურის სიმაღლე და ფეხის წვერებზე შემდგარი ამაოდ ცდილობდა ტაფის დაზვევრვას. რომ ვერაფერს გახდა, მორიდებით ჰკითხა მაშიდას: მაშიდა, ლამდენ „ტაფა-ტაფას“ სწვავ?

ბევრს, შემოგველოს მაშიდა, ბევრსო, - უპასუხა გულდათუთქულმა მაშიდამ. ცხარე ცრემლის კურცხალი გადაყლაპა და მოეფერა ბათულოს: კიდევ რა გინდა, შემოგველე, ტორტი თუ „ზღაპარი“ გამოგიცხოო? - ეჰ, თუ ქალი ხალ, „ტაფა-ტაფა“ მაჭამე, ალაფელი ალ მინდა თქვენიო, - უკვე ყველას მისამართით გაგულსდა მერაბი.

ჩიტბატონას საძინებელი

სამოქალაქო ომით მოტიალებულია ქვეყანა... ჭირს ცხოვრება. ქალაქი „პეშკომობილზეა“ გადასული - არც სანავის ფული აქვს ვინმეს და არც სამგზავრო.

ნიკეას ქუჩიდან გამსახურდას ქუჩამდე ერთი შესახვევი დამრჩა. სკოლაც იქვეა... კარგა შორიდან ჩემკენ მორბენალი ორი ბიჭის სილუეტი შევნიშნე. როგორც ჩანს, მათაც შემნიშნეს და ჩიხში მიიმაღლენ.

ზარის დარეკვას ოცი წუთი აკლდა. ჩვეულებისამებრ, სკოლის კარებში გავჩერდი. ჩავითვალე ათას ორასამდე მოსწავლე. ზოგს მოვეფერე, ზოგს გაუზრახდი... ზოგს კაბის სიგრძე დაუწუნე, ზოგს - შარვლის ფერი, ზოგიც შინ გავაბრუნე აზარტული ჩაცმულობის შესაცვლელად და ზარიც დაირეკა. სამასწავლებლოსკენ გულმა არ გამიწია. დასწრების შემონება გადავწყვიტე. პირველივე შემხედრი კლასის კარი შევადე... ინეზა მასწავლებელმა მაცნობა, რომ ორი მოსწავლე - ნიკა კილაძე და ვალერი სოხაძე აკლდა. მაშინვე მორბენალი ბიჭების სილუეტები ამეკვიბათა...

კარისკაცს დავუბარე, მალე დავბრუნდები-მეთქი და ნიკეას დასახლებისკენ



გავნე იმ გზით, სადაც გაზაფხარდინზე, ჩიტბატონას ბურჭები მეგულეობდა.

რატომღაც, ჩვეული, გადარეული ქუთაისური ქარი არ ქროდა. ბურჭების რხევამ გუმანი გამიმართლა. ვხედავ, ჩანთებს შემოსკუპებული ღაბუა ვალერი და მერცხალა ნიკა არიან გარინდებულნი. თავს რომ წავადექი, ისე აიღუნენ, ისე დაიბნენ, რაღა უნდა მეთქვა... ჩანთა რომ მქონოდა და ბურჭებში შევტეულიყავი, მეც მათ მიეფუჯებოდი. გამოცვივდნენ და გაქვავდნენ. სიცილისგან თავს ვიკავებდი, სიმკაცრეს ვინარჩუნებდი, თუმცა რა სიმკაცრე - მშობლებს არ ვაცნობებდი, სკოლის ერთი ხლმძღვანელთაგანი მეც ვიყავი, განათლების განყოფილებაში ხომ არ დავაბეზლებდი. დიდი-დიდი ერთი-ორი გემრიელად „ჩამეთეთქვა“ ორივე, მარცხენა ხელის ნახევარი ძალით, ეს იყო და ეს...

მთელი გზა ხმა არ ამომიღია, განა იმიტომ, რომ ვუჯავრდებოდი ონავრებს. უფრო იმიტომ, ჩემი მხიარული განწყობა რომ დამემალა.

გაკვეთილს მივუსწარი. ინეზა მასწავლებელს დავვიანებულეების მიღება ვთხოვე. ცნობისმოყვარე ამხანაგებმა ერთხმად მკითხეს, მასწ, სად იყავი. მაშინ კი გავწივრე მეშვიდეკლასელი ვაჟკაცები, ჩიტბატონების ბურჭებში ეძინათ-მეთქი. ყველამ ერთად გულიანად ვიცინეთ. ნიკა და ვალერი კი, ჩიტბატონას კაკლის ფერები, ზეზუულად ინურებოდნენ.

ეს დღე იყო და, არც გაპარულან და არც უმიზეზოდ დაუფვიანიათ: სულ ერთია, ეს მოცლილი ორგანიზატორი ერთ „აბლაგას“ გააკეთებს და თავის ორმოშიც მოგვავაგებსო.

ჯინსივით გახანძლი დეიდა

ჯერ კიდევ პატარები არიან ზურიკო და მერაბი, ანუ ათულო და ბათულო. დეიდა სტუდენტი ჰყავთ. როგორც კი დროს გამოხახავს, მათთან მიხარია და ისე როგორ იქნება რამე სათამაშო არ ჩამოუტანოს. ისედაც ბევრი აქვთ. ბოლოს ერთ ოთახში მოუყარეს თავი ყველაფერს, რათა იქ უჩუმრად ეთამაშათ და ამ ოთახს „სავიციინო“ დაარქვეს. გამოჩნდებოდა თუ არა დეიდა, ჩაეხუტებოდნენ, წყალსაც დააღვეინებდნენ და „სავიციინოში“ ეპატიუბოდნენ სათამაშოდ. „სავიციინო“ დეიდას და დისვილების პატარა სამოთხე იყო. თამაშითა და ალერსით გულს იჯერებდნენ ხოლმე.

ძილის დროს ხომ მოდიოდა. ჰოდა, საწოლშიც ორივე გვერდით მიუწვებოდა და ასე ჩახუტებულეები ჰყვებოდნენ ზღაპრებს დინოზავრებზე, წითელქუდაზე, ბაყბაყ დევსა და გოჭებზე. ზურიკოს ძალიან მოსწონდა მძიმე-მძიმე სახელები, განსაკუთრებით ბაყბაყდევნი, მერაბისთვის კი ყველა ერთნაირად საინტერესო იყო. ზღაპრის შემდეგ ყირამალას თამაში იწყებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაეძინებოდათ ხოლმე.

ერთხელაც, დილით ამდგარ დეიდას ოჯახის წევრები რიგრიგობით მიესალმნენ და ჰკითხეს, როგორ მოისვენეო. „როგორ და, ბიჭებმა ჯინსივით გამხეხეს“, - იყო პასუხი. მერე ეს გამოთქმა ისე მოეწონათ დეიდულას ძვირფას ონავრებს, დილით წამოხტებოდნენ თუ არა, დედ-მამას მაშინვე ახარებდნენ ხოლმე, „კარგად გვეძინა, დეიდა ჯინსივით გავხეხეთ“ და გახეხილს კვლავ გასახეხად მიბრუნდნენ.

ზურაბ მამულაშვილი

ვიცოდი, რასაც ვიქმობდი

გარდამხდა, გარდასახდელი,
გავუძელ უამთა სვლასაო,
ჩემით ვაკეთე საქმენი,

სხვისი შემყურედ, მენილედ
არ ვაკადრებდი თავსაო,
საყვედრებელიც არ მქონდა
ჩემით ვენიე გზასაო.

სხვისი ჭირით და ტკივილით
ვეძებდი სულის ხსნასაო,
ჩემი თავისთვის რაც მქონდა
ვუნანილებდი სხვასაო.

მარტო მოკეთეს კი არა,
მტერსაც ვანვდიდი წყალსაო,
ვცდილობდი, გული მომეღობო,
დამსგავსებოდა ძმასაო.

ვიცოდი, რასაც ვიქმობდი,
ვადექ წინაპრის კვალსაო
და ერთ დროს მეც გამიღებდა
უფალი თავის კარსაო.

ლეილა იასეშვილი

ოქროსფერი ღამე

ჩემს თბილისში ოქროსფერი ღამე
ცაზე ფიქრში მილეული მთვარე,
სიყვარულით მომღიმარი ქალი
დავსეირნობ პოეზიით მთვრალი.

ოცნებები გამეპარა ვითომ,
წლებმაც რაღაც მომატყუეს თითქოს,
ვერა ვხვდები, მაინც ვუნყოფ ხმას,
ჩემს გარშემო ამ არეულ ხალხს.

ისევ ჩემთვის მივუყვები გზას,
ულამაზეს ოცნებებში ვარ
და თბილისის ოქროსფერი ღამე
მეფერება, უნდა მითხრას რამე.

ცაზე მშვიდი მილეული მთვარე,
მიწურჩულებს, დროა, გაიხარე,
სიყვარულში მოფრიალე ქალი
მშვენიერი პოეზიით მთვრალი.

და თბილისის ოქროსფერი ღამე,
ცაზე მშვიდად მონარნარე მთვარე,
მიყვარხარო, მეუბნება ვილაც,
ეს სიტყვები რა ლამაზად მითხრა.

ჩემს თბილისში ოქროსფერი ღამე,
ცაზე ფიქრში მილეული მთვარე,
სიყვარულით მომღიმარი ქალი
დავსეირნობ პოეზიით მთვრალი.

ივეტა პავლიაშვილი-დობნაძე

ჩემი სოფელი ჩემი სახლია

(ვუძღვნი სოფელ ნიკორწმინდის უხუცესს, ჭემ-
მარტ მამულაშვილს - ნიგრადი დობნაძეს)

ჩემი სოფელი მაღლივ მთაშია,
აქ დავიბადე, ჩემი სახლია.
ის არის ჩემი დიდი სიმდიდრე -
იმაზე მეტიც, რაც გამაჩნია.
ზოგან ნაბლი და მუხა შრიალებს,
ზოგან ფიჭვნარი და ნაძვნარია,
მინდორზე ხტიან ნაკადულები,
შაორის თავზე თეთრი ნისლია.
აქ გავიზარდე, ჩემი მხარეა,
აქ ყველა ჩემი მეგობარია,
არ გავაცივებ მე ჩემს კერიას,
ის წინაპართა ნაფუძვარია.
სოფელი ჩემი დასაფრენია
და ჩემი ბოლო დასაფრენია.
ჩემი სოფელი ჩემი გულია,
ჩემი ცხოვრების თაიგულია.
ზაფხულში ყველგან მწვანე ბიბინებს,
ზამთარში თოვლით დახატულია.
რა ლამაზი ხარ, შე დალოცვილო,
თეთრი ზამთარი საოცრად გშვენის.
ნაკვალევსაც კი ვერსად ვერ ნახავ,
ისე ქათქათებს უბინო თოვლი
და შენი სულიც ისე სუფთაა,
ვითარც მთის წყარო მოხვარეულის.
ცა დედამინას თითქოსდა ერწყმის,
აქა-იქ მოსჩანს რგოლებად კვამლი,
მამლის ყივილი მხნეობას მმატებს,
მზის გალობა კი სიცოცხლეს მანვდის.

გუთი ბოლნელი

მზე იყავი მცხუნვარე
უცნაურად მესიზმრე,
ჩუმი სიზმრის ჩივილი.
სევდიანი ქარების
ქროლვა-გულისტკივილი.
თითქოს ღვინომ ქაფქაფამ,
ქვევრში იწყო დულილი,
ხაპით დოქში ავსილი,
ლიცლიცებდა წყურვილი.
ზმანებათა სიზმრები,
შენთან ყოფნის სურვილი,
ვერ შემოვწვდი ცის კიდეს
შენით ოქროცურვილი.
მეფარე ზღვის ტალღებს,
დარჩა თრთოლვა-ტკივილი,
ჩემს გულისთქმას ბანს აძლევს
ტალღის შხევის კივილი...
შენ მზე იყავ მცხუნვარე,
მე - მაგ სხივთა ღიმილი.

ნათელა გოხელაშვილი

გაზაფხული

აკვირტებულა ტყემალი,
ყოჩივარდები თრთის,
მდელოს დაცვარვა, დანამვა,
გამოღვიძება დღის.
ბალახის სუნთქვა იგრძნობა,
მუხა ნორჩ ტოტებს ხრის,
ჩურჩული ხეთა შრიალის
სიცოცხლის წყურვილს ზრდის.
იასამანი იღვიძებს,
ვარდი გულს გრძნობით შლის,
ხეები ფერხულს უვლიან,
მინდორი სურვილს ღვრის,
შვლის ნუკრი ტყეში ნებივრობს,
გახარებული ხტის,
არის ფრინველთა გნიასი
და ელვარება მზის!

ბექა ფურცელაძე

მიმოზა

რა ლამაზი ხარ, სიკვდილო,
როგორ იხრები მინადა,
მზის სხივი მინას ათრევდა
წყალი არ ესვა პირადა.
პატარა ფესვის ნაკრძალში
მიმოზა ყვავილდებოდა
და ყვავილს, როგორც მოლერილს
უხვთვალად სიმალდებოდა.
იზრდება, როგორც გამზრდელი
იტყვის იზრდება ბუნებაც,
როგორ ყვავილობს ცისქვემო
და გაიშლება მიმოზად.
აფრენილს სანაპიროზე
ცაზე ჩამოჯდა მიმოზრა,
მიხრა- მოხრა აქვს ამაყი
აღმართება ცისლოცვად.
ცად ყვითლდებოდა მიმოზა
ხან მორცხვდებოდა, ტიროდა,
ხანაც კი მისდა სალხენად
ჰიპერიონით ტკებოდა.
ლამედ ნათელში გაზრდილი
ბრგვინავს და ცისკენ ხმელადა,
გადაქორჩილი მიმოზებს
სათქმელს, უღრანსა მტირალსა:
ყოველნი ცუდნი, კეთილნი
მიმოიხრება წინადა
და რომ აღმართონ, ხელებად
ჯავრი თვისა და მტრისადა.
სებერე გადავარცხნილა
მერცხალთ, კანკალთა მიმორცხვა
და შვილნი, ცისა ცისქვემო
ვერ გავიზარდეთ ცისადა.
ნაიქცა ბუმბერაზობა
შერცხვა, მოესმა მიმოზას,
მინამ შემოსა აჩრდილნი
ამოიოხრენ კლდისადა.
ბუჩქებთან გადახლართულნი
მთისპირთან გადაიმოსა,
როგორ ნავიქეც ცისქვემო
და ვერ ჩამოვჯექ მთისცადა.
რა ლამაზი ხარ, სიკვდილო,
როგორ იხრები მინადა,
მზის სხივი მინას ათრევდა
წყალი არ ესვა პირადა.

ლია მუმლაძე

იმაღი

წავა ზამთარი,
მზე აენთება ცის კაბადონზე!
გაძლიერდება ჩემი მამული,
დარდში ჩ ა ფ ლ უ ლ ი...
იმედის სხივი გაანათებს
ჩემს საქართველოს,
დასამარდება, დაემხოზა
ბნელი წარსული.
წმინდა გიორგი გამოჩნდება,
ოდეს ინათებს,
გწამდეთ ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ო,
ის წაგვიძღვება სიმართლისაკენ!

ელგუჯა ადეიშვილი

ღიღი სურვილი

უმთავრეს საგანს, უნდა ვეძებდეთ,
სამშობლოს სიყვარულისთვის,
ბედნიერების მიღწევისა და
ამაღლებული სულისთვის.
მოვუხმობ ყველა პატრიოტს,
ვისაც ეხება ბედი ქვეყნისა,
ვისთვისაც უმთავრესია,
აღმასვლა ჩვენი ერისა.
ვისაც, ყოველთვის ანუხებს,
სამშობლოს კუთხე - კუნჭული,
შეუპოვრობა ბრძოლაში,
რომ არ დარჩება უძღური.
დაულაღვად ებრძვის სირთულეს,
წარმატებების გზებს რომ დაეძებს,
ქვეყნის სიკეთის მიღწევისათვის
პირად ცხოვრებას გვერდზე გადადებს.
თავდადებულ ხალხს, ზე-პატრიოტებს,
ვინც კი აღიქვამს დაკარგულ წამებს,
თვლის, რომ მომავალს უნდა მზრუნველი,
ლოცვით მიმართავს იგი მაღალ ღმერთს.
რჩეულს, რომელსაც ედაგვის გული,
მამულის ტანჯვის- ჩამორჩენისთვის,
ასევე იმას, ვისაც უხარის,
მისი ლხენისთვის - წარმატებისთვის.
უმთავრეს საგანს, უნდა ვეძებდეთ,
სამშობლოს სიყვარულისთვის,
ბედნიერების მიღწევისა და
ამაღლებული სულისთვის.

ცირა ქიტიაშვილი

არ გვინდა დარდი

გაღვივდა განძის* ანარეკლი და ხმა
კრწანისის,
დადგება დრო და ის კედელიც დაილენება,
არ გვინდა დარდი, არცა ცრემლი
არანაირი
და დღესაც გვლოცავს ისევ ხელი,
კვართი მწე ბედად.
ახმიანდება ლექსი გულში მსგავსად
უფალის,
სიცოცხლე ჩქეფდეს და ბოროტმა
არსად უკადოს
და ზიარება შვენის სულს, ვით ნავსაყუდარი,
ის ყოველს შეგვწევს მთლად მყოფობას,
მართლაც უნაკლოს.
აი, ასეთი საქართველო მიყვარს და
მომწონს,
არა გვამივით, ღირს არს ძალი
ზედიდებისა,
სად ინათლების, ლამპრად მზეობს,
წმიდადა მყოფობს,
სად ვარსკვლავივით ბრწყინავს კვალი
თეზბიტელისა.
არ გვინდა დარდი, არცა ცრემლი არანაირი
და მრწამსსაც ვენდოთ, ამაღლება
სულთა ვედრება,
გაბრწყინდა მაღლი, მსგავსად სვეტის
აქ ცადაწვდილის
და საქართველო აყვავდება სულ სხვა
ედემად.

* განძა - იგივე განჯა

მირიან როხაძე

მასწავლებელი
დანახული

დომენტი სოზაშვილის მოთხრობები ძირითადად „მწერლის გაზეთში“ იბეჭდებოდა. ავტორს ამჟამად ისინი წიგნად შეუკრავს და გამომცემლობა „უნივერსალში“ დაუსტამბავს. როგორც თვითონ აცხადებს, საგამომცემლო ხარჯები საქართველოს სახალხო მწერალ რევავ მიშველაძეს გაუღია.

ეს კიდევ ერთი ნათელი მაგალითია ცოცხალი კლასიკოსის სიუჟეტისა და გულკეთილობისა, რაზედაც არაერთი სხვა მწერალიც მიუთითებს.

კრებულში სხვებზე ვრცელია „იმ ჯარში“, რომელშიც ასახულია საბჭოთა არმიის ავტორის სამსახურის პერიპეტეტიები. წინასიტყვაობის ავტორი რ. მიშველაძე მიუთითებს: ამ თხზულებას „ავტობიოგრაფიულობისა და დოკუმენტალიზმის ელფერი დაჰკრავს, რაც მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს ნაწარმოების მთელ რიგ პასაჟებს და სიუჟეტის განვითარებას“. რედაქტორი იმავე წინათქმასში დასძენს, რომ ავტორი ახერხებს „ამ სამხედრო ბაკანალიაში იპოვოს ახალგაზრდა კაცისათვის ესოდენ აუცილებელი დისციპლინის ამკარა სიმპტომები და, რაც მთავარია, სკვითური ცხოვრების ქაოსში აღმოაჩინოს დიდი და წმინდა სიყვარული – სვეტა“, მთავარ პერსონაჟს მთელი ცხოვრების მანძილზე რომ უძვირფასეს მოგონებად გაჰყვებო.

ჩვენში წესად არის დადებული: საბჭოთა არმიის ნამსახურმა ყოველმა ქართველმა ვაჟმა უნდა დაიჩემოს, რომ იგი ან პოლკოვნიკის ცოლის საყვარელი იყო, ანდა გენერლის ქალიშვილისა. დომენტი სოზაშვილი ამ მეორე კატეგორიას განეკუთვნება. მე კი, როგორც რეცენზენტი, რომელიც საქმით პოლკის საამაყო მეომარი, ხოლო წოდებით ვადიანი სამსახურის ჯერ ბატარეის ზემდეგი, ხოლო შემდეგ უმცროსი ლეიტენანტი გახლდით, მესამე კატეგორიას განვეკუთვნები: ვერც გენერლის ქალიშვილისა და ვერც პოლკოვნიკის ცოლის საყვარლობას გამოვკარი ხელი!

ბედი არ გინდა?!
დ. სოზაშვილი სახეებსა და ტიპებს საკმაოდ შთამბეჭდავად ხატავს. როგორცა ჩანს, მახვილი თვალი აქვს. ამავე დროს, არ უჭირს საკავშირო სარბიელზე ქართველი ბიჭების „გმობობის“ შემინევა: „ჩხუბი, აყალმაცალი, დავიდარება, სულ ურიგო განანესები, გაუპტვანტები!... ასეთი გაუჩერებელი, დაუდგარი თუ ვიყავით, არ მეგონა“ (11).

ბევრი ამგვარი სიგლახეა აღწერილი. ამან მე ცნობილი მწერლის ჯემალ მებრიშვილის ერთი მოთხრობა გამახსენა, რომელშიც იგივე თემა ნამონეული – ქართველების საზიზღარი ქცევა საკავშირო სივრცეში.

სამწუხაროდ, ეგ თემა ჩემთვის – ბატალიონის ზემდეგისათვის – ზედ-

მიწევნით ნაცნობია: კალინინგრადში ვმსახურობდი. ერთად შევიყარენით ყველანი – რუსები, ქართველები, ებრაელები, შუა აზიის წარმომადგენელი, ბალტიისპირელი, მოლდაველ-უკრაინელი და, ჩვენდა სამარცხვინოდ, ამათ შორის უზნეობით ყველაზე მეტად ქართველები გამოირჩეოდნენ.

დ. სოზაშვილი მწარე სიმართლეს თვალს უსწორებს და ამ მხრივ მაინც არ გვატყუებს!

კიდევ მეტი, ის ცდილობს არმიის თავისი კაცური მოქმედება-ქცევით ერთგვარად კიდევ გამოისყიდოს ჩვენებურთა ეგ ნაკლი: „ქართველებზე შექმნილი წარმოდგენა, როგორც უნესრიგო-აშვებულებზე, მე აქ ჩემი მაგალითით უნდა გავაქარწყლო“ (15).

თუმცა ავტორის ენა და სტილი საგრძნობლად მოიკოჭლებს, მაინც ხერხდება ზოგი საგულისხმო აფორიზმის შინაარსის ნათლად გადმოცემა: „სისუფთავე და წესრიგი თვითონვე იცავს საკუთარ თავს“.

მახვილი იდეაა, რადგან, სადაც იდეალური სისუფთავე სუფევს, იქ ყველა ერიდება ამ იდეალური უმანკობის ხელყოფას.

ჩემს მზერას არც ეგ ფიგურა გამოჰპარვია: „საქართველო იმიტომ მივიდა რუსეთთან, რომ იმ მძიმე ექობაში, არ გამქრალიყო“ (63).

დასახსომებელი მოთხრობაა „ბეჟანა“, რომელიც ეძღვნება პოეტ თემურ ჩალაბაშვილის მამას. პოეტი ხომ მამის უზარმაზარი ბეჭებით გადაზომავდა კავკასიონის მთებს თავის შორეულ ყმანვილკაცობაში. მოგვიანებით ამ შთაბეჭდილებას ასე გაგვიზიარებს მოშაირე:

მაშინ ოცნებაც იყო ოლი,
თავანყვეტილი ბავშვის ეჭვებით,
როცა მიყვარდა კავკასიონი –
გადაზომილი მამის ბეჭებით.

შემდეგ საკმაოდ ორიგინალურად არის წარმოსახული პერსონაჟის ამიერ ქვეყნით განსვლა: „ვენახში საღამოთი ბეჟანა გადახედავდა დაფერებულ ცაზე აჭრილ თეთრ ღრუბლებს და ნავიოდოდა... ახლაც, ვიცი, ეზოში მოარემ შეიხედა ცაში თეთრი ღრუბლებისაკენ და... ნავიდა... ამჯერად სიცოცხლიდან ნაბიჯებით“ (109).

და აქ ისევ იშველიებს გარდაცვლილის ნამიერის სიტყვებს:

თითქოს გამეხსნა ყველა იარა,
ასე მეგონა, მე პატარა ვარ.
ნავიდა მამა – თავი კი არა,
მთელი სამყარო მეპატარავა!

თემურ ჩალაბას ამ მშვენიერი ლექსით დავამთავროთ ეს გამომხატურება დომენტი სოზაშვილის თხზულებათა კრებულზე და კიდევ უფრო ძლიერი და ენობრივად უფრო მეტად დახვეწილი მოთხრობების შექმნა ვუსურვოთ ავტორს.

განგაში!

საქართველო, შენი
ყოფნა არყოფნაა
საკითხავი...

ნუ დაგაზარებთ,
გოლომდე ნაიკითხავი

დიახ, საკითხავი აი, ეგ არის. რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტი აღარც მალავს და პირდაპირ ეთერში აცხადებს ეს მაკაკები(იგულისხმება ქართველი) არსებობის ღირსნი არ არიანო. ჰიბრიდული ომი საქართველოსთან, რუსეთმა დიდი ხანია დაიწყო. მისი დემორალიზება და ერთ უგვანო, უისტორიო ხალხად ჩვენი წარმოჩინება მისი მიზანი იყო და არის. პირველ რიგში დაურიდებლად დაიწყეს ჩვენი ისტორიის გაყალბება. და თქვენ როგორ გგონიათ არჩევანი ვისზე გააკეთეს, ვისზე და საქართველოს სამეფოს ოქროს ხანაზე და თამარის ეპოქას შეესივნენ. უზარმაზარი ტირაჟით გამოქვეყნდა ვერმიშევის ათას გვერდიანი ისტორიული რომანი ამირსპასალარი იგი წიგნი ქართველთა დამცირების „მატიანეა“. თუკი არამზადა ვერმიშევის დავუჯერებთ, თამარის ეპოქაში, თამარის მეფობა მხოლოდ ქართლით შემოიფარგლებოდა, დანარჩენ სამეფოს ნიკოფსიდან დარუბანდამდე საქართველოს სამეფოს ამირსპასალარი, სარწმუნოებით სომეხი ზაქარია მხარგრძელი და მისი სომხური დაჯგუფება აკონტროლებდა და მისი შიშით თრთოდნენ მხდელი ქართველნი. მთელი წიგნი ეს ქართველთა დამცირების უბინძურესი „მატიანეა“! ასეთი სიბინძურე მე არ ნამიკითხავს, ამ წიგნს ცხვრის დაკვლის არ იყოს ქათამიც ნაკლებს ვოინოვას „ტამარა ი დავიდის“ სახით. ამიტომაც არ გამკვირვებია, ბიძინა ჩოლოყაშვილის დაძმები შალვა და ელიზბარ ერისთავების წმინდა ნაწილების ქურდობა და ქსნის ერისთავების ოსებად გამოცხადება...

ვწერ ამ სტრიქონებს და გული ლამისა გასკდეს, როგორ უნდა გეკიდოს ასეთი შეურაცხმყოფელი ფაქტი. მეტი დამცირება რაღა გინდა, ჩვენ კი იმის მაგივრად პარლამენტისა და უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომების მოწვევა მოვითხოვოთ, ყურსაც არ ვიბარტყუნებთ.

რანი გავხდით, რანნი, რამ დაგვშანთა ისე, რომ მჭადში ნახშირი ვერ გავვირჩევია და ვისაც არ ეზარება თავზე გვასაქმებს?!
ნოდარ კობერიძე

ზაალ ბოტკოვილი - 70

ექვთარ მეპარება ჩვენი მშობლების საზიარო გემოვნებას, განსაკუთრებით ვაფასებ, ზაალ!... წინდანი „იზრუნეს“ ჩვენს დამეგობრებაზე. სწორედ ამის გამოა რომ გამორჩეული სიყვარული ვეგებებით ერთმანეთს, შენ „სეხნას“ მეძახი, მეკიდევ - „სეხნიას“; ალბათ ასე მოითხოვს სიტყვასთან დაკავშირებული კახურ-იმერული სინამდვილე, შენ იყალთოელ-თბილისელი ზალიკო ხარ, მე კიდევ - ბაღდათელ-ქუთაისელი... ეს ისე, სხვათაშორის, თუმცა სხვათაშორის კიარა, საქმე საქმეზე რომ მიდგება, სერიოზულ „ქულას“ გვმატებს და ერთით მეტ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს...

სანერ მაგიდაზე საქართველოს მწერალთა კავშირის ბოლო პერიოდში გამოცემული სამისამართო ცნობარი მიდევს, „ალფავიტიზე“ შედგენილი. ხუთასი კაცი მაინც იქნება თავმოყრილი ამ ცნობარში. შენ რომ ხუთასივე გიცნობს - ეგ არაფერი, შენ რომ ხუთასივეს იცნობ-ეგაა მთავარი; შენ რომ ხუთასივეზე უნდა იფიქრო - ეგაა მთავარი; შენ რომ ხუთასივეს სანუხარი უნდა გაითავისო - ეგაა მთავარი.

ვის არ უყვარხარ, ვინ არ გავასება, ვის არ სჭირდები და ვის არ სიამოვნებს შენთან ურთიერთობა. თავისუფალი კაცი ხარ, გონიერი, საქმიანი. თითქმის ნახევარი საუკუნეა რაც ერთმანეთს ვემეგობრებით. უამრავი სიკეთე მახსოვს შენგან. წლების წინ შეიღობა მკურნალობასთან დაკავშირებით (სხვათაშორის, მიხარია რომ იგი შენი მეგობარიცაა - მირიან ებანოიძე), ჯანმრთელობის სამინისტროში მწერალთა კავშირიდან შუამდგომლობა უნდა მიმეტანა. დაგირეკვდრო არ ითმენდა. ფოსტას არ დაელოდე, შეადგინე და შენივე ხელით ჩააბარე მინისტრის სამდივნოს. ხოლო მე, რომ არ მენერვიულა, გადმომირეკე და მანუგეშე.

შენი ნატიფი კალამი და დახვეწილი გემოვნება არ შეიძლება ყურადღების გარეშე დარჩეს კაცს... შენს ხელში საკანცელარიო საქალაქე და შესავსებად გამიზნული სუფთა ფურცელი თავადვე ლაპარაკობს - რა და როგორ უნდა დაინეროს. შენი კრიტიკული წერილები, ესეები, თარგმანები, თვალსაჩინო პუბლიცისტიკა, შენი პიროვნების შინაგანი ბუნების გამოძახილია. არავითარი ძალდატანება - სწორედ ისაა „რაც ოდენ ცხოვლად სულს დააჩნდის“. ბევრი ტკბილ-მწარე სინამდვილის გახსენება შეიძლება, „ბევრი ზიარი მეგობარი დაგვიტირებია და ცრემლით შევხიდევიართ ერთმანეთს; მახსენდება - სამტრედიის, ჩვენი შესანიშნავი პოეტისა და ძმის ნოდარ ადგიშვილის დაკრძალვა, შენ რომ იაქტიურე და მეც ამიყოლიე, მერე ლიტერატურის რამდენიმე მოყვარული სხვაც გამოვანახეთ და სახელდახელო სამგლოვიარო-სალიტერატურო მიტინგი ჩავატარეთ, მართალი ცრემლი და კეთილი სიტყვა გავატანეთ მეგობარს. ყურში დღესაც მესმის ტყუშური ღობეს ადევნებული ტანმალალი თხმელებიდან, მესკია-ჩიტების საშინელი ნიოკი, იფიქრებდი - ისინიც დატირიან „თავიანთ პოეტს“ - ჩიტების თემატკით განსაკუთრებულად დაინტერესებულ კაცს.

არაერთი საყურადღებო გამოცემის ინიციატორი, შემდგენელი და რედაქტორი ხარ. სულ ახლახან ფრიად თვალდასადაგამი საქმე შემატე შენს აქტივს - „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ ორტომეული შესძინე წიგნის თაროს. პოლიგრაფიულად ნატიფი და სრულყოფილი. ესაა ქართველი კაცის პოეტური სიმდიდრე, პოეტური შესაძლებლობა. თითო პოეტი თითო ლექსითაა წარმოდგენილი და ყოველ ლექსს ავტორის შემოქმედების უშეცდომოდ დაჭაშნიკების როლი აკისრია.

სამოცდაათი წელიწადი შენნაირი აქტიური კაცისთვის ნახევარზაა. გული არ გაიტეხო, ზაალ. ხომ გახსოვს როგორაა იმ დალოცვილ სიმღერაში: „ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე, ნახევარი კიდევ გასავლელი მაქვს“-ო, ჰოდა ის მეორე ნახევარიც რომ ხელხვავიანი იქნება - ეჭვი არ მეპარება.

ზაალ ებანოიძე



მიმოზა ცანავა

წყალობა

სული თმენით ვარწყულე ნუთისოფლის წყაროდან, ბედს უკვე შევეგუე, იყოს, რაც მინცალობა. ნინკლებიან კაბაში ინვის ყმანვილქალობა, მადლობასაც კი ვეტყვი, მისთვის, რაც მინცალობა. გაზაფხულის ფერების სულს სალბუნობს გალობა, რომ ვარ დედა, ბებია, არის ჯილდო, წყალობა! კიდევ ზღვა სიყვარული, მეგობრების ალობა, ღვთისგან საჩუქარია, უფლის დიდი წყალობა! ეკალ-ბარდში ჩამაგდო მეგრძნო ვარდით მთვრალობა, რომ მასწავლა ცხოვრება, წყალობაა, წყალობა! სული ინვრთნებოდა და სხეული კი წვალობდა, ამიტომაც ტკივილი ,არის ჩემი წყალობა... სიცოცხლე, ვით სასჯელი და ვით ჩემი ბრალობა, გამძლეობით მთებურით დამაქვს მხრებით წყალობა! სხვა რა მეთქმის აბა რა, ძნელი არის ცალობა, თვალეები რომ ღია მაქვს, ღმერთის არის წყალობა. ფუნჯით შევაფერადე ნაცრისფერი ქალობა, ყველაფერს შევეგუე, ბედმა, რაც მინცალობა.

ლეჩის სახლავი ვაჟენი მსოლოდ....

როს მონატრება ამინვავს თვალეებს, მომეძალება დარდები როცა, ამედევნება შენზე ფიქრები, ვით უნრფელესი და ჩუმი ლოცვა. არ მიცხოვრია არა, უსენოდ, ხსოვნის მანდილს ხომ ფიქრებში ვაქსოვ, შენი გამხმარი ფოთოლიც მიყვარს, ის სიხალასე მათბობს და მახსოვს. მომენატრება შენთან ტიტინი, გავიყურსები, ყურს ვუგდებ ძახილს, სხვა საბუდარი მე არ მქონია, დაბადებიდან შენთან დავსახლდი. შენა ხარ ჩემი ფარული სევდა, სევდა, რომელიც მუდამ თანა მდევს, ასე მგონია სულ უსამართლოდ დარდის ლოდები გულზე დამადეს. შენთან დავტოვე, რაც კი მებადა, შენ მოგაბარე, ვინც მწამდა, ვინც მწამს,

დღესაც სიამით მოვიხურავდი საბნად უთბილეს, მშობლიურ მინას ეს სიყვარულზე უფრო მეტია, არ ვისურვებდი ქვეყნად სხვა მდელოს, დატყვევებული ვარ შენი მზერით, აკვნის დამრწევო, ჩემო გამზრდელი! მიემდეგები ისევ იმ ძალით, შენს მფარველობას ისევ მოველი, ნუ მიმატოვებ გემუდარები, დედა ხარ ჩემი, დედა-მშობელი! მესალბუნება შენი ნანაგე, და გულს მალამოდ ისევ ედება, ვინც შენს წყაროს წყლით სულს დაირწყულეებს,

ის არასოდეს არ დაბერდება. უშენო წამი წამებას ჰგავს და ოცნების ბაღში დავიდე ბინა, ლექსის სახლები გიშენე მხოლოდ, სხვა ვერ შეეძელი, ხომ არ გეწყინა?! უიმედობას არ დავნებდები, მსურს სატკივარი რწმენით ავლაგმო, ეს დიდი ჯილდო-ზუგდიდელობა, ღმერთისგან მერგო, ჩემო ქალაქო! ოი, რამდენჯერ დაგჭრეს, გაგთელეს, მაგრამ ამაყად დგახარ, სულდიდობ, ჩემი სუნთქვა ხარ! მეტი რა გითხრა, მაცოცხლებელი ჩემო ზუგდიდო!

სამშობლო

სამშობლო ერთია, ერთადერთი, ოდეს მოფარფატე არწივულად, ტოტებაჩეხილი, სულთმბორგავი, მოლა;ლატეთაგან განწირულა.. ნაგვირგვინალი და დანაწური ვაზი ნაკუნ-ნაკუნ აჩეხილა, სულით ძლიერთა და ახოვანთა გული უიმედო გატეხილა. მუხა ტოტმაგარი ასხეპილა, მუმლი შესევია იმედს დღეთა, ყველა სამართალი გათელილა, ჩემო ტანჯულო და ჩემო ერთაე! ვალი წინაპართა დაგროვილა, ნირი შეცვლიაო ადათ-წესებს, დამდღერებულაო,ამოსაკვირტებლად ძალა წასვლიაო ჯანსად ფესვებს... ნაოხრ-ნაცუნამარ ველს მაგონებს ჩემი დაფლეთილი მინა-წყალი, აუნენიათო შინაურ მტრებს, ახლა დაბარბაცებს, როგორც მთვრალი!... ზვინად აღმართულა სადარდელი, თავზარდაცემული ზმუის ხარი, აღარ გველევაო გასაჭირი, აღარაფერია გასახარი. ისევ აჩხრიალებს იუდას ვერცხლს ნილაბააფარებულ კაცთა კასტა, ამოუძირკვავეი სარეველა როგორ მოსდებია, საზღვარს გასცდა... მტერი მანყევარი ჩვენს ბედს ხლართავს, ბედუკეთურობა ახალია?! მახრა შემოგიჩნდა, მღრნელი მახრა, როგორ შეგეშველო მახარია! დანაშაულია გაჩუმება, და ძმის კაენობა ავის ნიშანია, დაჰქრის შურთა ქარი გამძვინვარებული, ნეტავ ჩანაფიქრი რა აქვს ამ შარინს! ბევრჯერ ამღვრეულა მდინარენი, ბევრჯერ გათელილა ბედის კალო, მაგრამ არასოდეს დაცემულხარ, ფეხზე ნამოდექი ნატვრისთვალო! ჩემი უმწეო და სუსტი მხრებით, მინდა გიყავარჯნო, შეგეშველო, ჩემო სამუდამო საბუდარო, ჩემო სარდალო და ჩემო მცველო! ახლა მობარბაცე საყრდენს ეძებ, და ეს საყრდენი ხომ ჩვენ ვართ შენთვის,

ჩემო ნაღვლიანო მოლაღურო, როგორ, როგორ მესმის შენი გულის ფეთქვის!..

მინდა მოგიშუშო იარები, გათითოკაცებამ გული დაგისერა, არა, უბედობა აღარ დაიჩემო, შენი გაბრწყინების მართლა მჯერა! მტერი აკანკანებს კბილებს სიმწრით, ქურდულ ააპარებს მზერას მალვით, თავზე შაბარდუხი თავს დაგვჩხავის, მაინც ვერ წაგვართმევს ლუკმას ძალით! ახლა მომბუჭტავი კანდელს ჰგავხარ, ნელა იღვენთები, იწვი ნელა, ვარსკვლავ-მორბედივით მოწყვეტილო, ჩემო სანუხარო, ჩემო ყველაე! ხელზე ბორკილები ვინ, დაგადო, ან ვინ დაგინესა დღე საზარი, ვაგლახ, სავალალო არ ილევა, გამაყრუებული რეკავს ზარი!... ისევ იქართველებს საქართველო, წყლულიც მოშუშდება ერთგულებით, ვიცი, სამზეოდან მზე ამოვა, არ ვარ უიმედო სანამ მეგულები. ასე ტოტებაჭრის რომ გიყურებ, შენით დატყვევებულს სევდა მძალავს, შენთვის, ამორძალი სუნთქვას შევიჩრებ, ერთი ქართველისგან, თუ ეს კმარა!

ჩვენ ვართ საქართველო!

ლაფში ამოსვრილა კაცის ღირსება, ვილაცას ვილაცის იმედი უქრება, შენ ხარ საქართველო, მე ვარ საქართველო, ჩვენ ვართ საქართველო და ჩვენ გვაქვს უფლება! წინაპრის ნათელი საფლავი ფლიდობით, სიავით, სიმრუდით, ურცხვად არ გათელო, სენ ხარ საქართველო, მე ვარ საქართველო, ჩვენ ვართ საქართველო! ნაკლებად მაშინებს გარეშე მტრები, მტრობა შინაურის უფროა ძნელი, ღმერთი არ გაგინყრეს, ძმისკენ არასოდეს, არასდროს აღმართო ლაჩრულად ხელი! ცოტანი შემოვრჩით მშობლიურ სამშობლოს, გაფანტულები ვართ სხვადასხვა მხარეს, ჩვენ ვართ საქართველო, ჩვენ ვართ საქართველო, მოშურნეს, გამყიდველს ნუგავახარებთ! ნიფელმა ყლორტები უმაღ ამოყარა, ნათელი გულები ნდობიტ გავამრთელოთ, დიდი თავყვანი და დიდი მოკრზალება, ახალგაზრდობას-ახალ საქართველოს! ერეკლეს, დავითის, თამარის გენია, ასე რომ აენთო, ასე კახაბერობს, ალგეთს ჯიშინი ლეკენი დაზრდილან და ფეხზე ნამოდექი ტურფა საქართველოვ! ერთი ცის, ერთი მზის შვილები გვქვია და ერთად გავიტანოთ ერთგულად ლელო, ღვთისმშობლის წილნაყარ მშობლიურ მინას, სიცოცხლით დავიცავთ, ჩვენ ვართ საქართველო!

დედი!

დედი, სევდიანი გაზაფხული თმაში მონატრების მინწავს იებს, ვეღარ ჩამოვდივარ შენს საფლავთან, დედი, გვედრები მაპატიე! ფატა გაცრეციათ დროისაგან ბაბუანვერებს ამ ფანტიებს, ლოცვებს ნაჩურჩულევს ვატან მტრედებს, მე ვერ მოვალწიე - მაპატიე!

შხუის ქარიშხალი თავგანწირვით, თავს არ მანებებენ ამტანს მდიეს, დღეებს ნატკივილარს გულში ვიკლავ, დედი, შემინდე და მაპატიე! ახლაც თვალწინ მიდგას ეგ ღიმილი, დარდის გორები გულს ვერ ჩავატიე, მოვალ, უსათუოდ მოვალ შენთან, შემავგიანდა და მაპატიე!

მე პოეტი ვარ

გხედავ ნელ-ნელა შემომაცვდა სამოსი ტანზე, ქარი ქოშინით, თავგანწირვით ჩემსკენ მოიწევს, ვით პირველყოფილ ადამიანს გზაკვალარულს, შიშველ სხეულზე აფარება ფოთლის მომინევს. მე პოეტი ვარ, ცარიელი ჯიბის პატრონი, ერთი გროშიც კი არ გამაჩნია, მინიერ ყოფას ვერ ავუნყვე ვერა ნაბიჯი, უფალმა ასე მიუფლა და გამომარჩია. მე პოეტი ვარ, ხმაურიან ლექსის სამჭედლოს ბასრ ლურსმნებით ვჭედავ ლექსებს, ზოგ-ზოგებს რომ გულზე ესობა, მე პოეტი ვარ გაძარცვული ზამთრის მარტოხე და ბევრს არაფრად მიაჩნია ჩემი ლექსობა. მე პოეტი ვარ, საქანელა ცაზე რომ არწევს, მათხოვარვით ვაკვირდები დაყრილ მონეტებს, სიზმრის სიმძიმე სულს რომ ასე მუმლივით ხრავს და რატომ არ სწყალობს ქვეყნად ბედი საწყალ პოეტებს. რაც გამაჩნია იმ სიმდიდრეს ფასი რად არ აქვს, ნიჭიერების უნიჭობა ვით არ ვითმინე, სულს დავიპურებ, არ მაშინებს ეგ ქარ-ბორია, ამ სნეულ სხეულს რით ვუშველო, მითხარით ვინმემ. ლალ-მარგალიტებს რად ვარჩიე ვარდის სინაზე, ან სასახლებს მერცხლის მშვიდი, პანია ბუდე, მე პოეტი ვარ, ამ ბუნების მესაიდუმლე და მაპატიეთ ლექსთა ქარით თუ გავიგუდე. მე პოეტი ვარ, არაფერი არ შემიძლია, გარდა იმისა სიტყვით ჭრელი მანდილი ვქარგო, ნუ შემომხედავ აღმაცერად, დამცინავ მზერით, შენად მიმიდე, მიმეგობრე, თუ შესძელ კარგო! მე პოეტი ვარ, დაფლეთილი გული თან დამაქვს, შენც არ დამადო დარდოს ლოდი არა იგი ზედ, ეს მე კი არა სული ზღავის, სული ხმაურობს, არ ჩამითვალთ ეს განცდები არა სიგიჟედ. მე პოეტი ვარ, ბუნებისგან ნაშობი შვილი, უმწეო სხეულს, ვით სხვის ცხედარს უხმოდ დავსტირი, ღამის ქარები არ მინდობენ, მიასმაგებენ, უცხო ტომივით მიმძაფრებენ სულის ამ ტკივილს. მე პოეტი ვარ, ჩემი ბინა სამყარო არის, აუხდენელი ოცნებები მიმყვება დარდად, მე პოეტი ვარ, არაფერი არ გამაჩნია, წრფელი ლექსის და ამ გულის გარდა. მე პოეტი ვარ ოცნებების ზღვაში მცურავი, ჩვეულებრივი მუდამ მისწრებს, გჯერა?- ასჯერ ის, მე პოეტი ვარ, ლექსის სახლებს ვაშენებ მხოლოდ და პოეტობა არის ჩემი ჯილდო, სასჯელიც

კონკურსი



საქართველოს მწერალთა კავშირი აცხადებს კონკურსს პოეზიაში პატრიოტულ თემაზე შექმნილ ნაწარმებებზე.

კონკურსი ეძღვნება „ძლევაი საკვირველის“ ანუ 1121 წლის 12 აგვისტოს დავით აღმაშენებლის წინამძღოლობით თურქ-სელჩუკთა მრავალათასიან ჯარზე საქართველოს ისტორიაში უდიდესი გამარჯვების 900 წლისთავს, რამაც საფუძველი დაუდო ერთიანი, ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს წინსვლას და კულტურის აღორძინებას.

საქართველოს გამირული წარსული, მისი მომავალი, დღემდე ცნობილი თუ დროის უკულმართობით დაუფინყარი, დაუდაფნავი გამირები, ჩვენი ღირსეული თანამედროვენი, ქართველი წმინდანები, ციხე-ტაძართა საგალობელი, აი, საკონკურსო ლექსების ლაიტმოტივი.

ღია კონკურსზე უნდა წარმოადგინონ 2 ლექსი, ერთი დღემდე ცნობილი ავტორისთვის სავიზიტო ბარათად ქცეული, ხოლო მეორე - ახალი ლექსი, ზემოთხსენებულ თემატიკაზე, ასევე მცირე ბიოგრაფია.

კონკურსის ბოლო ვადა 2021 წლის 25 მაისია.

საუკეთესო მასალები შევა „ძლევაი საკვირველის“ საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი პატრიოტული პოეზიის ანთოლოგიაში.

გაიცემა გრან-პრი (1000 ლარის ოდენობით) და 5 მომინანქრებული ოქროს მედალი დავით აღმაშენებლის გამოსახულებით.

კონკურსის მხარდამჭრები არიან: საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარისა და იმერეთის მწერალთა ორგანიზაციები, ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია, მარნეულის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, ქუთაისის მერიის მუნიციპალიტეტები, აჭარის მწერალთა სახლი.

მასალები გამოაგზავნეთ writersunionofgeorgia@gmail.com -ზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:

ბატონ ზაალ ბოტკოველს - 591-300-822 , 571-046-421

მანანა გორგიშვილს - 599-38-12-74

მუსაკაცი

ჩემთვის და არამხოლოდ ჩემთვის, უმაღლესი პატივია გამოჩენილ სიმონ არველაძეს, დიდებულ ქართველსა და დიდებულ ქუთაისელს, მაგნოლიების ქალაქიდან ჩემი და ჩემი აჭარლების სახელითაც მივულოცო დაბადების მე-100 წლისთავი და ვუსურვო დაუმრეტელი ენერჯია და შთაგონება.

ერთი ამერიკული წესი მინდა შევასხენო მკითხველს-როცა აშშ-ს მოქალაქე 90 წლის გახდება, ქვეყნის პრეზიდენტი დეპეშით ულოცავს ამ დიდებულ თარიღს, მაგრამ თუ ვინმე 100 წლის გახდა, აშშ-ს პრეზიდენტი ნებისმიერ შტატში ჩადის და პირადად ულოცავს.

ძვირფასი სიმონი ნამდვილად ღირსია იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა პირადად მიულოცოს ძალიან დიდი და საპატიო საიუბილეო თარიღი.

მეც მუხლმოდრეკით ვულოცავ ძვირფას სიმონს და მის ოჯახს ღირსშესანიშნავ თარიღს და მასთან ერთად ვულოცავ სრულიად საქართველოს. ღმერთმა უმრავლოს ჩვენს სამშობლოს სიმონ არველაძისთანა ასი წლის იუბილეები.

მუხლმოდრეკით! ბათუმელ-ქუთაისელი პოეტი შოთა ზოძე 14 თებერვალი, 2021წ.

„ქართული ტვ“

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მუშაობა განაახლა რეზო ჩხეიძის, მერაბ ბერძენიშვილის და თეიმურაზ შაშიაშვილის მიერ დაარსებული სატელევიზიო არხმა, რომლის სახელწოდებაც „ქართული ტვ“.

„ქართული ტვ“ (დირექტორი მანანა იმედაძე) პარტიული მიკერძობებისგან თავისუფალი დამოუკიდებელი ტელეარხია და იმ გზას ემსახურება, რაიც დამფუძნებლებმა დაუსახეს. ეს გახლავთ ქართული ეროვნული ცნობიერების განმტკიცებისთვის ბრძოლა, მშობლიური ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლების უანგარო მხარდაჭერა და მუხლჩაუხრელი რუდუნება ქართული ეროვნული სახელმწიფოს აშენებისთვის.

პოლიტიკური ამბიციებით შეპყრობილი და უხამსი ტელეშოუებით გატაცებული ჩვენი ტელემასმედიის ფონზე „ქართული ტვ“, მართლაც რომ, ხაზგასმული ეროვნულობით გამოირჩევა.

უყურეთ „ქართულ ტვ“-ს, იგი თქვენი არხია.

ძვირფასი მოგონებები



ახლახან ჩვენი წიგნის თაროს ორი მშვენიერი გამოცემა შეემატა: ვიქტორია სირაძის „ხსოვნის სიცოცხლე“ და თინათინ ბარამიძის „ჩემი არა-ჩვეულებრივი ავტობიოგრაფია“. ნაშრომები ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და მოგონებებზე დაფუძნებული.

ორივე ავტორს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება. ვიქტორია სირაძე დამსახურებული პარტიული და საზოგადო მოღვაწე გახლავთ. თინათინ ბარამიძე - სამედიცინო დარგის სახელოვანი წარმომადგენელი.

რაოდენ საამაყოა, რომ ოთხმოცდაათსადაცილებულ ქალბატონებს შერჩათ დიდებული მეხსიერება და სიყვარულით სავსე გულები ასე ლამაზად შენივთული სამშობლოს უანგარო მსახურებასთან.

მწუხარებით ვიუწყებით

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ტარიელ ჭანტურიაშვილი

ირაკლი ჭანტურია
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურამ ღორანაშვილი
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანზორ ერქომაიშვილი
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოზარ ჩიტაია
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ რთველიაშვილი
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ცისანა ღლონტი
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს